

178 /
1980/2



ISSN 0132-5981

საქართველო

საგარეო ურთიერთობების



თბილისი - 1980



საქართველო საქართველო

N^o 5

სამტკვეპარი,
ოქტომბერი

1980 წელი

შურნალი გამომდის 1929 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

- რ. საფაროვი — საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების კონსტიტუციური პრინციპია 3
- მ. ფარუაშვილი — მთავარია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა 13

ქანონის კომენტარი

- ვ. შაისურაძე — კანონი სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ 18
- შ. ფაფაშვილი — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის 22
- ა. გაბიანი, ა. კახაძე, ა. თოდუა — მექრთამეობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის პირველი შედეგების შესახებ 33
- ა. აბესაძე — ავადმყოფთა სასამართლო ორგანოების როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში 41

კალრები — ჩვენი მუდმივი საზრუნავი

- მ. კომახიძე — იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფისათვის 51

მომხმე სოციალისტურ ქვეყნებში

- გ. ბეჟუაშვილი — ახალგაზრდობის ძირითადი უფლებები გდრ-ში 56

კონსულტაცია

- ვ. გავაშკორი — თავისუფლების აღკვეთის სასჯელის პირობით შეცვლა მსჯავრდებულთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით განთავისუფლება 62

ნარეკი 65

- თ. შავგულიძე, გ. ტყეშელიაძე, ო. გამყრელიძე, მ. უგრეხელიძე — სისხლის სამართლის პრობლემების მკვლევარი 68

- პ. ბერძენიშვილი — მეგობრის გახსენება 74

არბიტრაჟის პრაქტიკა 75

ინფორმაცია 77

ნეკროლოგი 79

СОДЕРЖАНИЕ

საქართველოს
საბჭოთაო კანონმდებლობის
სამსახური

| | |
|--|-----|
| Р. Сафаров — Постоянный учет общественного мнения как конституционный принцип развития социалистической демократии | 3* |
| М. Пачуашвили — Главное, — это профилактика правонарушений | 13* |

КОММЕНТАРИИ К ЗАКОНУ

| | |
|--|-----|
| В. Майсурадзе — Закон о государственном арбитраже Союза ССР | 18* |
| Ш. Паниашвили — Уголовная ответственность за злоупотребление властью или служебным положением | 22* |
| А. Габиани, А. Кавсадзе, А. Тодуа — О первых итогах конкретно-криминалогического исследования взяточничества | 33* |
| А. Абесадзе — Повысить роль судебных органов в борьбе с преступностью | 41* |

КАДРЫ — ПРЕДМЕТ НАШЕЙ ПОСТОЯННОЙ ЗАБОТЫ

| | |
|--|-----|
| М. Комахидзе — К дальнейшему совершенствованию квалификации работников органов юстиции | 51* |
|--|-----|

В БРАТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ

| | |
|---|-----|
| Г. Бежуашвили — Основные права молодежи в ГДР | 56* |
|---|-----|

КОНСУЛЬТАЦИЯ

| | |
|---|-----|
| Г. Гегечкори — Условное освобождение из мест лишения свободы с обязательным привлечением осужденных к труду и условно-досрочное освобождение от наказания | 62* |
| Разное | 65* |
| Т. Шавгулидзе, Г. Ткешелидзе, О. Гамквелидзе, М. Угрехелидзе — Исследователь проблем уголовного права (к 75-летию В. Г. Макашвили) | 68* |
| П. Бердзенишвили — Память о друге | 74* |
| Арбитражная практика | 75* |
| Информация | 77* |
| Некролог | 79* |

სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინჭკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1980 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, ალექსანდრის კრ. 103. ტ. 95.58.97, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 18.IX.80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.XII.80 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. საიდრიცხო-საგამომცემლო თაძახი 7,5

შეკვ. № 2536

ტირაჟი 15400

შე 08671



საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების კონსტიტუციური პრინციპი*

რ. საზაროვი,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

65591

1. საზოგადოებრივი აზრი სოციალისტური დემოკრატიის პოლიტიკურ სტრუქტურაში

სოციალისტური დემოკრატია ემყარება მთელ რიგ კონსტიტუციურ პრინციპებს, მათ შორის ერთ-ერთია „საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“ (სსრ კავშირის ძირითადი კანონის მე-9 მუხლი). ამ პრინციპის დაცვა და გამოყენება უზრუნველყოფს მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმას პოლიტიკის შემუშავებაში, გადაწყვეტილებათა მიღებაში სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა საცოცხლო ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლი. გამოთქმული, გათვალისწინებული და გამოყენებული საზოგადოებრივი აზრი ერთერთი ის გარანტიაა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას დემოკრატიულ რეჟიმში.


საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკური სისტემის ყოვლისშემძველი ელემენტია, რომელიც გავლენას ახდენს ამ სისტემის ყველა სუბიექტზე, და არა მარტო სახელმწიფო ორგანოებზე, უფრო მეტიც, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება შეიძლება განვსაზღვროთ განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის საშუალებებისა და მიზნების კომპლექსში. ამით არის გაპირობებული მისი პოლიტიკური ღირებულება ამ სისტემაში, რომელიც არსებითად სოციალიზმის პოლიტიკური დემოკრატიის სისტემაა. საზოგადოებრივი აზრის ღირებულებას განსაზღვრავს ის, რომ იგი სოციალური კავშირის, ურთიერთობისა და პოლიციათა გამონახატულებათა საზოგადოებრივი აზრი, როგორც დემოკრატიის განვითარების კონკრეტული ისტორიული პირობების პროდუქტი, შედის მის სტრუქტურაში და შემოქმედებს მასზე. ამ თვალსაზრისითაც საზოგადოებრივი აზრს აქვს დემოკრატიული ღირებულების ლოგიკური და ემპირიული დასაბუთება.

საზოგადოებრივი აზრის დემოკრატიული ღირებულება განისაზღვრება მათ იმ უნარით, რომ შეგავლენა მოახდენოს პოლიტიკური სისტემის სხვა სუბიექტების პოლიციაზე, პოლიტიკური პროცესის სტრუქტურაზე. იგი გამოდის როგორც ხალხის უშუალო თვითგამონახატვისა და თვითდანიშნულების ინსტიტუტი. სწორედ ამიტომ არის, რომ პოლიტიკური სისტემის მყარი ორიენტაცია საზოგადოებრივ აზრზე მისი დემოკრატიული ფუნქციონირების მოზღვანობას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით „საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“ ამ სისტემის მოქმედების მიზანსაც არის და საშუალებაც.

თუნდაც რომ საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის და ყველა საკითხზე მკვეთრად არ იყოს გამოვლენილი და გათვალისწინებული, იგი თავის შინაგან ღირებულებას მაინც არ კარგავს და აუცილებლად გამოვლენდება გარკვეულ სიტუაციებში. საზოგადოებრივი აზრი სოციალიზმის განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ელემენტია. მისი თვითგამონახატვისა და გამონახატვის კონკრეტული ფორმები იცვლება იმ სტრუქტურულ ცვლილებათა შეგავლენით, რაც საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისსა და პოლიტიკურ შედარებაში ხდება, ე. ი. იცვლება მათი შემადგომი თვისებრივი სრულყოფის შეგავლენით. ეკონომიკური ბაზისისა და პოლიტიკური შედარების ნორმატიული მოდელი სორცმესხმულია 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციაში. მხოლოდ ბაზისისა და შედარების კონტექსტით შეიძლება სწორად შეფასდეს დემოკრატიულ

* სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

დ. ნარსის სახ. საბ.
სსრ. სახელმწიფო
ბიბლიოთეკაში
აქტივობა



ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის ფაქტორება, რომელთა გამოხატულება საზოგადოებრივი აზრი. ამ ფაქტორებს განეუთვნება კომუნისტური პარტიის ღონისძიებანი საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის; საზოგადოებრივი პრაქტიკით და კომუნისტური იდეოლოგიით ნაკარნახევი პოლიტიკური მოთხოვნებიდან და ინტერესების სისტემის ცვალებადობა; საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების განვითარებადი პოლიტიკური კულტურა; საბჭოთა კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაშია 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის სრულყოფა გამოიმდინარეოს, სოციალიზმის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კანონთა მოქმედების თავისებურებებიდან, საზოგადოების შემდგომი სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან. ცვლილებები, რომლებიც ამ ურთიერთობათა სისტემაში ხდება, გარდაუვალი და შეგნებულად წარმართულია. საზოგადოებრივი აზრის „შეკრა“ როგორც ბაზისისა და ზედნაშენის ფუნქციონირებაში. იხე მათს ურთიერთმოქმედებაში განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული სტრუქტურის რეალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. თანაც ამ „შეკრას“ კონსტიტუციურა გამართლებდა და დასახუტება აქვს.

საზოგადოებრივი აზრის ეს „შეკრა“ ასახავს ხალხის მისწრაფებას დემოკრატიული პროცესის განვითარებასადმი, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების ძირითად ასპექტებზე ვრცელდება. ამასათვის კი გვქვს აუცილებელი წინამძღვრები და პირობები: სოციალიზმის სულ უფრო მზარდი დემოკრატიული პოტენციალი; მოქალაქეთა პოლიტიკური და აქტიური შეგნება ცვალებადობა, რაც გაპირობებულია საბჭოთა კონსტიტუციაში ფიქსირებული დემოკრატიული ღირებულებებისა და მისწრაფებების ახალი სტრუქტურით; მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენების საშუალებით დემოკრატიის ინსტიტუტების გამოყენების პროცედურების გამარტივების შესაძლებლობა.

საზოგადოებრივი აზრის დემოკრატიული როლის შეფასებაში შედის ისეთი ასპექტებიც, როგორც არის მისი მზარდი მნიშვნელობა სოციალური თვითრეგულაციისა და რეგულიაციის ინსტიტუტების სისტემაში. სწორედ გაგებული დემოკრატიზმი გულისხმობს თვითრეგულაციის შალღ დონეს. აქ მოქმედებს შემდეგი დამოკიდებულება: დემოკრატიის განვითარებას არ შეიძლება თან არ სდევდეს თვითრეგულაციის შექანიზმის გაძლიერება. აი რატომ არის ესოდენ აქტუალური თვითრეგულაციის იმ ტრადიციული ფორმებისა და საშუალებების სრულყოფისა და ახალთა ძიების პროცესი, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობაზე შემოქმედების დემოკრატიული მექანიზმის გამოყენებას.

საზოგადოებრივი აზრის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობებში იცვლება აგრეთვე სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურაც, რამელიც ვერაფრის აღნიშნულ ფენომენს. საზოგადოებრივი აზრი ამ სტრუქტურაში შეტანილია იმდენად, რამდენადაც არ არის ანტიგონიზმი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფომ, რომელიც საზოგადოების ინსტიტუტია, უნდა გამოხატოს მისი მოთხოვნილებები და ინტერესები. ამ ამოცანას კი ასრულებს საზოგადოებრივი აზრიც. სწორედ ამით არის ხაზგასმული და უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ინსტიტუციური არსი, რადგანაც იგი მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის კონტრალით, რომელსაც უნარი შესწევს აღნიშნოს ნებისმიერი გადახრა სოციალური მოთხოვნილებიდან, ინტერესებიდან, და მისწრაფებიდან. და არა მარტო აღნიშნოს, არამედ მიადწიოს იმას, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, ესე იგი, მოვალეობანი, რომლებიც გაპირობებულია მისი ინსტიტუციური სტატუსით.

სახელმწიფო რეგულირების პროცესში საზოგადოებრივი აზრი ასრულებს შემდეგ როლს: აცნობს მარეგულირებელ ორგანოებს სოციალურ მოთხოვნილებებს, ღირებულებებსა და მისწრაფებებს; ხელს უწყობს მათი ფუნქციების რეალიზაციას; სახელმწიფოს მიერ ფორმულირებულ ამოცანათა გადაწყვეტას, სახელმწიფო ორგანოებისადმი კონტროლის განხორციელებას; მიაქცევს საზოგადოებრიობის ყურადღებას გადაუჭრელი პრობლემებისადმი; ადართობს კომპეტენტური ორგანოების მიერ დასახუტებული პროექტებისა და გეგმებისადმი, გადაწყვეტილებების და მოქმედებისადმი თანხმობის ზონას; იყენებს სოციალიზმის შესაძლებლობებს წამოჭრილი სოციალური პრობლემებისა და წინაღმდეგობების დემოკრატიულად გადაიარსავის. სწორედ ამიტომ არის, რომ სახელმწიფო რეგულირების ხარისხსა და საზოგადოებრივი აზრის შორის არსებობს უკუდამოკიდებულება. როგორც ჩანს, ასეთ რეგულირებაში ზოგიერთი ნაკლოვანება აიხსნება იმით, რომ ხანდახან ჭეროვანად არ აფასებენ საზოგადოებრივი აზრს.

როგორც ენობლია, მრავალფეროვანი სოციალური მოთხოვნილებები, ინტერესები და მისწრაფებები იცვლება, რასაც ადიქსირებს საზოგადოებრივი შეგნება და გამოხატავს საზოგა-

დოგბრივი აზრი, ამასთან ეს მოთხოვნებები, ინტერესები და მისწრაფებანი არ სცილდება პოლიტიკური სისტემის საზღვრებს და შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების პროგრესულ იდეალებს. ამით პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება იქცევა საქმიანობად ცივილიზებული საზოგადოების მიერ წარმოშობილი ყველა ახალი მოთხოვნების, ინტერესებისა და მისწრაფების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივაც აღნიშნული სისტემა შეხადლებლობა შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ, რასაც მოგვიწოდებს ჩვენი პარტია. ლ. ი. ბრეჟნევა არაერთგზის აღლენსავს საზგასმით, რომ საქროა განვითარებული სოციალიზმის ყველა შესაძლებლობის შეცნობა და გამოყენება¹.

საზოგადოებრივი აზრი შედის სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციის რთულ პროცესში, ამასთან სახავს სახელმწიფოს მიერ ფორმულირებული ამოცანების წარმატებით შესრულების პერსპექტივებს. დასანანია, რომ სოციალურ მეცნიერებს არ შეუშუშავებიათ და არ წამოუყენებიათ სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირების სფეროში საზოგადოებრივი აზრის თვითარსებისა და ჩართვის ოპტიმალური მოდელი არსებითად ლაპარაკია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიქმედების პროცესის გაძლიერებაზე, რასაც მკვეთრად გამოხატული დემოკრატიული ხასიათი აქვს. ამრიგად, საზოგადოებრივი აზრი განასხიერებს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის პირდაპირ და უკუ სოციალური კავშირის მექანიზმებს.

საზოგადოებრივ ურთიერთობაშია სისტემა, რომელიც განუწყვეტლავ რთულდება, ხშირად სოციალურ წინააღმდეგობებს წარმოშობს. ამიტომ საქროა საზოგადოებრივი აზრის სისტემატური გამოვლენისა და საჭაროდ გამოცხადების გზით დროულად ვავითავლიანათ წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციები. სწორედ ამგვარად შეიძლება მხარი ეღუქაროთ სახალხო ინსტრუმენტის (კონსენსუსის) რეჟიმში პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას. კონსენსუალური ხაფუძლის უზრუნველყოფა სოციალისტური დემოკრატიისა და მისი რესურსების გამოყენების კონსტიტუციური კონცეფციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ასპექტია. კონსენსუსის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებიდან გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო ცენტრამდე სოციალური ინფორმაციის სწრაფად გადაცემა, რაც უზრუნველყოფს არა მარტო კონსენსუალურ რეჟიმს, არამედ პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი აზრი ერთგვარად სოციალური ენერჯიის განმარჯლებელი წყაროა. ასეთია სისტემის სოციალური სტაბილურობის მოდელის ერთ-ერთი ასპექტი.

გამოვლენილი გათვალისწინებული და საჭაროდ გამოცხადებული საზოგადოებრივი აზრი ზღუდავს ბიუროკრატიული სტრუქტურისა და ტექნოკრატიული ტენდენციების განვითარების შესაძლებლობებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გართულებული მართვას პირობებში აზრდება ამ სტრუქტურათა და ტენდენციათა განვითარების, ე. ი. იმ მოდელსა წარმოშობის საშოროება, რომლებიც ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს. სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის ღოგია ისეთია, რომ იგი ცდილობს ყველა პროცესი დაუქვემდებაროს დემოკრატიულ მექანიზმს². ბიუროკრატიული სტრუქტურება და

¹ Брeжнeв Л. И. Ленинским курсом, т. 6, с. 626.

² ამ ასპექტით უნდა განვიხილოთ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა დანიშვნის, ვადადგომებისა და განთავისუფლების დემოკრატიული პრაქტიკა. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მოპარაგების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელთა კანდიდატურები წინასწარ განიხილეს თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის, ქუთაისის საავტოზობილო ქარხნისა და თბილისის ქარხანა „ელექტროპარატის“ მუშა-მოსამსახურებმა (См. Г. Лебанидзе. Всей силой общественного мнения. «Правда» от 26 сентября 1976). დამახასიათებელია, რომ ხელმძღვანელი მუშაკების განთავისუფლება მოტივირებულია ასევე საზოგადოებრივი აზრის პოზიციით. მაგალითად, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა: „არავის არა აქვს უფლება შენიღბოს თავისი უმოქმედობა მაღალი ციფრობრივი მონაიემებით. აქაოდა. ამ დარგში ჭეროვანი სახელმწიფოებრივი წესრიგი დავამყარო. ჩვენთვის გეგმის შესრულება არამც და არამც არ არის ამა თუ იმ საქმიანობის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმი საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი აზრი კი ასეთია: „საქავტორტექმომსახურების“ სისტემაში იფურჩქნება სპეკულაცია და გამოძალვა, აქ პრაქტიკულად შეუძლებელია გაგვიონ მომსახურება სახელმწიფო მტკიცე ფასების მიხედვით...“ (См. И. Иновели. «Работу Главвотехобслуживания считать неудовлетворительной», «Заря Востока» от 24 мая 1977 г.).

საქართველო
2023

ტექნოკრატიული ტენდენციები სოციალური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტური სიტუაციების, ე. ი. იმ პროცესების წყაროა, რომლებიც შეუთავსებელია სოციალისტურა დემოკრატიის პრინციპებთან. ამრიგად, ყოველგვარი გადასრებისადმი მგაძმნობიარე საზოგადოებრივი აზრის როლის ამაღლების აუტილებლობა საზოგადოების დემოკრატიული ყოფიერებას აქტუალურ პრობლემად რჩება.

როგორც ჩანს, სწორი იქნება ასეთი დასკვნა; პოლიტიკური სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია უწყინარეს ყოვლისა მის შინაგან სტრუქტურაზე. სოციალურა ეფექტიანობის ამ სპეციფიკით განსაზღვრება საზოგადოებრივი აზრის როგორც მოცემულ საატემუს დემოკრატიული ელემენტის კომპლექსური ღირებულება. პოლიტიკური სისტემის ეფექტიანობაზე ლაპარაკი იმ არ შეიძლება საზოგადოებრივი აზრის ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე. მისი მნიშვნელობის ასეთ შეფასებას წარმოშობს და ამოწმებს ცხოვრებისეული ფაქტება. ე. ი. მას ასტიმულირებს საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული და ზეპარევი ცხოვრება პოლიტიკური სისტემა, რომელიც აძლიერებს საზოგადოებრივი აზრის ეფექტიანობას, ქმნის დამატებითს შესაძლებლობებს სოციალურ პროცესებზე ოპტიმალურა ზემოქმედებისათვის. ეს კონსტიტუციური ტენდენცია შემდგომში სულ უფრო მეტად იქნება დომინირებული, რამდენადაც მისი მიქმედებისათვის თანდათანობით იქმნება ასალი წანამძღვრება და პირობები.

საზოგადოებრივი აზრის ასეთი ფუნქციონირების მასტიმულირებულ ფაქტორთა შორის განმსაზღვრელია, ერთი მხრივ, მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კონსტატუციით მინიჭებულ უფლებათა და თავსუფლებათა გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზების მიერ პათივის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება. ამ უფლებათა და მოვალეობათა ურთიერთკავშირის მთელი ერთობლიობა ქმნის საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაზიარი დემოკრატიული მოთხოვნების შედარებულ დამოუკიდებელ კომპლექსს, რომელშიც განსახიერებელია საზოგადოებისა და სახელმწიფოს დემოკრატიული ურთიერთმოქმედების კონსტატუციური მოვლეა.

უბრალოდ კონსტატაციიდან და მოწოდებიდან რომ ისწავლონ დებუტატება და სახელმწიფო ორგანიზება, პოლიტიკური და იურიდიული ნორმებისა და გარანტიების კომპლექსის შემუშავებამდე — ასეთია საზოგადოებრივი აზრისადმი დამოკიდებულების ევოლუცია. ეს ასანავს სოლიდურ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და კონსტიტუციურ საფუძვლზე სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების შემგომი დემოკრატიზაციის პროცესს. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-9 მუხლში პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულების ერთ-ერთ ასპექტად აღიარებულია „საზოგადოებრივი აზრის მულამ გათვალისწინება“. მასანადამე, საზოგადოებრივი აზრის გამოუვლენლად და გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სოციალისტური დემოკრატიის პოლიტიკურ სტრუქტურაზე ლაპარაკი.

კონსტიტუციური ნორმა „საზოგადოებრივი აზრის მულამ გათვალისწინება“ მეორდება, მაგალითად, 1979 წლის 19 აპრილის „სსრ კავშირის უმაღლესა საბჭოს რეკლამინცია“, რომლის მე-2 მუხლში ჩაწერილია: „სსრ კავშირის უმაღლესა საბჭოს საქმიანობა ეყრდნობა... საზოგადოებრივი აზრის მულამ გათვალისწინებას“³. ხოლო 1979 წლის 19 აპრილის „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მულდმივი კომისიების დებულების შესახებ“ მე-7 მუხლში ნათქვამია: „პალატათა მულდმივი კომისიები მოქმედენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სწავლობენ და ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს“⁴ დამახასიათებელია, რომ 1972 წლის 20 სექტემბრით დათარიღებულ სსრ კავშირის კანონში „სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა ლატუსის შესახებ“ გათვალისწინებულა, რომ „დებუტატი სწავლობს საზოგადოებრივ აზრს“ (მუხლი 18)⁵.

საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის, გათვალისწინებისა და გამოკენების პრობლემა ეხება ყველა სახელმწიფო ორგანოს. ამ რატომ არის, რომ სსრ კავშირის 1974 წლის 9 ივლისის კანონში „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება განხილულია სსრ კავშირის მთავრობის საქმიანობის ძირითადი პრინციპების სისტემაში: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალნიზმის, სოციალისტური ფედერალიზმის, სოციალისტური კანონიერების, პაპაროზისა და საზოგა-

³ Ведомости Верховного Совета СССР, 1979, № 17, ст. 272.

⁴ იქვე, გვ. 273.

⁵ იქვე, გვ. 277.

⁶ იქვე, 1978, № 28, გვ. 436.

დღობრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით... ამ პრინციპის შინაარსი იმით გამოხატება, რომ სსრ კავშირის მთავრობა: „შესაბამისი საკითხების გადაწყვეტილების ავლენს და იყენებს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომიანი კოლექტივებისა და მოქალაქეთა წინადადებებს, აცნობს მოსახლეობას თავისი მუშაობისა და მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებათა შესახებ“ (მუს. 8).

ლოგიკური იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ არა მარტო მინისტრთა საბჭო, არამედ საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტებიც მოვალენი არიან იხელმძღვანელონ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას პრინციპით. სასურველია, რომ „სამინისტროების შესახებ საერთო დებულების“ ახალ ვარიანტშიც მტკიცედ დამკვიდრდეს ეს პრინციპი. ამასთან საჭიროა როგორც ამ აქტში, ისე სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შესახებ დებულებაში სათანადოდ აისახოს მოცემულ დარგში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების საზოგადოებრივი აზრის, იმ მოქალაქეების (მოსახლეობის) საზოგადოებრივი აზრის არსებობის ფაქტი, რომელთა მოთხოვნებსა და ინტერესებს უნდა აკმაყოფილებდნენ ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოები და დაწესებულებები, თითქმის ყველა სამინისტროს შეესაბამება ორივე სახეობის საზოგადოებრივი აზრი, თანაც თითოეული მათგანი ხასიათდება თავისი სამართლებრივი სტატუსით.

ახალი დემოკრატიული ფაქტორის გაჩენასთან არის დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები, რომლებსაც არსებითი ცვლილებები შეეკვეთ, როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი მექანიზმის, ისე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახასიათებაში, რომლებიც პოლიტიკურა, სახელმწიფო-სამართლებრივი პროცესის სუბიექტება არიან. თუ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები შეიცავენ საზოგადოებრივი აზრის სტატუსის მოქნილ რეგლამენტაციას, სამაგიეროდ ყველა დანარჩენ აქტში აუცილებელია მკაცრი რეგლამენტაცია, რომელიც ემყარება საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის და გამოთქმის, გათვალისწინებისა და გამოყენების პროცედურის ამომწურავ რეგულირებას, გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებას, აგრეთვე შენიშვნების, წინადადებებისა ოა მოთხოვნების რეალიზაციას. შეიძლება ვივარაუდოთ კიდევ, რომ მიზანშეწონილია მომავალში გამოიცეს კანონი საზოგადოებრივი აზრის შესახებ, რომელშიც დამკვიდრებული იქნება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების მთელი მექანიზმი.

2. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების დემოკრატიული მექანიზმი

საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა, გათვალისწინება და გამოყენება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საზოგადოების ინტერესებისადმი სახელმწიფოს დაქვემდებარებას, ე. ი. სახელმწიფოს მიერ თავისი, როგორც საზოგადოების ინსტიტუტის როლის შესრულებას. ამით არის განპირობებული სახელმწიფოს სოციალური ხასიათი, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური, წესობრივი და იურიდიული შეფასება. სწორედ ამ ასპექტით უნდა გავიხაროთ საზოგადოებრივი აზრის როლი ეკონომიკური ბაზისისა და პოლიტიკური ზედნაშრომის ურთიერთშემქმედების მექანიზმში. მრავალი ფაქტორის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი აზრის ფაქტორი, რომელიც არსებობს ყველა ძირითადი იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, წესობრივი და სხვა სოციალური პროცესების კონტექსტით. სწორედ ამგვარად მდიდრდება თეორიული ცოდნა საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ, რომლებსაც გადასცემს საჭირო პოლიტიკურ რეალიზმს.

საზოგადოებრივი აზრის როლის საკითხის ასე დეტალურად განსაზღვრავს მისი გამოვლენის, გათვალისწინებისა და გამოყენების პრობლემატიკა. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 მუხლი აკანონადებს: „სახელმწიფო ცხოვრებას უზენაესი ნორმების საკითხები საყოველთაო-სახალხო განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის)“. მასასადასრულ, ეს უნდა იყოს მასშტაბური საკითხები, რომლებიც ეხება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყველა ძირითად ასპექტსა და პრობლემას. ამიტომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პრობლემატიკამ სრულად უნდა აისახოს აქტუალური საკითხები, რათა არა მარტო გამოვლინოს მათი ბუნება და აზრი, არამედ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით დაადგინოს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთკავშირის ხასიათი. გამოკითხვის საფუძვლზე მიმდინარე სოციალური მოვლენებისა და პროცესების ცოდნა საკმარისი იქნება, რათა დავაფიქსიროთ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთშემქმედების მექანიზმის მდგომარეობა, ე. ი. მათი ბუნების ინსტიტუციური ურთიერთობა.



ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების მოთხოვნებზე ხელს უწყობს საზოგადოებრივი შეგნების სტრუქტურის შეცვლას, რომელშიც დომინირებს სახეობითი საზოგადოების ახალი კონსტიტუციური ღირებულებები და მხსწრადებიანი. ასეთ პირობებში ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნა, რათა რაციონალური დემოკრატიული და ეფექტიანი იყოს სახელმწიფო-სამართლებრივი მექანიზმის ფუნქციონირება. მისი მოქმედება, როგორც ხალხის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის მექანიზმისა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ავიცილოთ ის ნაკლი, რომელმაც ბიუროკრატიული სტრუქტურას მოქმედება წარმოშობს. რა თქმა უნდა, არსებობს ხალხის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის მექანიზმის გაძლიერების მრავალი სხვადასხვა წყარო და საშუალება, რომელთა შორისაც განატონებული მდგომარეობა საზოგადოებრივ აზრს უჭირავს, რამდენადაც იგი არის ხალხის საზოგადოებრივების, ე. ი. უმადლესი სუვერენის ნების გამოხატვის ფორმა.

ხალხის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის ამ განაწილებული ფორმულიდან გამომდინარეობს: ჭერ ერთი, საზოგადოებრივი აზრის როლის როგორც სოციალიზმის დემოკრატიულიზაცია და მმართველობითი ღირებულებების შეცნობა, რაც საზოგადოებასა და სახელმწიფოს ურთიერთმოქმედების ინსტიტუციურ ასპექტს უზრუნველყოფს; მეორე, საზოგადოებასა და სახელმწიფოს ცხოვრების აქტუალურ ხავერდში საკითხებზე პასუხის მიღებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი აზრის სისტემატური გამოვლინება და გამოქვეყნება, გაოპიზაცია და გამოყენება. ორივე ეს ინსტიტუციური ასპექტი უზრუნველყოფს კონსტიტუციური პოლიტიკის რეალიზაციას, რომელიც თავის თავში აერთიანებს სოციალიზმის ღირებულებებსა და მისწრაფებებს, მისი პროგრესის მოთხოვნებიდან გამომდინარე მათ ძიებასა და გამდიდრებას. ამ პოლიტიკის რეალიზაცია კი შესაძლებელია იქნება, რამდენადაც თვით საზოგადოებრივი აზრი ხალხის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის მექანიზმის ეფექტურად იქცევა.

ეკონომიკური ბაზისისა და პოლიტიკური ზედნაშენს შორის შეთანხმებულობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს აგრეთვე საზოგადოებრივი აზრი საზოგადოების სამეურნეო საქათხე: საზოგადოებრივი წარმოების განაწილება და გაცვლა; სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზებული მართვის თანაფარდობა; ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების გამოყენება; გარემოს რაციონალური გამოყენება და დაცვა. სოციალისტური ეკონომიკური სისტემა შექმნილია და მისი პრინციპები დამკვიდრებულია ხსრ კავშირის ძირითადი კანონით. და მაინც ეკონომიკური სისტემა, როგორც დინამიკური სტრუქტურა, საჭიროებს მუდმივ სრულყოფას, ეკონომიკური სტრატეგიასა და ტაქტიკაში გარკვეული კორექტივების შეტანას.

გამოკითხვის პრობლემატიკაში შეიძლება შევიტანოთ შეკითხვები, რომლებიც უკავშირდება: საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის სფეროში პრიორიტეტუას (უპირატესობათა) განსაზღვრას; საზოგადოებრივი წარმოების ხერხისა და ხარისხის ეკონომიკური და ზნეობრივი მაჩვენებლების ანალიზს; საკომლემენტარ-კოოპერაციული საკუთრების სახელმწიფო საკუთრებისათვის დასაბუთების მასშტაბისა და ტემპის შეფასებას; ცენტრალიზმის დემოკრატიზმთან შესაბამის ოპტიმალურ ბალანსებათა ძიებას; საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმვას შემუშავებასა და რეალიზაციას; სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედებას; სამეურნეო და საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის იურიდიულ რეგულირებას; ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, დამხმარე მეურნეობასა და საბაზრო ურთიერთობას; მატერიალური და მორალური ფაქტორების მასტიმულირებელი როლის შესწავლას.

სოციალურ-ეკონომიკური და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხების ასეთი ერთობლიობა შედის საზოგადოების ყოველდღიური ინტერესების სფეროში. სწორედ ამით არის განპირობებული მისი სუვერენული უფლება საზოგადოებრივი პოლიციის ფორმირებისა და გამოხატვისათვის, თუმცა იგი ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. მთავარი ვლინდებოდაც ამ პოლიციისადმი რელიურა და ფაქტობრივი ინტერესები, ხოლო თვით პოლიცია გაავადიანებულ იქნეს ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის ეკონომიკური არ შეიძლება არ გავისხენოთ 1977 წელს სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის სავანდო საკითხებზე გამართული კონსტატიციური დისკუსია, როცა საზოგადოებრივი აზრი კომპეტენტურ-დისკუტანტად მოგვევლინა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რათა ექვი შეგვეპაროს დღევანდელი, მით უმეტეს ხვალისდელი საზოგადოებრივი აზრის კომპეტენტურობის ეფექტებში. საქმე ის არის, რომ იგი პირდაპირ არის შეტანილი სოციალისტური მეურნეობრიობის ეფექტიანობის შეფასების სისტემაში. ეს კი მთავარია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში პოლიტიკური სისტემა იქნეს ახალ დემოკრატიულ იმპულსებს, რამდენადაც მისი განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დე-

მოკრატის შემდგომი გაშლა. სოციალური ენერჯის მაქსიმიზაცია და მისი გამოყენება საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებისათვის — ასეთია დემოკრატიზაციის პროცესის ლაბორატორია. სწორედ ამიტომ ეს პროცესი უნდა გადაიქცეს კონსტიტუციური ნორმის — „საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინების“ — რეალიზაციის პროცესად პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული, ზნეობრივი და იურიდიული ასპექტით. როგორც ჩანს, აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის რეალიზაციის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის აუცილებელია დამატებითი კრიტერიუმების შემუშავება.


საზოგადოების განვითარებადი პოლიტიკური შეგნება გამოიხატება საზოგადოებრივი აზრით, რომელიც დასაბუთებულად აცხადებს პრეტენზიას პოლიტიკურ ნორმატიულობაზე. ამის წყალობით შესაძლებლობა აქვს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ სისტემაზე, რაც უზრუნველყოფს მოცემული სისტემის ხალხის საზოგადოებრივ აზრთან შეთანხმებულ პოლიტიკურ კურსს. მართლაც, ამ სისტემის გარკვეული პოლიტიკის შერჩევა არის საზოგადოებრივი აზრით გამოხატული სხვადასხვა სოციალურ ერთობათა მოთხოვნებისა და ინტერესების, ღირებულებებისა და ნიჭრადებების ასახვის შედეგი. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრი მონაწილეობს საზოგადოების პოლიტიკურ მართვაში. ერთადერთი შესაძლო ალტერნატივაა განვითარებული სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივი აზრისათვის.

სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა გამოიღინარეობს შემდეგი ძირითადი პრინციპებიდან: მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმა პოლიტიკურ პროცესში; სახელმწიფო და სხვა სოციალური ინსტიტუტების პროექტებთან და გეგმებთან, გადაწყვეტილებებთან და საქმიანობასთან საზოგადოებრივი აზრის თანხმობის (კონსენსუსის) ზონის გაფართოება; პოლიტიკური მართვის დემოკრატიული მექანიზმების (განხილვა, დისკუსია, დიალოგი, გამოკითხვა, რეფერენდუმი) გამოყენება. თითოეული ეს პრინციპი შეიცავს პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში რეალიზებული საზოგადოებრივი აზრის ფაქტორს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ასეთი დასკვნები: ჭერ ერთი, ამ პრინციპებით ვერ ვიპოვებულა კანონები, თუ არ მივმართავთ საზოგადოებრივი აზრის ფენომენს; მეორე, საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა და გამოქვეყნება, გათვალისწინება და გამოყენება აქტუალურს ხდის პოლიტიკურ სისტემის პრინციპების მოქმედებას.

საჭიროა აგრეთვე იმ საკითხთა წრის განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რათა ანალიზური ინფორმაციის საფუძველზე კომპეტენტურმა ინსტიტუტებმა მიიღონ გადაწყვეტილებები სტრატეგიულ საკითხებზე. აქ შესაძლოა იქნას მიდგომა. პირველი დაკავშირებულია პოლიტიკური სისტემის მარეგულირებელი კონსტიტუციური ნორმების ეფექტიანობის ანალიზთან, ხოლო მეორე — პოლიტიკური რეალობით ნაკარნახევი პრობლემების ანალიზთან. რა თქმა უნდა, ორ მიდგომაზე, რომელთა ინტეგრაცია გარდაუვალია, მხოლოდ პირობითად შეიძლება ლაპარაკი. გამოკითხვის პრობლემატიკის კატალოგის შემუშავების დროს, მას ჩვეულებრივ, უნდა მიეცეს კონსტიტუციური დახასიათება. ოპინიონიკამ ჭერ კიდევ უნდა შეიმუშაოს იმ პრობლემათა შერჩევის დასაბუთებული კრიტერიუმები, რომლებიც საზოგადოებრივ გამოკითხვას ექვემდებარება⁷.

სოციალისტური დემოკრატიის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების მოქმედების ეფექტიანობა დაიდა არის დამოკიდებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაზე, მათი შედეგების გათვალისწინებასა და გამოყენებაზე. ასეთი გამოკითხვები კონსტიტუციურ ურთიერთობის რეალური მდგომარეობას შეცნობისა და წარმოსაჩინო პრობლემებისა და წინააღმდეგობების დროულად გადაჭრის საშუალებაა. გარდა ამისა, შეიძლება გავაფართოოთ სოციალური შეფასებისა და ანალიზის, როგორც პოლიტიკური კულტურის ინდიკატორების, მასშტაბი.

⁷ Об опинионике как науке об общественном мнении см. Сафаров Р. А. Общественное мнение и государственное управление. М., 1975, с. 248—249; Опинионика, «Социалистическая законность», 1976, № 8, с. 96; Сафаров Р. А. Проблемы исследования общественного мнения, «Вопросы философии», 1977, № 1, с. 38.



საზოგადოებრივი გამოკითხვისათვის სახელმწიფო-სამართლებრივ საკითხთა წრეზე წარმოდგენას გვაქმნის შემდეგი ცხრილი⁸:

| | მოსკოველები | | | მარტის სსრ-ის მცხოვრებლები | | |
|---|--------------------|-----------|-------|----------------------------|-----------|-------|
| | აბსოლუტური ციფრები | პროცენტით | რანგი | აბსოლუტური ციფრებით | პროცენტით | რანგი |
| როგორ მიგაჩნიათ, სახელმწიფო ორგანოებმა რომელ საკითხზე უნდა გამოავლენონ და გითვალისწინონ მოსახლეობის აზრი? | | | | | | |
| ყველა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტზე | 483 | 33,6 | 2 | 164 | 33,9 | 1 |
| ყველაზე დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ღონისძიებებზე | 319 | 22,2 | 3 | 70 | 14,5 | 3 |
| სახელმწიფო ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობის შეფასების თაობაზე | 274 | 19,1 | 4 | 60 | 12,4 | 4 |
| თანამდებობის პირთა დანიშვნის, გადაადგილებისა და განთავისუფლების საკითხებზე | 174 | 12,1 | 5 | 29 | 6,4 | 5 |
| იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს | 512 | 35,6 | 1 | 135 | 27,9 | 2 |
| სხვა საკითხებზე | 13 | 0,9 | — | 2 | 0,5 | — |
| მოსახლეობის აზრის გამოვლენა | 99 | 6,9 | — | 39 | 8,1 | — |
| ზედმეტად მიაჩნია | 186 | 12,9 | — | 81 | 16,8 | — |
| უჭირს პასუხის გაცემა | | | | | | |

ხალხის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის მექანიზმის ფუნქციონირების პოლიტიკურ, იურიდიულ და წინობრივ ასპექტებზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით თანდათანობით დაგროვილი გამოცდილება აუცილებელია გამოკითხვის პრობლემატიკის შინაარსისა და ხასიათის განსაზღვრისათვის. ამასთან ეს გამოკითხველი ისეთი უნდა იყოს, რომ მათ საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც ვანაპირობებს დემოკრატიის დონეს კონკრეტულ ისტორიულ პირობებში და კონკრეტულ საკითხებზე. სწორედ ეს დიფერენცირებული და დეტალიზებული კონკრეტულობაა აუცილებელი დემოკრატიის „ანატომიისათვის“, მისი დიაგნოსტიკისა და რეცეპტურისათვის.

დემოკრატია დინამიური კატეგორიაა. მისი განვითარების კონცეფცია მრავალ ელემენტს შეიცავს: სუბიექტების მიერ თავიანთი უფლებების გამოყენებისა და მოღალატეობით შესრულებისათვის პირობების შექმნა და მათი შენარჩუნება; პასუხისმგებლობა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისათვის; პოლიტიკურ პროცესზე მოქალაქეთა ზემოქმედების ახალი ფორმებისა და მეთოდების აიება; საზოგადოებრივი აზრის, როგორც დემოკრატიის ინსტიტუტის როლის ამაღლების პროგრამის შემუშავება. ამ კონცეფციის რეალიზაციისათვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურებიც. კერძოდ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შექმნა. ვფიქრობთ, რომ

⁸ ეს ცხრილი შედგენილია 1976-1977 წლებში მოსკოველთა წარმომადგენლობითი (1447 კაცი) გამოკითხვის და 1978 წელს მარტის ასსრ-ის ქალაქის მოსახლეობის (425 კაცი) ასეთივე გამოკითხვის საფუძველზე.

⁹ Это предложение уже высказывалось в литературе см. Сафаров Р. А. Влияние общественного мнения в государственно-правовой практике, «Советское государство и право», 1967, № 10, с. 52; его же. Общественное мнение и государственное управление, М., 1975, с. 92; его же, Общественное мнение в условиях развитого социализма, «Коммунист», 1977, № 12, с. 40; Алексеев Б. К., Докторов В. З., Фирсов Б. М. Изучение общественного мнения: опыт и проблемы, «Социологические исследования», 1979, № 4.

ასეთი ინსტიტუტი ხორცს შეასხამს ოპინიონისტურ პრობლემათა კვლევის ოპტიმიზაციის მოდელს.

დამახასიათებელია, რომ უკვე შეინიშნება საზოგადოებრივი აზრის კვლევის პროცესის ინსტიტუციონალიზაციის ტენდენცია. ამას მოწმობს, მაგალითად, საქართველოში კონსტიტუციის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დადგენილება საზოგადოებრივი აზრის საბჭოს შექმნის თაობაზე¹⁰. სკკპ მოხელის საქალაქო კომიტეტის პლენუმის (1978 წ.) გადაწყვეტილებით პარტიის ყველა რაიონულ კომიტეტთან და პარტიკომებთან იქმნება საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭოები¹¹. პრინციპულ მნიშვნელობა აქვს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში 1979 წელს შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის გამაანალიზებელი ჯგუფები¹².

საზოგადოებრივი აზრის ეფექტიანი ზემოქმედება შესაძლებელია სახელმწიფო მოსამსახურეთა ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით. სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, თითქმის ყველა მოსამსახურე (ხელმძღვანელები და სპეციალისტები) სათანადოდ იყოს მომზადებული ოპინიონისტური პროცესის აღქმისათვის, რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი აზრის გამოვლენასა და გამობჯავს, გათვალისწინებასა და გამოყენებას, ინფორმაცირებასა და ფორმირებას. ამიტომ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც ამუხრუბებს სახელმწიფო და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან საზოგადოებრივი აზრის ურთიერთმოქმედების პროცესს, რადგან ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს დემოკრატიულ ურთიერთობათა შინაარსზე. ამრიგად, იმაზე, თუ როგორ ეცილებიან საზოგადოებრივ აზრს, როგორც დემოკრატიულ ღირებულებას, თანამდებობის პირნი (ხელმძღვანელები და სპეციალისტები), ბევრი რამ არის დამოკიდებული.

როცა საზოგადოებრივ აზრსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის სოციალური წინააღმდეგობების მიზეზებს ვაანალიზებთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც ობიექტური და სუბიექტური საფუძველი აქვთ. ობიექტურს განეკუთვნება, მაგალითად, მატერიალური, ფინანსური და სხვა საშუალებათა შეზღუდულობა. ამასთან დამახასიათებელია, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოუყენებლობას მოსამსახურენი ხშირად, უწინარესად, სწორედ ამ ობიექტური მიზეზით. ეტყობა, მაინც სხვადასხვაგვარად ესმით აღნიშნული მიზეზი, რადგან კვლავ უცნობია რამდენად გამართლებულია მოცემული ორგანოს მიერ გაწეული მატერიალური და ფინანსური ხარჯები. მაშასადამე, წარმოიქმნება პრიორიტეტების პრობლემა, ე. ი. პრობლემა, თუ რამდენად სწორია ამა თუ იმ ამოცანის პირველ რიგში გადაჭრის გადაწყვეტილება. იგი კი აღდეკავტურად ვერ გადაწყდება, თუ არ მივმართთ საზოგადოებრივ აზრს, თუ მან არ განიხილა გათვალისწინებული პრიორიტეტების სისტემა.

ყოველი დაუკმაყოფილებელი სოციალური მოთხოვნილება საზოგადოებრივ აზრსა და მოცემულ სახელმწიფო ორგანოს შორის სოციალური დაძაბულობის წყარო ხდება. ამ დამოკიდებულების არსებობა განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოს მოვალეობას, რათა უფრო სრულად დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ინტერესები. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს საზოგადოებრივი აზრისა და სახელმწიფო ორგანოს პოზიტიური ურთიერთმოქმედების პერსპექტივებს.

სოციალურ წინააღმდეგობათა ყველაზე გავრცელებული სუბიექტური მიზეზები დაკავშირებულია იმასთან, რომ ზოგიერთი მოსამსახურე ყურადღებას არ აქცევს საზოგადოებრივი აზრის ამსახველ ინფორმაციას და ყოველთვის როდი აგებს პასუხს მისი შეუფასებლობისათვის. ორივე შემთხვევაში მუდავდება პოლიტიკური და სამართლებრივი შეგუების დეფექტები. რაც აზრსა, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა ინსტიტუტებთან საზოგადოებრივი აზრის ურთიერთმოქმედების სოციალისტურა ბუნების დეფორმირებას იწვევს. ასეთ მიდგომას ხშირად მივყავართ სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებისაღმე მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაინტერესებას შესუსტებამდე, ე. ი. საზოგადოებრივი აზრის სოციალური ქმედუნარიანობის შესუსტებამდე. საზოგადოებრივი აზრისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთმოქმედების პრინციპებმა უნდა ასახოს დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპები.

¹⁰ См. «Заря Востока» от 6 июля 1975.

¹¹ «Московская правда» от 1 апреля 1978; Об опыте работы указанного Совета см. «Московская правда» от 1 июня 1979.

¹² Черненко К. Работать для народа и вместе с народом, «Проблемы мира и социализма», 1979, № 5, с. 8.



განვიორბული სოციალიზმის პირობებში შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს სახელმწიფო ორგანო იცავდეს საკუთარ ინტერესებს, რომლებიც არ ემთხვევა საზოგადოებრივ ინტერესებს. აღნიშნულ ორგანოს შესაძლოა ჰქონდეს საკუთარი პოზიცია, რომელიც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს. უმარავი სოციალური მიზნის რეალიზაციის დროს ასეთი პოზიციის არსებობა მთლიანად გამართლებულია. საზოგადოებრივი აზრისა და სახელმწიფო ორგანოს კლასიცივი იდენტურობა როდი ნიშნავს ერთსა და იმავე საკითხზე. მათი შეხედულებების ერთგვაროვნობას. უფრო მეტიც, მიმდინარეობს მოახოვნილებების დაქმავოფილების ფორმების და მეთოდების, ვადების და მასშტაბების თაობაზე არსებულ თვალსაზრისთა დიფერენციაციის პროცესი. ხწორედ ეს განაპირობებს სოციალურ წინააღმდეგობებს, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია დემოკრატიული პროცედურების (მაგალითად, დისკუსია, დიალოგი, გამოკითხვა და ა. შ.) საშუალებით. ყოველივე ეს ადადგენს წონასწორობას, თუშეცაჟა მათ შორის დიალოგი შესაძლოა კვლავაც გაგრძელდეს. ეტყობა, ეს წინააღმდეგობანი გარდაუდვლია და ისინი საბოლოოდ ორივე მხარის პოზიციებისა და ინტერესების შეთანხმების საშუალებას შექმნის.

პოზიციებისა და ინტერესების შეთანხმების პროცესი ასე თუ ისე წარმოაჩენს თავის საზღვრებს. ამიტომ გამორიცხული არ არის კომპრომისები, რაც საკმაოდ ხშირია, როცა საზოგადოებრივი აზრი ჩართულია სოციალური მოთხოვნებისა და ინტერესების გამოხატვისა და დასაბუთების პროცესში. დომინანტული მდგომარეობა კი იმ ტენდენციას უკავია, რომელიც ურთიერთმისაღებ შეთანხმებას ასახავს და მაინც საჭიროა სერიოზულად გამოვიკვიროთ სოციალურ წინააღმდეგობათა მიზეზები და პოზიციისა და ინტერესების შეთავსების ხასიათისა და მოცულობის ამ შეთავსების მასტაბილიზაციული ფაქტორები.

აქტუალური ხდება კონცეფციური საფუძვლის შემუშავება, რომლის სტრუქტურაში შედის პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და სხვა ფაქტორები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანამდებობის პირთა პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის ფორმირებას. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ მართვის დემოკრატიული აზროვნების გამოშეშავება. დემოკრატიული მოტივებითა და კრიტერიუმებით ოპერირებისადმი სწრაფვა განისაზღვრება პოზიტიური სოციალისტური ფაქტორების სისტემით. ამ ფაქტორებს თავისთავად არ შეუძლია ზემოქმედება, თუ საკმარისად არ არის განვითარებული კონსტიტუციური და სხვა სოციალური ნორმების ადეკვატური აღქმა. დემოკრატიული სახელმწიფო მართვა დაკავშირებულია სოციალურ ნორმებსა და მისი აღქმისა და აქცეპაციის ფსიქოლოგიათა შორის შეუსაბამობის თანდათანობით შემცირებასა და აღმოფხვრასთან.

ამრიგად, სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკის გამოკვლევა სულ უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ საზოგადოებრივი აზრი, როგორც სოციალისტური დემოკრატიის მნაშენელოვანი ინსტიტუტი, თანდათანობით ვითარდება. იქნეს რა ინსტიტუციონალურ ხტატუსს, საზოგადოებრივ აზრს შეუძლია უფრო ეფექტიანი ზემოქმედება მოახდინოს სხვა სოციალურ ინსტიტუტებზე, უბიძგოს ისეთი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების, რომლებიც მას მიწანშეწონილად მიაჩნია, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საზოგადოებრივი აზრი გამოხატავს სოციალურ ერთობათა ნებას, რომლებსაც ყველა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეუწამოს თავის პოლიტიკებს და გეგმებს, გადაწყვეტილებანი და მოქმედება. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუციონალობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი. როცა მას არა მარტო ანგარიშს უწევენ, არამედ არც შეიძლება არ გაუწიონ ანგარიში და ყურად არ იღონ, თუ იგი გამოხატავს სწორად შეცნობილ სოციალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. მხოლოდ ამ პირობის დაცვით შეიცნობენ მას მოქალაქეები და თანამდებობის პირნი როგორც პოზიტიურ დემოკრატიულ ფაქტორს. სწორედ ანგვარად არის ჩართული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა ცხოვრებას წესის სტრუქტურაში, რის წყალობითაც ზაჩე ესმება პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული გადაწყვეტილებების მიღების ცენტრებისადმი მის ლტოლვა.

საბჭოთა ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ სკკ XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ. პარტიის ყრილობები ყოველთვის დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ეტვი არ არის, რომ პარტიის XXVI ყრილობა კიდევ უფრო მასშტაბურ ამოცანებს დასახავს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში, მართვისა და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისათვის.



შთავაქია საგართაღრაკლვევათა პროზიდაქვიკა

მ. ფარჯაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი

ჩვენს ქვეყანაში თანამიმდევრულად ხორციელდება მიზანდასახული ღონისძიებები სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მანე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. მშრომელთა ფართო მასებს ახარებთ ის სასიკეთო ძკრები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად არის მოპოვებული მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიის მიერ აღებულმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კურსმა შექმნა ყველა პირობა, რათა ძირშივე აღიკვეთოს კანონიერების ყოველგვარი დარღვევა, მოისპოს მისი წარმომშობი მიზეზები.

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო ნათლად იკვეთება ნეგატიური ტენდენციების დაძლევის პროცესი, გაჯანსაღდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მეტი ყურადღება ექცევა მოქალაქეთა უფლებების დაცვას, თანდათანობით ეღება ბოლო სოციალიზმისათვის შეუფერებელ ისეთ სამარცხვინო მოვლენებს, როგორც არის მექრთამეობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, ძარცვა, ქურდობა, ძალიანობა, ხულიგნობა და სხვ.

ყველაფერი ერთბაშად და იოლად არ მოსულა, ყოველივე ეს რესპუბლიკის კომუნისტთა, ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის, ჩვენი ახალგაზრდობის მოუღლევი შრომის შედეგია. მათ მტკიცედ სწამთ ხვალინდელი დღე და ძალას, ცოდნას, გამოცდილებას არ იშურებენ კომუნისტური იდეალების დასამკვიდრებლად. მაგრამ რაც გაკეთდა, დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია და ჩვენი მუშაობის ფორმები და მეთოდები შემდგომ გაუმჯობესებას, დახვეწას მოითხოვს. ღრმად უნდა გავიაზროთ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „რაც უფრო მაღლდება ჩვენი საზოგადოების განვითარების დონე, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება ზნეობის სოციალისტური ნორმებისაგან გადახრები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილია“. საჭიროა ვეძიოთ ახალი ფორმები და ეფექტიანი საშუალებანი ამ პრობლემის გადასაჭრელად.

პარტიის ქუთაისის ლენინის რაიონული კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

ნამდვილად რომ საეტაპო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებას „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელმაც დაგვისახა დამნაშავეობასთან

ბრძოლის მეტად სერიოზული და კონკრეტული ამოცანები. იგი კიდევ უფრო დააკონკრეტა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელზეც გაანალიზეს რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის საჭირო მუშაობის მთავარი მიმართულებები.

რესპუბლიკური აქტივის კრების შედეგები განვიხილეთ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საერთო კრებებზე, შევისწავლეთ ადგილებზე შექმნილი მდგომარეობა და დავსახეთ ღონისძიებანი დანაშაულის შემცირებისათვის, სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის.

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას წარემართავთ ორი მთავარი მიმართულებით: ერთი მხრივ, ეს არის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის და მეთოდების დახვეწა და მეორე მხრივ, დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიურობის ამაღლება.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის, მათს მუშაობაში კონკრეტულად და საგნობრივად ჩაწვდომის მიზნით პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ყოველკვარტალურად განვიხილავთ რაიონის პროკურორის, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ინფორმაციებს, ხოლო ყოველთვიურად — განყოფილების ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. ბიურო ისმენს აგრეთვე პარტიის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნის ინფორმაციას ოპერატიულ ვითარებების თაობაზე. ყოველივე ამის საფუძველზე ისახება დანაშაულობათა თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებები.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროზე მოკლე პერიოდში განხილულია მუქთახორობის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელებისა და მართლწესრიგის საყრდენი პუნქტების მუშაობის გაუმჯობესების, არასრულწლოვანთა შორის მართლწესრიგის დაცვის, მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური შეგნებისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

პარტიის რაიკომთან შექმნილია მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესების და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების სამუშაო ჯგუფი, რომელიც თავის სხდომებზე ორშაბათობით ისმენს რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა და რაიონული საბჭოს აღმასკომის იმ კომისიათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის. სამუშაო ჯგუფი ასევე ვანიხილავს მართლწესრიგის საყრდენი პუნქტების, პროფილაქტიკის საბჭოების, ამხანაგურ სასამართლოთა თავმჯდომარეების, უბნის ინსპექტორებისა და საუბნო კომიტეტების, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების უფროსების და პედაგოგ-ორგანიზატორების ანგარიშებს მართლ-

წესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის თაობაზე, აგრეთვე იმ სა-
წარმოთა, დაწესებულებათა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული
ხელმძღვანელების ინფორმაციებს, სადაც მატულობს ლოთობის, სიმთვრალის,
დროს მანქანის მართვის, წვრილმანი ქურდობისა და სხვა დარღვევების შემ-
თხვევები. სხდომაზე დეტალურად მსჯელობენ ცალკეულ პრობლემებზე და
სახავენ მათი გადაჭრის კონკრეტულ ღონისძიებებს. სამუშაო ჯგუფმა წინა-
დადება შეიტანა პარტიის რაიონულ კომიტეტში, რათა ბიუროს განეხილა სა-
კითხი რაიონში ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების
ღონისძიებათა შესახებ, რაც გთვალისწინებულ იქნა. ბიურომ დაამტკიცა
რაიონში ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გეგმა.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდამცველი ორგა-
ნოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან
სოციალისტური საკუთრების დაცვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერები-
სათვის.

ამ მიმართულებით საქმიანობა კიდევ უფრო ქმედითი, სისტემატური და
კონკრეტული გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრა-
ლურმა კომიტეტმა 1979 წლის 18 სექტემბერს მიიღო დადგენილება „ქუთაისის
საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ სოციალისტური საკუთრების და-
ტაცებისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა
შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 20 თებერვლის დადკე-
ნილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

განხორციელებული ღონისძიებების წყალობით რაიონში გარკვეული და-
დებითი შედეგებია მიღწეული ყველა უბანზე სახელმწიფო დისციპლინის გან-
მტკიცებაში, რაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარ-
მატებით შესრულების გადამწყვეტი პირობაა.

რაიონში მაღალ დონეზე მოეწყო სახელმწიფო ქონების დაცვის ერთ-
თვიური. სპეციალური გეგმით განხორციელდა ბევრი ორგანიზაციულ-პოლი-
ტიკური ღონისძიება.

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობა უკანასკნელ
პერიოდში საგრძნობლად სრულყო ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძო-
ლის კოორდინაციის რაიონულმა კომისიამ, რომელიც თავის სხდომებზე მსჯე-
ლობს რაიონის ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარი ნეგატიური მოვლენების
წარმომშობ მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე.

დამყარდა საქმიანი კავშირთა ერთობა ქალაქისა და რაიონის მაკონ-
ტროლებელ ორგანოებთან. განმტკიცდა გამოვლენილ დარღვევათა შესახებ
ოპერატიული ინფორმაციებისა და მათზე რეაგირების სისტემა. კომისიის
სხდომებზე განიხილება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოვლენ-
ილი დარღვევები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაჭრობისა და სა-
ყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არსებული ნაკლოვანებების გამოს-
წორებას. კომისია დიდ ყურადღებას უთმობს ცალკეულ დამნაშავეებთან აღ-
მინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის საკითხებ-
საც.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები განმტკიცებენ აღმი-
ნისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთკავშირს. ამას ხელი შეუწყო გასული
წლის დამლევს გამართულმა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და

სამართლებრივი ცოდნის პრობაგანდის დეკადამ, რომელიც მოეწყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან, რესპუბლიკის პროკურატურასთან, უმაღლეს სასამართლოსა და გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციასთან ერთად. დეკადამ წარმატებით ჩაიარა და დაგვარწმუნა, რომ სამართალდარღვევათა პროფილქტივის საქმეში ამოუწურავი შესაძლებლობანი აქვთ სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს, კომკავშირის რაიკომს, სახალხო კონტროლის კომიტეტს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, საუბნო კომიტეტებს, შრომითს კოლექტივებს; მან გვიჩვენა, რომ კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლას მხოლოდ მაშინ მოჰყვება საგულისხმო შედეგი, თუ ამისათვის ფართოდ დაგრაზმავთ საზოგადოებრიობას, მკაცრ კონტროლს დავუწესებთ საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობას, აღვკვეთავთ უღისციპლინობას, ბიუროკრატიზმს, რაც ყველაზე მეტად უშლის ხელს ჩვენს წინსვლას, ამუხრუჭებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მართლწესრიგის საყრდენი პუნქტების საქმიანობას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები.

გადახალისდა და გაიზარდა რაიონის სახალხო რაზმელთა შემადგენლობა, დაწესდა ყოველდღიური კონტროლი მათი საქმიანობისადმი. სახალხო რაზმელთა რესპუბლიკურ დათვალიერებაში მიღწეული წარმატებებისა და აქტიური საქმიანობისათვის რაიონის სახალხო რაზმელთა მთელი შემადგენლობა დაჯილდოვდა გარდამავალი დროებით.

მიმდინარე წელს პრაქტიკაში დამკვიდრდა მომხდარ დანაშაულზე ოპერტიული რეაგირება, განხილვა შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ მასივებში. ასეთი განხილვა მოეწყო 33-ე საშუალო სკოლაში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათში“ და ახალგაზრდობის მიკრორაიონში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ სახალხო რაზმელებმა იკისრეს საწარმოს ახლომდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, შაუმიანის ქუჩაზე დამყარებინათ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ხელსაწყოთა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა და მათაც ვალდებულება იკისრეს იმორიგეონ დღის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით ორივე შრომითმა კოლექტივმა შეიმუშავა სპეციალური ღონისძიებები, რაზემეცად შეირჩა 100 პრინციპული ამხანაგი.

ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვანებთან მუშაობის გააქტიურების მიზნით კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა მთლიანად გადაახალისა საზოგადოებრივი შეფები, ფართო ხასიათი მიიღო შეფებად შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის ჩაბმის პრაქტიკამ, ძნელად აღსაზრდელ ჩრასრულწლოვანებს, თავიანთ შეფებთან ერთად, ხვდებიან პარტიის რაიონული კომიტეტის, რაიონული საბჭოს აღმასკომისა და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა და ფუნქციონირებს ჯგუფი დღის განმავლობაში ქუჩაში უმეთვალყურეოდ მოხეტიალე და გაკვეთილების გამცდენ მოსწავლეთა და სტუდენტთა გამოვლენისა

და მათზე რეაგირების მიზნით. ვფიქრობთ, ეს და სხვა ღონისძიებები სასურველ ნაყოფს გამოიღებს არასრულწლოვან ხალგაზრდებთან მუშაობაში.

მსხვილ საწარმოო დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების ინიციატივით კომუნალურ და კოოპერატიულ სახლებში დღის განმავლობაში ორგანიზებულია მორიგეობა. განხორციელდა ღონისძიებანი საცხოვრებელი სახლების ტექნიკური გამაგრებისა და მუშა-მოსამსახურეთა ბინების სიგნალიზაციით აღჭურვის მიზნით. ამჟამად რაიონში სიგნალიზაციაზე ჩართულია 190 საცხოვრებელი ბინა.

დაზიანებულ ხალხმრავალ მიკრორაიონებში მართლწესრიგის საყრდენ პუნქტებთან მთელი დღის განმავლობაში შემოღებულია სახალხო რაზმელთა სპეციალური ჯგუფის მორიგეობა.

საწარმოო დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები შინაგან საქმეთ რაიგანყოფილების მუშაკებთან ერთად მონაწილეობენ ღამის პატრულირებაში.

შრომითს კოლექტივებსა და სასწავლო დაწესებულებებში ლექცია-მიწსენებებს კითხულობენ ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

ამის შედეგად მიმდინარე წლის 8 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაიონში საგრძნობლად იკლო სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთან კვლავ არის ქურდობის, წვრილმანი ხულიგნობის, სპეკულაციის, მუქთახორობის შემთხვევები და სხვა ნეგატიური მოვლენები.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ რაიონში სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ არ მიუღწია მიზანმიმართული, შემტევი, თანამიმდევრული ხასიათი; ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთთანამშრომლობის მწყობრი სისტემა.

კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების დაკომპლექტება სათანადო განათლებისა და პროფესიული ჩვევების კადრებით. ეს ამუხრუჭებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ამოქმედების შესაძლებლობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პრობლემის გადასჭრელად პარტიის რაიონულმა კომიტეტმა პასუხისმგებელი მუშაკები მიაჩაგრა სამრეწველო და სასწავლო ორგანიზაციებზე შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებისათვის მუშაკთა რეზერვის შესარჩევად.

საკმარისად ეფექტიანი არ არის თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებული პირების საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის მიღებული ზომები.

პარტიის რაიონულ კომიტეტს შეგნებული აქვს, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი იღონოს რაიონში დანაშაულობათა აღკვეთის უზრუნველსაყოფად.

ქ. მარტის სახ. სან
№ 564. სახელმწიფო
რესტრუქტურის
ბიზნეს-ცენტრი

2. „საბჭოთა სამართალი“

კანონი სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ

3. მინისტრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით განახორციელა უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რაც კანონმდებლურად დადასტურდა სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში, როცა მთელი სახალხო მეურნეობა გეგმავზომიერად ვითარდება, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელია სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფა, საგეგმო და სახელმეკრულებო დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცება. ამ მიზნით ბოლო წლებში სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს მთელი რიგი ფუქემდებლური დადგენილებანი.

სამეურნეო მექანიზმის მართვის გაუმჯობესებას უდავოდ შეუწყობს ხელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის მეორე სესიის მიერ 1979 წლის 30 ნოემბერს მიღებული კანონი სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1980 წლის 1 ივლისიდან. ამ კანონის მიღება სახალხო მეურნეობაში არბიტრაჟის როლის ამაღლებაზე მეტყველებს. აქამდე სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობას აწესრიგებდა მისივე დებულებით, რომელსაც ამტკიცებდა შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

კანონს სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მან უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება, სახალხო მეურნეობის სფეროში კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. კანონი იძლევა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა ორგანიზაციას, განსაზღვრავს მის ამოცანებს, კომპეტენციას და სხვა საქმიანობის ძირითად მიმართულებებს თანამედროვე პირობებში.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა, შეეხო რა სახალხო კონტროლის, უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟის, ადვოკატურის შესახებ კანონების მნიშვნელობას, მიუთითა: „ეს კანონები უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას; და მაშასადამე მათ უშუალო დამოკიდებულება ექნებათ იმ საკითხებთანაც, რომლებზეც დღეს ვბჭობთ. კანონების მტკიცე განუხრელი შესრულება ხომ მთელი სამეურნეო მექანიზმის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი წინამძღვარია“¹. სესიაზე კი კავშირის

¹ ამხანავ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1979 წლის 21 ნოემბერს, ბროშურა, ვამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვ. 25.

საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დებუტატმა ნ. ს. გორბაჩოვმა, დაახასიათა რა თითოეული კანონპროექტი, აღნიშნა: „სახელმწიფო არბიტრაჟის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, მხარეთა ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების დაცვის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, რაციონალური სამეურნეო ურთიერთობის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის საკითხები“².

კანონის მიღებამდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი ვარდაიქმნა საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ, შეიქმნა სახელმწიფო არბიტრაჟის ერთიანი სისტემა, მოხდა მისი ცენტრალიზაცია, რაც სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა საქმიანობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ამ სისტემაში ახლა 156 სახელმწიფო არბიტრაჟია გაერთიანებული.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე სულ უფრო რთულდება სამეურნეო ურთიერთობა, ამიტომ სახალხო მეურნეობის მართვის სამართლებრივი ფორმები მეტ მნიშვნელობას იძენს. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა მეშვეობით ჩვენი პარტია და მთავრობა აღწევენ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებას, მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

ცნობილია, რომ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებანი უმეტეს შემთხვევაში გვემის საფუძველზე იდება, რომლის იმპერატიული ბუნება განაპირობებს ხელშეკრულების დადების აუცილებლობას, საიდანაც პირდაპირ განმდინარეობს სანქციის წარდგენისა და პასუხისმგებლობის სავალდებულო ხასიათი.

სამეურნეო დავათა განხილვის პროცესში თავისი კონსტიტუციური ფუნქციების განხორციელებისას სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები დავას წყვეტენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

1979 წელს საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ განხილულია 17.469 ქონებრივი და 649 სახელშეკრულებო დავა. არბიტრაჟის მიერ დავათა განხილვისას, კანონის მე-2 მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილია დავაში მონაწილე მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომელიც ეკონომიკური კანონების საფუძველზე უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გვეგზომიერ და პროპორციულ განვითარებას, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხს საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი ახორციელებს სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოსადმი ხელმძღვანელობას მოკავშირე, რესპუბლიკათა სახელმწიფო არბიტრაჟების მეშვეობით. ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს

² გაზეთი „კომუნისტი“, 1979, № 275.

სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გარდა, სახელმწიფო არბიტრაჟები დღეისათვის შექმნილია აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან.

კანონმა არბიტრაჟს დაუქვემდებარა დავები სახელმწიფო, კოლხეზრაციულ (კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოების და მათი გაერთიანებების გარდა) და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელიც წამოიჭრება სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების, შეცვლის, გაუქმების და შესრულების დროს ან სხვა საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი დავის გადაწყვეტა კანონით სხვა ორგანოების განმგებლობას განეკუთვნება.

კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია წარმოებაში მიიღოს და გადაწყვიტოს ყოველგვარი დავა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ექვემდებარება. ამასთან, კანონის მეოთხე თავში რეგლამენტირებულია როგორც ქონებრივი, ისე სახელშეკრულებო დავის (სამეურნეო დავები) გადაწყვეტის წესი, დაწყებული სასარჩელო განცხადების მიღებით და დამთავრებული გადაწყვეტილების შესრულებით და ამ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელებით.

კანონის მე-14 მუხლით, სამეურნეო დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი სხდომის თავმჯდომარის — სახელმწიფო არბიტრის ან მთავარი სახელმწიფო არბიტრის, ანდა მისი მოადგილის — და მხარეთა წარმომადგენლების შემადგენლობით.

მხარეები მოვალენი არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის კანონით მინაჭებული საპროცესო უფლებები, პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე და აუცილებლად უნდა იყოს აღსრულებული საქმეში მონაწილე სათანადო მხარის მიერ.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს ვასცდეს სასარჩელო მოთხოვნის საზღვრებს, გადაახდევინოს ვალდებულების უხეშად დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული ოდენობით და გადარიცხოს გადახდევინებული თანხის ეს ნაწილი საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გადარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში გადახდევინებული პირგასამტეხლო, თუ მოსარჩელეს არ წაუყენებია მოთხოვნა სანქციის შესახებ, ანდა დაარღვია კანონმდებლობა, რაც არ ამცირებს მოპასუხის პასუხისმგებლობას და ასევე — როცა საქმე აღძრულია სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით. ყოველივე ეს აშკარად მეტყველებს სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებების გაფართოებაზე, რითაც უნდა ვისარგებლოთ სამეურნეო დავათა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების დროს.

სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის მე-V თავის მუხლებს, რომლებიც აწესრიგებს კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილების და სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფის თაობაზე წინადადებათა შემუშავებას.

კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო არბიტრაჟი საწარმოებს, დაწესებულებებს, მათ ზემდგომ ორგანოებს და თანამ-

დებობის პირებს უგზავნის, შეტყობინებებს სამეურნეო საქმიანობაში გამოვლენილ კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემისა და მათ მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.

შეტყობინებებს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, რომელთა მიზანია სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის უფლებმხრები განმტკიცება, არბიტრაჟის მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

თუ საჭირო გახდა, შეტყობინებები დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად ეგზავნებათ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს.

1979 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა სამეურნეო საქმიანობაში დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით გაგზავნა 730 შეტყობინება 6.284 საქმის გამო. აქედან: 477 შეტყობინება გაეგზავნა დაწესებულებებს, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ ზემდგომ ორგანოებს, 65 — პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, 106 — პროკურატურას, 50 — სახალხო კონტროლს, და 32 — სამინისტროებსა და უწყებებს. რაც შეეხება შეტყობინებათა ხასიათს, იგი ეხება სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისას გამოვლენილ ნაკლოვანებებს, პროდუქციისა და საქონლის მიუწოდებლობას და ვადავადაცილებით მიწოდებას, დანაკლისს, უხარისხო პროდუქციის გაგზავნის, იურიდიული სამსახურის მუშაობის ნაკლოვანებებს და სხვ.

შეტყობინებათა მიმღები საწარმოები და მათი ზემდგომი ორგანოები ვალდებული არიან შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აცნობონ სახელმწიფო არბიტრაჟს, თუ რა ზომები იხმარეს.

სამეურნეო ურთიერთობაში დარღვევათა თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის 27-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები, დადგენილი წესით, ინსტრუქტაჟს უწევენ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟებს სამეურნეო დავების განხილვისას, აგრეთვე სხვა იმ ორგანოებს, რომლებიც სამეურნეო დავას წყვეტენ, სწავლობენ მათი მუშაობის გამოცდილებას და იძლევიან რეკომენდაციებს მათი სრულყოფის შესახებ. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების უფლებასა და ვალდებულებას შეიმუშავოს წინადადებანი არსებული კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ (მუხ. 24).

კანონი სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ ხელს შეუწყობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, სამეურნეო კანონმდებლობის განუხრელ ხორცშესხმას.

რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ცოდნასა და ენერჯიას არ დაიშურებენ იმ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მათ სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის კანონმა დაუსახა.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის

შ. შავთიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლას უაღრესად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს უწყობს სკკპ პროგრამითა და პარტიის XXV ყრილობით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაობის სრულყოფა-გაუმჯობესებას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა-განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო აპარატის გამართულ მუშაობას. ლენინს საბჭოთა აპარატი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლის მთავარ იარაღად მიაჩნდა. „უაპარატოდ, — წერდა იგი, — ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით. თუ არ ვაწარმოებთ სისტემატიური და შეუპოვარი ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე“¹. ამასთან, მოითხოვდა რა სახელმწიფო აპარატის. შეერდომ ვაუმჯობესება-სრულყოფას, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „წლებმა და წლებმა უნდა განვლოს, რომ პიკულწით ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, მის აღმავლობას“².

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში აღნიშნულია, რომ „სკკპ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებას, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსების სწორად გამოყენება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების დროზე გადაჭრა. საბჭოთა აპარატი უნდა იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული და არ უნდა ჩინდეს არაკითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას“³.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა ვერ განხორციელდება, თუ სახელმწიფო აპარატში, ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე თანამდებობის პირები აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ. თუ რომელიმე თანამდებობის პირი არღვევს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს, ამით იგი ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალურ მუშაობას, ლახავს მის ავტორიტეტსა და ღირსებას. ამიტომ, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 405.

2 იქვე, თხზ., ტ. 33, გვ. 468.

3 სკკპ პროგრამა, თბილისი 1971, გვ. 151-152.

მოცანა „გამორიცხოს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ მუშაკთა ხრივ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა“⁴.

პარტია მოითხოვს გავაჩაღოთ უკომპრომისო ბრძოლა „კანონიერების დარღვევების, კრიტიკის ჩახშობის, საქმის გაჭიანჭურების და ბიუროკრატიზმის ფაქტების წინააღმდეგ“⁵. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ყველა რგოლის თანამდებობის პირები მოვალენი არიან დაეუფლონ მუშაობის ლენინურ სტილს, „სტილს, რომელიც, გულისხმობს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი. გამორიცხავს თვითკმაყოფილებას, უპირისპირდება ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას“, რადგან იგი „ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის, ყველა ჩვენი გეგმის რეალიზაციის წანამდგარი“⁶. პარტია, როგორც აღნიშნულია 1979 წლის 11 სექტემბერს გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — მოითხოვს, რომ თითოეული ხელმძღვანელი, კომუნისტი და კომკავშირელი იყოს მორალურად სპექტაკი, სანიმუშოდ იცავდეს საბჭოთა კანონებს, აქტიურად იბრძოდეს სამაგალითო სოციალისტური მართლწესრიგისათვის“⁷.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა მთელი ხალხის საქმიანობა მიმართულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად. დღეს, გადამჭრელი ბრძოლა წარმოებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას, ვინც თავისი საქციელით ჩირქს სტეხებს კომუნისტისა და ხელმძღვანელის მაღალ წოდებას“⁸.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის VII თავში მოცემულ თანამდებობრივ დანაშაულთაგან ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დანაშაულია. საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკის უკანასკნელი ათი წლის მონაცემებით, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა ბევრად ჭარბობს სხვა სახეობის თანამდებობრივ დანაშაულთათვის მსჯავრდადებულთა რიცხვს.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენა ან არჩადენა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ამ დანაშაულის არსის სწორად გაგებისათვის საჭიროა გაირკვეს თანამდებობის პირის სამსახურებრივი უფლებამოსილება, მისი კომპეტენტურობა, და-

⁴ სკკპ პროგრამა, თბილისი, 1971, გვ. 149.

⁵ ლ. ი. ბრეხენვი, სიტყვა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას 1979 წლის 2 მარტს. გაზეთი „კომუნისტი“, 1979 წლის 3 მარტი.

⁶ სკკპ XXV ყრილობის პასალები, თბილისი, 1976, გვ. 93, 95.

⁷ გაზ. „კომუნისტი“: 1979 წლის 11 სექტემბერი.

⁸ გაზ. „კომუნისტი“, 1979 წლის 13 მარტი.

მოკიდებულება ჩადენილი ქმედობისადმი, აგრეთვე ამ ქმედობის ხასიათი: კერძოდ, მიმართული იყო თუ არა იგი მის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ და მიაყენა თუ არა მან ზიანი სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ თავის 1976 წლის 15 აგვისტოს განაჩენით გ-ეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით იმისათვის, რომ მან, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საწინააღმდეგოდ სხვადასხვა რესპუბლიკაში გაზიდა 904,5 ტონა მანდარინი, ე. ი. გ-ეს დანაშაული გამოიხატა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მიმართული მოქმედებით.

ამრიგად, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, შეიძლება გამოიხატოს თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედებით ან უმოქმედობით და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის არსებითი ზიანის მიყენებით. ამასთან აუცილებელია აგრეთვე არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი თანამდებობას პირის მოქმედებას (უმოქმედობას) და დამდგარ შედეგს შორის.

თუ თანამდებობის პირის მოქმედება (უმოქმედობა) არ შეიცავს დანაშაულის ამ ნიშნებს, მაშინ არც შეიძლება დადგეს თანამდებობის პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით. თუმცა აქვე უნდა შევნიშნათ, რომ ზოგჯერ სასამართლოები მხედველობიდან უშვებენ მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ამ ნიშნებს და თანამდებობის პირებს მსჯავრს სდებენ თანამდებობრივი დანაშაულისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ არის მათი ბრალდების სათანადო მტკიცებულება და მათი ქმედობა არ შეიცავს სსკ 186-ე მუხლით ვათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს. მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ ნ. გოგოხია მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით და სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. ლ. შამუგიას კი სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ქალაქი დატოვა. საქართველოს სსრ პრეზიდიუმმა არ დააკმაყოფილა რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი, რომელიც მოითხოვდა საქმის წარმოებით შეწყვეტას. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა კი ნაწილობრივ დააკმაყოფილა რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი და ნ. გოგოხიას მიმართ საქმე შეწყვიტა სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, ხოლო მის მიმართ ბრალდება სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით უცვლელად დატოვა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 6 მაისის ამნისტიის საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ განაჩენში

შეტანილი ამ ცვლილებებით ნ. გოგობია და ლ. შამუგია დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ გოგობიამ, რომელიც მუშაობდა გალის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად, და შამუგიამ, რომელიც იმავე სამმართველოს მთავარი ინჟინერი იყო, ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი მდგომარეობა, რაც იმით გამოიხატა, რომ ანგარების მიზნით რაიადმასკომის უნებართვოდ შექმნეს ქრომირების საამქრო.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა შეიტანა პროტესტი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე და მოითხოვა ნ. გოგობიასა და ლ. შამუგიას მიმართ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით საქმის წარმოებით შეწყვეტა მათ მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. პლენუმმა პროტესტი დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის დადგება მაშინ, თუ დადგინდება მის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განზრახი ქმედობის ჩადენის ფაქტი და, თუ ამ ქმედობით არსებითი ზიანი მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მსჯავრდადებულთა ქმედობაში კი ასეთი ნიშნები არ დადგინდა. ამიტომ პლენუმმა ნ. გოგობიასა და ლ. შამუგიას მიმართ გამოტანილი განაჩენი და სასამართლოს შემდგომი დადგენილება გააუქმა და საქმე წარმოებით შეწყვიტა მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო⁹.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ხდება მაშინ, როცა თანამდებობის პირის დანაშაულებრივი ქმედობა ჩადენილია უშუალოდ მისი სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ და რისთვისაც მან გამოიყენა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება განვრცობითად იქნეს გაგებული და ასეთ დანაშაულად მივიჩნიოთ თანამდებობის პირის მიერ, თავისი ავტორიტეტისა და სამსახურებრივი კავშირის გამოყენება დანაშაულებრივი მიზნებისათვის. ♦

მართალია, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის, რსფსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებისაგან განსხვავებით, აუცილებელი არ არის ანგარება ან სხვა პირადი დაინტერესება, მაგრამ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის არსებითი ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, რომლითაც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როგორც დანაშაულებრივი ქმედობა, განსხვავდება დისციპლინური გადაცდომისაგან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის არ შეიძლება თანამდებობის პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცეს ჩადენილი ქმედობისათვის თუ მისი მოქმედებით ან უმოქმედობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს არ მიადგა არსებითი ზიანი, თუნდაც მის მიერ ჩადე-

ნილი ქმედობა ფორმალურად შეიცავდეს კიდევ სსკ 186-ე მუხლის ნიშნებს მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ იყოს საზოგადოებრივად საშიში.

სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი საკითხი, თუ რა რაოდენობის მატერიალურ ღირებულებას შეიცავს არსებითი ზიანის ცნება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის პირს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ 69 მანეთიდან 2000 მანეთამდე მატერიალური ღირებულების ზარალის მიყენებისათვის. მაგრამ ზოგჯერ უფრო ნაკლები მატერიალური ღირებულების ზარალს სასამართლო მიიჩნევს არსებითად და, თუ იგი ჩადენილი იყო ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ან იგი სისტემატური იყო, თანამდებობის პირის ასეთ ქმედობას აკვალიფიცირებს ამავე მუხლის მეორე ნაწილი. მაგალითად, დ-ეს მიერ ანგარების მოტივით ჩადენილი ქმედობა, რითაც სახელმწიფოს ინტერესებს მიაღდა 47 მანეთი მატერიალური ზარალი, სასამართლომ დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით¹⁰.

არსებითი ზარალი შეიძლება გამოიხატოს არა მარტო მატერიალური ღირებულებით, არამედ ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის არამატერიალური ზარალის მიყენებითაც, რომლის განსაზღვრაც სასამართლო პრაქტიკაში კიდევ უფრო რთულია, ვიდრე მატერიალური ღირებულებისა. მით უმეტეს, რომ თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვას შეიძლება მოჰყვეს არა ფიზიკური, არამედ მარტო მორალური ზიანი. ეს მაშინ ხდება, როცა თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გამოიხატა დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი, ღირსების დამამცირებელი მოქმედებით ან ცინიზმით და სხვ. თანამდებობის პირის ასეთი ქმედობის შეფასებისას რეკომენდებულია ვიხელმძღვანელოთ კომუნისტური მორალის ნორმებითა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებით, იმ კონკრეტული ვარემოებითა და სიტუაციის გათვალისწინებით, რომელშიც იმოყვებოდა დაზარალებული.

თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არამატერიალურ ზიანად უპირველეს ყოვლისა მიჩნეულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა და სხვ.

თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული ფაქტი ზოგჯერ გარეგნულად, ერთი შეხედვით, შეიძლება არ ატარებდეს ისეთ საზოგადოებრივ საშიშ ხასიათს, რომლის გამოც შეიძლება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მისი ჩადენის მიზანი, ხერხი, დრო და ხასიათი, რამდენი პირის კანონიერი უფლებები და ინტერესები იქნა შელახული და სხვ.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენ-

10 ქ. ჭიათურის სასამართლო პრაქტიკიდან (საქმე № 1-21-77 წწ.).



ნება შეიძლება გამოიხატოს როგორც თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მიმართული აქტიური მოქმედებით, ისე მისი პასიური მოქმედებით ან უმოქმედობით. რსფსრ სსკ 170-ე მუხლისა და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება „თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენა ან არჩადენა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ“.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილ მოქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ შედეგს შორის.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული გარკვეული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი¹¹.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ეს ნათქვამია საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლშიც და უმაღლესი სასამართლოს პლენუმის არაერთ დადგენილებასა და სახელმძღვანელო მითითებებში. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 4-ე დადგენილებაში სასამართლოებს მიეთითათ, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების განხილვის დროს „აუცილებელია გამოარკვიონ, იყო თუ არა თანამდებობის პირის განზრახი მოქმედება ან უმოქმედობა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მოჰყვა თუ არა მას არსებითი ზიანი და თუ მოჰყვა, სახელდობრ, რით გამოიხატა ეს ზიანი“¹².

თანამდებობის პირს შეგნებული აქვს, რომ იგი თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებს ბოროტად, მოქმედებს სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომას და სურს იგი¹³. ამასთან მოცემული დანაშაულის შემადგენლობისათვის თანამდებობის პირის მოქმედების (უმოქმედობის) მოტივს მნიშვნელობა არა აქვს. იგი გვევლინება მხოლოდ როგორც ამ დანაშაულის მკვალიფიცირებელი გარემოება.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მიზანი და მოტივი ხშირად გამოკვეთილი არ არის. ზოგჯერ კი თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მოქმედე-

¹¹ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის შესახებ იხ. შ. ფაფიაშვილი, „თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის გავება სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლოს პრაქტიკაში“, „საბჭოთა სამართალი“, 1978 წლის № 4.

¹² საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, თბ., 1977, № 4, გვ. 21. ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება ნ. გოგობიასა და ლ. შამუგაის საქმეზე. Бюллетень Верховного Суда СССР. М., 1978, № 6, стр. 6.

¹³ ავტორი არ იზიარებს იურიდიულ ლიტერატურაში გაშთქმულ შეხედულებას, რომლითაც შესაძლებლადია მიჩნეული თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენა „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ბრალის ფორმით.

ბის მოტივი და მიზანი მოჩვენებითს კანონიერ სახესაც კი ატარებს. ეს მაშინ ხდება. როცა თანამდებობის პირი მოქმედებს სახელმწიფო გეგმის შესრულების მიზნით და სხვ. მოჩვენებითს იმიტომ ვამბობთ, რომ თვით ასეთი მიზანი და მოტივიც ვერ ამართლებს თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედობას და იგი იძლევა მოცემული დანაშაულის შემადგენლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 თებერვლის № 4-ე დადგენილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სწორად დაკვალიფიციირებისათვის აუცილებელია დადგინდეს დანაშაულის მოტივი. თუ აღნიშნული ქმედობა ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, მაშინ დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო როცა დამნაშავეს პირადი მოტივი არ ამოძრავებდა, მისი ქმედობა დაკვალიფიციირდება ამავე მუხლის პირველი ნაწილით. მაგრამ კვალიფიციაციისათვის მოტივის მნიშვნელობა აღარ ექნება, თუკი ზემოთ ხსენებულ მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი ან დამნაშავე მას სისტემატურად სჩადიოდა. ასეთ შემთხვევაში ქმედობა, მიუხედავად მოტივისა, დაკვალიფიციირდება საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით.

რისთვის სსკ 170-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლსამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლითა და თურქმენეთის სსრ სსკ 191-ე მუხლით ანგარებითი მოტივი მიჩნეულია არა როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი, არამედ როგორც მისი მაკვალიფიციირებელი ვარემოება. ამიტომ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის საკმარისი არ არის მარტო იმ ფაქტის დადგენა, რომ იგი მოქმედებდა ანგარებითი მოტივით, არამედ საჭიროა იმის დადგენაც, რომ მან თავისი ასეთი სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ანგარებითი მოქმედებით არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ანგარების მიზნით შეიძლება გამოიხატოს მატერიალური სარგებლობის მიღებით, მაგალითად, ფულის ან ქონებრივი სარგებლობის მიღება ან მათხელისუფლების მოპოვება; ვალის ან ზარალის ანაზღაურებისა და სხვადასხვა მატერიალური დავალიანებისაგან განთავისუფლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ამა თუ იმ მოქმედების ხარჯზე.

ანგარების მოტივით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიციაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა სახის ან რა ღირებულების მატერიალური გამორჩენა მიიღო თანამდებობის პირმა. მთავარია იმის დადგენა, რომ პირი მოქმედებდა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ანგარებით და რომ ქმედობას მოჰყვა არსებითი ზიანი.

მაგალითად, გ.-ემ, რომელიც მუშაობდა მალაზიის გამგე-გამყიდველად, მატერიალური გამორჩენის მიზნით მალაზიაში შეიტანა წინასწარი შეთანხმებით დანაშაულებრივი ვზით მოპოვებული 200 კმ ლურსმანი, რომლის რა-

ლიზაციიდან 70 მანეთი მისცა ლურსმანის მიმტან ჩ-ეს, თვითონ კი 12 მანეთი დაიტოვა. თუმცა გ.-ემ ამ მოქმედებით საკმაოდ მცირე (12 მანეთი) მატერიალური გამოარჩენა მიიღო, სასამართლომ მაინც დასდო მას მსჯავრი საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით, აგრეთვე სსკ 165-ე და 229-ე მუხლების პირველი ნაწილით¹⁴. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ გ.-ეს ქმედობა დამატებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო: არა სსკ 165-ე მუხლის პირველი ნაწილით, არამედ, როგორც დატაცებაში თანამონაწილეობა.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილი ანგარებითს მოტივის გარდა ითვალისწინებს აგრეთვე ხელისუფლებას ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას სხვა პირადი მოტივით, ან ასეთი ქმედობის ჩადენას სისტემატურად. აქვე მითითებულია ისეთი მაკვალიფიცირებელი გარემოება, როგორც არის განსაკუთრებით მძიმე შედეგის დადგომა.

სხვა პირადი მოტივის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ პირთა კეთილგანწყობის მიღწევა, მათთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება, არასასურველი პირების გზიდან ჩამოცილება, შურისძიება, კარიერიზმი, პროტექციონიზმი და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, „თანამდებობის ბოროტად გამოყენება პროტექციის მოტივით ნიშნავს ამ დანაშაულის პირადი მოტივით ჩადენას და ამიტომ ეს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი თანამდებობის ბოროტად გამოყენება საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით. ამავე დროს, პროტექტორი, რომელმაც თანამდებობის პირი წააქეზა, და ჩაადენინა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, პასუხს აგებს საქართველოს სსრ სსკ 19-186-ე მუხლებით ან დანაშაულში თანამონაწილეობისათვის“. ამით სასამართლოებს მიეცათ საჭირო განმარტება, რათა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ის პროტექტორები, რომელთა რჩევითა და წაქეზებითაც თანამდებობის პირმა ბოროტად გამოიყენა ხელისუფლება ან სამსახურებრივი მდგომარეობა.

ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ უმაღლესმა სასამართლომ სასამართლო ორგანოებს მისცეს სახელმძღვანელო განმარტება იმაზეც, რომ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცენ კრიტიკია მღვენელი თანამდებობის პირები, რაც საბჭოთა მოქალაქეთა ამ მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება იქნებოდა.

არაპირად მოტივად მიჩნეულია ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სხვისი შეცდომების, ყალბად ვაგებული სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესების მოტივით და სხვ.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვლება მხოლოდ ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილ ან არ ჩადენილ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობა, რითაც არსებითი ზიანი მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ამიტომ არაპირადი მოტივით ჩადენილი ასეთი ქმედობა არ შეიძ-

ლება მიჩნეულ იქნეს მოცემული დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად. თუ დამნაშავეს პირადი მოტივი არ ამოძრავებდა, მაგრამ მის მიერ ჩადენილი ქმედობა შეიცავს ამ დანაშაულის ნიშნებს, იგი დაკვალიფიცირდება ამავე მუხლის პირველი ნაწილით.

ამრიგად, ანგარებითი მოტივი გულისხმობს თანამდებობის პირის მისწრაფებას თავისი დანაშაულებრივი ქმედობით მიიღოს მატერიალური გამოჩენა. სხვა პირად ცნებაში კი უნდა ვიგულისხმოთ სიზარბე, კარიერიზმი და სხვ. კარიერიზმის მოტივით დანაშაული ხდება მაშინ, როცა თანამდებობის პირი სამსახურებრივ მდგომარეობას ბოროტად იყენებს, რათა მიაღწიოს დაწინაურებას, სხვა უფრო მაღალ თანამდებობაზე გადასვლას ან რაიმე ჯილდოს მიღებას.

სისტემატურად ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში უნდა ვიგულისხმოთ თანამდებობის პირის მიერ ასეთი ქმედობის ჩადენა არა ნაკლებ სამჯერ მაინც.

თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ერთხელ ჩადენილმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ თავისი ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების გამო შეიძლება არ მოგვცეს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ თუ ასეთი მოქმედება (უმოქმედება) სისტემატური ხასიათისაა და თუ იგი თავის ერთობლიობაში არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მაშინ იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც მარტო ზემოაღნიშნული მუხლით დასჯადი ქმედობა, არამედ როგორც მისი ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება. მაგალითად, თუ საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ან მოადგილე ამავე სასწავლებლის რამდენიმე მოსწავლეს ერთხელ, თუნდაც რამდენიმე საათით, წააყვანს თავის პირად მეურნეობაში სამუშაოს შესასრულებლად, მან შეიძლება არ მოგვცეს სსკ 186-ე, მუხლის შემადგენლობა, თუმცა დირექტორის მიერ თავის ადმინისტრაციულ ქმედებარეობაში მყოფი სასწავლებლის მოსწავლეთა შრომის გამოყენება პირად მეურნეობაში თავისთავად დაუშვებელია. მაგრამ ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების გამო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი შეიძლება არ იქნეს მიჩნეული სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დასჯად ქმედობად და განხილულ იქნეს როგორც დისციპლინური გადაცდომა. მაგრამ, თუ თანამდებობის პირის ასეთი მოქმედება სისტემატურია, მაშინ ამ თანამდებობის პირის ასეთი მოქმედება, ცხადია, არსებითს ზიანს აყენებს ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი გარემოება და ეს პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ამრიგად, სისტემატურობა დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ რამდენჯერმე ჩადენილმა ასეთმა ქმედობამ არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტე-

რესებს. ეს არაერთხელ არის ნათქვამი უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებში სასამართლოებისადმი. ასეთივე სახელმძღვანელო განმარტება მიეცათ სასამართლოებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 4-ე დადგენილებით, რომელშიც ნათქვამია: „განმარტოთ სასამართლოებს, რომ სისტემატურობის ნიშნით, ანგარებით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირება, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ქმედობამ არსებითი ზიანი მოაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“.

ამიტომ მცდარად უნდა ჩაითვალოს, როცა პრაქტიკაში ამა თუ იმ პირის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედობას, არსებითი ზიანის მიუყენებლად აკვალიფიცირებენ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 1 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდებულ იქნა საზოგადოებრივი კვების ექსპედიტორი ი. იმისათვის, რომ მან სასაუზმეში უფაქტურად შეიტანა ოთხი ინდაური. თუმცა ი. ანგარების მოტივით მოქმედებდა, ცხადია, მის მიერ სასაუზმეში სარეალიზაციოდ ოთხი ინდაურის შეტანა არსებითს ზიანს ვერ აყენებს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ზემოაღნიშნულ მსჯავრდებულს გარემოებათა გარდა, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლში მოხსენიებულია აგრეთვე მოქმედება, „რამაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიწვია“. მძიმე შედეგის დადგომა ყოველთვის მოიცავს არსებითს ზიანსაც. ამიტომ საჭირო აღარ არის გაირკვეს თანამდებობის პირის ასეთ მოქმედებას მოჰყვა თუ არა არსებითი ზიანი. ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს არც დანაშაულის ჩადენის მოტივს. თუ რა უნდა ვიგულისხმოთ განსაკუთრებით მძიმე შედეგის ცნებაში, ამას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ სასამართლო წყვეტს.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება თავისი ბუნებით ახლოს დგას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებასთან. სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად სასამართლოებს უჭირთ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რასაც ქმედობის მცდარი კვალიფიკაცია მოჰყვება ხოლმე.

მაგალითად, მ.-ეს წინასწარი გამოძიებითა და სასამართლოს მიერ ბრალად დაედო ის, რომ, მუშაობდა რა ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ხის დამამუშავებელ სამქროს ოსტატად, მატერიალურ პასუხისმგებელ პირად, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ბოროტად. 1978 წლის იანვრის თვეში მითთვისა მასზე რიცხული 14 კუბური წიწვიანი ჯიშის ხის მორი, რომლის ღირებულება შეადგენდა 436 მანეთსა და 80 კაპიკს. შემდეგ დატაცებული ხის მორი მიჰყიდა ბ.-ეს 630 მანეთად და იქვე სამქროში დაუხერხა კიდევ ქ. ზუგდიდის რაიონის სასამართლოს მიერ მ.-ე მსჯავრდებულს იქნა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ შემთხვევაში მ.-ეს ქმედობის დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილით მცდარია,

რადგან, ჯერ ერთი, იგი თანამდებობის პირი არ არის და, მეორეც, მან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა სწორედ დატაცებისათვის, ე. ი. დანაშაულის ჩადენის ხერხად.

ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 4-ე დადგენილებაში, სადაც ნათქვამია, რომ „თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონების დატაცების მიზნით ითვლება ქონების დატაცების ხერხად და ქმედობა დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით, ამიტომ დამატებით საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით კვალიფიკაცია საჭირო აღარ არის“.

ამავე დადგენილებით სასამართლოებს რჩევა მიეცათ საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით დაკვალიფიცირონ თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების განზრახ უკანონო მიღება პრემიების, დახმარების, ხელფასის დანამატების, აგრეთვე პენსიების და სხვათა სახით, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მიღება. ამავე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს თანამდებობის პირის მიერ ანგარების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების შეგნებულად უკანონო დანიშვნა ან გაცემა სხვადასხვა საზღაურის სახით იმისათვის, ვისაც მათი მიღების უფლება არა აქვს.

ზოგჯერ სასამართლოები ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავენ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და მექრთამეობას, და, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ჩამდენ პირებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან მექრთამეობის გამიჯვნისას გადაწყვეტი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, რადგან მექრთამეობის სუბიექტური მხარის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი დამახასიათებელი ის არის, რომ ქრთამის ამღებისა და ქრთამის მიმცემის განზრახვა ორივე მხარისთვის ცნობილია, — ქრთამის მიმცემმა იცის, რომ იგი ქრთამს იღებს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის რაიმე სახის მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში. ასევე ქრთამის მიმცემმა იცის, რომ ქრთამს აძლევს თანამდებობის პირს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მისი ინტერესებისათვის შეასრულოს რაიმე სახის უკანონო მოქმედება ან თავი შეიკავოს სამსახურებრივად დაკისრებული ისეთი მოქმედების შესრულებისაგან, რომელიც მას, როგორც თანამდებობის პირს, სამსახურებრივად ევალებოდა.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ვადით ერთ წლამდე, გამასწორებელი სამუშაოებით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი იგივე ქმედობა ამავე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

მექრთამეობის კონკრეტულ-კრიზისოლოგიური გამოკვლევის პირველი შედეგების შესახებ

ა. ბაბიანი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი,

ბ. კახსაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე,

ა. თოდუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი თანაშრომელი

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებს საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, ამიტომ არის რომ პარტიის პროგრამაში მისი საქმიანობის სრულყოფას საგრძნობი ადგილი აქვს დათმობილი. სკკპ პროგრამაში ჩითითებულია, რომ სოციალისტური სახელმწიფო აპარატი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე და ხალხს ემსახურება, ამიტომ სახელმწიფო აპარატის მუშაკთა არაკეთილსინდისიერება, მათ მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მთელი სიმკაცრით უნდა აღიკვეთოს.

მექრთამეობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში და სამარცხვინო დანაშაულია, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას, მთელი საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის საარსებო ინტერესებს. მექრთამეობა სახელს უტეხს სახელმწიფო აპარატს შრომელთა თვალში. მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს ექმნება აზრი, თითქოს მექრთამოდ შეუძლებელი იყოს რაიმეს მიღწევა, რომ მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები შეიძლება შელახონ არაკეთილსინდისიერმა, მექრთამე თანამდებობის პირებმა და ა. შ. გარდა ამისა, მექრთამეობა ზშირად დაკავშირებულია სხვა ისეთ მძიმე დანაშაულებრივ ქმედობებთან, როგორც არის სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ა. შ. ეს კიდევ უფრო ზრდის ამ დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას.

ვ. ი. ლენინი მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი მექრთამეობას რევოლუციის მესამე მტრად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ, „თუ კი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჭერ კიდევ პოლიტიკის ნასახიც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ, რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობებში. ასეთ პირობებში არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება, აქ არ არის იმის

ძირითადი პირობა, რომ შესაძლებელი იყოს კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი“¹.

როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის. მექრთამეობის ყველაზე საშიში სახეობაა ქრთამის აღება. მექრთამეები, რომელთაგანაც ზოგიერთს პასუხსაგები თანამდებობა უკავია სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა რგოლში, ზნეობრივად ხარწიან ხელქვეითებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა, დამწყებ მუშაკებს, აიძულებენ მათ დაუშვან სხვადასხვა დარღვევები და ა. შ. ეს ამ დანაშაულს განსაკუთრებით საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მიღწეულია საგრძნობი წარმატებები სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვებში კომუნისტებისადმი, რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი მიუთითებს, რომ კვლავ ბევრია გასაკეთებელი მტკიცე სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და მართლწესრიგის დასამყარებლად, რაც უწინარეს ყოვლისა გულისხმობს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებასა და გამწვავებას, ამ ბრძოლის გეგმაზომიერ წარმართვასა და მეცნიერულ პრინციპებზე დაფუძნებას.

ვინაიდან მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით აქტუალურია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ინსტიტუტის კვლევითი ლაბორატორია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ პროკურატურასთან ერთად შეუდგა ამ პრობლემის კონკრეტულ-კრიმინოლოგიურ კვლევას. ამ სამუშაოს ჩატარება ორ ეტაპად არის დაგეგმილი: გამოკვლევის პირველ ეტაპზე რომლის შედეგებიც ქვემოთ იქნება განხილული, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ასეული სისხლის სამართლის საქმე მექრთამეობის შესახებ. შეგროვებული ინფორმაცია დამუშავდა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანით.

ჩვენს მიერ შესწავლილი მექრთამეობისათვის მსჯავრდადებული პირებიდან ქალები შეადგენენ 13,8 პროცენტს, რაც საკმაოდ ბევრია. ჩვენ დაგვიანტერესა თუ როგორია ქალების ხვედრითი წილი ქრთამის აღებათა, ქრთამის მიმცემთა და მექრთამეობაში შუამავალთა შორის. როგორც გამოირკვა, მათი ხვედრითი წილი შესაბამისად შეადგენს 9,9. 17,6 და 22,9 პროცენტს, რაც მოწმობს, რომ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა საერთო მასაში ქალების დიდი ხვედრითი წილი სწორედ ამ თანაფარდობამ განაპირობა.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა: 25 წლამდე ასაკის პირები შეადგენენ 5,6 პროცენტს, 25—26 წლისანი — 24,5 პროცენტს, 36—45 წლისანი — 34,0 პროცენტს, 46—55 წლისანი — 24,5 პროცენტს და 56 წელს მიღწეულები — 9,7 პროცენტს.

ამრიგად მსჯავრდადებულთა 2/3 36 წლის ასაკს გადაცილებულია, ხოლო 1/3-ზე მეტი 36—45 წლისაა, რაც მოწმობს, რომ მექრთამეობა ყველაზე მეტად გავრცელებულია სწორედ მოწიფულობის ასაკის მოქალაქეთა შორის,

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 72.

განსხვავებით მთელი რიგი სხვა დანაშაულებრივი ქმედობებისაგან, რომელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდობის წილად მოდის.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ყველაზე მაღალი კოეფიციენტი მოგვეცეს რესპუბლიკის საშუალო და მცირე ქალაქებში (15,5), შემდეგ მოდის თბილისი (20,5). რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, მათ შორის მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა კოეფიციენტი 7-ჯერ ნაკლებია საშუალო და მცირე ქალაქების მოსახლეობასთან შედარებით და თითქმის 4-ჯერ ნაკლები — თბილისის მცხოვრებლებთან შედარებით.

აბსოლუტური მონაცემებით თბილისში მუდმივად ცხოვრობს მსჯავრდადებულთა 28,8 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 39,9 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში — 3,9 პროცენტი, სოფლებში — 25,1 პროცენტი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — 2,9 პროცენტი. თუ ამ ციფრებს შევადარებთ მონაცემებს მსჯავრდადებულთა დაბადების ადგილის შესახებ, შემდეგ სურათს მივიღებთ: თბილისშია დაბადებული — 11,0 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 20,6 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში — 2,0, სოფლებში — 57,7 პროცენტი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — 8,7 პროცენტი, თუ გამოვითვლით განსხვავებას მსჯავრდადებულთა დაბადებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ არსებულ მონაცემებს შორის, დავინახავთ, რომ შესწავლილ ერთობლიობაში მიგრანტები 38,4 პროცენტს შეადგენენ. შედარებისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვეთთა შორის მიგრანტები შეადგენენ დაახლოებით 15 პროცენტს, ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის — 23 პროცენტს, ალკოჰოლიზმით დაავადებულთა შორის კი — 30 პროცენტს. ამგვარად, მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულნი იძლევიან მიგრანტთა ყველაზე დიდ პროცენტულ რაოდენობას.

განათლების დონის მიხედვით მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულნი შემდეგნაირად განაწილდნენ: დაწყებითი განათლება აქვს 3,4 პროცენტს, არასრული საშუალო — 16,4 პროცენტს, საშუალო — 40,2 პროცენტს, უმაღლესი და არასრული უმაღლესი — 30,7 პროცენტს, კიდევ უფრო მაღალია ქრთამის ამღებთა განათლების დონე. მათ შორის უმაღლესი განათლება აქვს 38,8 პროცენტს, ქრთამის მიმცემთა შორის კი უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი დაახლოებით 3-ჯერ დაბალია (12,7 პროცენტი).

ამგვარად, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ მექრთამეობა ისეთ დანაშაულს წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული განათლების მაღალი დონის მქონე მოქალაქეებში. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ქრთამის ამღებთა შორის.

გამოკვლევა მოიცავს მთელ რიგ ისეთ საკითხებს, რომლებიც ჩადენილ დანაშაულს ახასიათებს.

უწინარესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ მსჯავრდადებულთა შორის ქრთამის ამღებია 54,7 პროცენტი, ქრთამის მიმცემია — 37,9 პროცენტი, მექრთამეობაში შუამავალია სულ 7,4 პროცენტი. მექრთამეობაში შუამავალთა ასეთი დაბალი ხვედრითი წილი მოწმობს, რომ ქრთამის ამღებთა და მიმცემთა უმრავლესობა მესამე პირის ჩაურევლადაც კარგად ახერხებენ ქრთამის აღებასა და მიცემას, ყველაფერს, რაც აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირადად, საკუთარი ხელით აკეთებს.

საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, რომ მსჯავრდადებულთა 87,3 პროცენტს მსჯავრი დაედო დამთავრებული დანაშაულისათვის, 12,2 პროცენტს — დანაშაულის მცდელობისათვის და მხოლოდ 0,5 პროცენტს (3 ადამიანს) — მომზადებისათვის. ეს მოწმობს, რომ მექრთამეობის პროფილაქტიკისა და ადრეულ სტადიაზე მისი აღკვეთისათვის ჯერ კიდევ ძალზე სუსტად ქუშაობენ ადმინისტრაციული ორგანოები.

189-ე, 189¹ და 190-ე მუხლებით მსჯავრდადებულთაგან ერთხელ აიღო მისცა ქრთამი ან იშუამავლა მექრთამეობაში 79,5 პროცენტმა, ორჯერ-ოთხჯერ — 14,6 პროცენტმა, ხუთჯერ და მეტჯერ — 5,9 პროცენტი, რაც იმას მოწმობს, რომ მსჯავრდადებულთა დიდი უმრავლესობა (8-10) არ შეიძლება ჩაითვალოს ავისმზრახველ ქრთამის მიმცემად, ამდებად ან შუამავლად. რაც შეეხება ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულებს, მათ შორისაც ერთ ეპიზოდში მხილებულია 77,6 პროცენტი.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს თანამდებობის პირთა შორის ასე იშვიათად გვხვდებოდნენ ავისმზრახველი ქრთამის ამღებნი, აგრეთვე „პროფესიონალი“ შუამავლები, ე. წ. დალალები, რომლებმაც მექრთამეობაში შუამავლობა ხელობად გაიხადეს. საქმე ის არის, რომ ქრთამის ამღებთა და შუამავალთა ეს კატეგორია სხვადასხვა, ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი მიზეზით, ჯერ კიდევ იშვიათად ხვდება განსასჯელის სკამზე.

საინტერესოა, თუ რა იყო ქრთამის საგანი ჩვენს მიერ შესწავლილ შემთხვევებში. გამოირკვა, რომ პროცენტულად 98,3 შემთხვევაში ქრთამის საგანი იყო ფული, 1,2—ძვირფასი ლითონები და თვალ-მარგალიტი, აგრეთვე საიუკელირო ნაკეთობანი, 0,2 — ფუფუნების საგნები (ძვირფასი სურათები, ანტიკვარული ნივთები, ფაიურური და სხვ.), 0,3 — ძვირფასი ბეწვეული ან ბეწვეულის ნივთები. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მხილებული ქრთამის ამღებნი და ქრთამის მიმცემნი დიდი საზრიანობით არ გამოირჩეოდნენ.

მსჯავრდადებულთაგან 97,5 პროცენტმა ქრთამი აიღო აშკარად და მხოლოდ 2,5 პროცენტმა — შენიღბულად. გამოკვლეულ ქრთამის ამღებთაგან 60,6 პროცენტმა ქრთამი აიღო თავის კაბინეტში, 23,8 პროცენტმა — ქუჩაში, 5,9 პროცენტმა — თავის ბინაში, 4,0 პროცენტმა — დერეფანში, 3,1 პროცენტმა — ავტომანქანაში და ა. შ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 82,4 პროცენტმა ქრთამი გამოსძალა ქრთამის მიმცემს და მხოლოდ 17,6 პროცენტს მისცეს ქრთამი ნებაყოფლობით.

საინტერესოა აგრეთვე, რა თანხას შეადგენდა ფულის სახით აღებული ან მიცემული ქრთამი. აღმოჩნდა, რომ პროცენტულად ქრთამი 10 მანეთს არ აღემატებოდა 3,3, 20 მანეთს — 4,0, 30 მანეთს — 4,3, 50 მანეთს — 4,3, 100 მანეთს — 15,9, 200 მანეთს — 15,5, 500 მანეთს — 16,4, 1.000 მანეთს — 9,9, 2.000 მანეთს — 7,4, 3.000 მანეთს — 4,4, 5.000 მანეთს — 3,7, 10.000 მანეთს — 2,9, და 10.000 მანეთზე მეტს — 3,0 პროცენტი.

ამგვარად, ჩვენს მიერ შესწავლილი ყველა ფაქტიდან 1/5 შემთხვევაში თანხა 50 მანეთამდე იყო, 1/3 შემთხვევებში არ აღემატებოდა 100 მანეთს და 1/2 შემთხვევაში — 200 მანეთს, რაც მოწმობს, რომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები შედარებით იშვიათად ავლენდნენ მსხვილი მექრთამეობის ფაქტებს.

საინტერესოა შედეგები მიაგვცა აგრეთვე იმის შესწავლამ, თუ რისთვის

იღებდნენ ან აძლევდნენ ქრთამს ჩვენ მიერ გამოკვლეული მსჯავრდადებულები. როგორც დადგინდა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის ქრთამს იღებდა ან აძლევდა 13,0 პროცენტი, დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის — 10,7 პროცენტი, ყალბი დოკუმენტის მიღებისათვის — 7,7 პროცენტი, რევიზიის და შემოწმების ჩატარებისას უმოქმედობის გამოჩენისათვის — 7,6 პროცენტი, პირადი მოხმარებას: საქონლის მიღებისათვის — 7,0 პროცენტი, საცხოვრებელი ფართობის მიღებისათვის — 6,5 პროცენტი, საქონლის ან ფონდის მიღებისათვის — 6,0 პროცენტი, ადმინისტრაციული ან დისციპლინარული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის — 5,9 პროცენტი, თანამდებობრივი მფარველობისათვის — 5,4 პროცენტი, ავტომატურად მართვის უფლების მოპოვებისათვის — 6,3 პროცენტი, თანამდებობაზე დანიშვნისათვის — 2,1 პროცენტი, სასწავლებელში მოწყობისათვის — 4,3 პროცენტი, ჩაწერისათვის — 3,6 პროცენტი, პენსიის ან საგზურის მიღებისათვის — 2,3 პროცენტი და სხვ.

საუღლისხმა ისიც, რომ გამოკვლეულ მსჯავრდადებულთაგან 83,2 პროცენტმა ქრთამი აიღო ან მისცა უკანონო მოქმედებისათვის და მხოლოდ 16,2 პროცენტმა კანონიერი მოქმედების შესრულებისათვის. აქტიური მოქმედებისათვის პროცენტულად ქრთამი აიღეს ან მისცეს 74,5 შემთხვევებში, ხოლო უმოქმედობისათვის — 25,5 შემთხვევებში. ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთა 73,0 პროცენტი ხელმძღვანელობდა პირადი ქონებრივი გამოჩენის ინტერესებით, 65 ანუ 26,6 პროცენტი — პირადი არაქონებრივი ინტერესებით და მხოლოდ 1 ანუ 0,4 პროცენტი — ყალბად გაგებული სახელმწიფო ინტერესებით. პროცენტულად 50,7 შემთხვევაში ინიციატორის როლში გამოდიოდნენ ქრთამის ამღებნი, 34,6 შემთხვევაში — ქრთამის მიმცემნი და 5,3 შემთხვევაში მექრთამეობაში შუამავლები.

ეს ფაქტები აბათილებს ზოგიერთის მტკიცებას, თითქოს თანამდებობის პირები უმრავლეს შემთხვევაში ქრთამს იღებენ კანონიერი მოქმედების შესრულებისათვის. მცდარი აღმოჩნდა ის აზრიც, თითქოს ქრთამის ამღები თანამდებობის პირები ხშირად ხდებიან ქრთამის მიმცემთა მსხვერპლნი, რომლებიც აქტიურად ცდილობენ აცდუნონ ისინი, რადგან ინიციატორების როლში უპირატესად სწორედ ქრთამის ამღებნი გვევლინებიან.

ამგვარად, უმთავრესად სწორედ ქრთამის ამღები გამოდის ინიციატორის როლში, ქრთამს იღებს უკანონო მოქმედების შესრულებისათვის, ფულს ან სხვა ფასეულობებს პირადად ართმევს ქრთამის მიმცემს თავის კაბინეტში ან ქუჩაში, იშვიათად მიმართავს დახმარებისათვის შუამავალს და ა. შ. ეს მოწმობს, რომ დღეისათვის მექრთამეობაში ძირითად ფიგურად უნდა მივიჩნიოთ არა ქრთამის მიმცემი ან შუამავალი, არამედ სწორედ ქრთამის ამღები, მაშასადამე, ვაკვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის მანძილი უწინარეს ყოვლისა უნდა მივმართოთ ძირითადი ფიგურის — ქრთამის ამღების წინააღმდეგ, რაც ჩვენს ბრძოლას ამ სოციალურად მეტად საშიშ მოკვლენასთან უდავოდ შემატებს ქმედითობას. ნათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ქრთამის მიმცენათა და მექრთამეობაში შუამავალთა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტების მომხრენი ვიყოთ.

შევისწავლეთ აგრეთვე წრე საკითხებისა, რომლებიც ახასიათებს მექრთამეობას.

მეთა მხილების კონკრეტულ გარემოებებს, მათ ქცევას წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში, მსჯავრდადებულთათვის შეფარდებული სასჯელის ღონისძიებებს და სხვ.

უწინარესად ინტერესს იწვევს ის, თუ ვისი ინიციატივით მოხდა ქრთამის აღებისათვის, ქრთამის მიცემისათვის და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა მხილება. მსჯავრდადებულთა 2/3 მხილებულია დაზარალებულთა ინიციატივით, რომელთაც უარი განაცხადეს ქრთამის მიცემაზე: 52,4 პროცენტი — დაზარალებულთა ინიციატივით, რომლებიც დათანხმდნენ ქრთამის მიცემას, მაგრამ შემდგომში თვით განაცხადეს ამის შესახებ; 21,6 პროცენტი — ქრთამის იმ მიმცემთა ინიციატივით, რომლებმაც ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადეს ამის შესახებ, 28,2 პროცენტი — შინაგან საქმეთა ორგანოების ინიციატივით, 4,8 პროცენტი — პროკურატურის ორგანოების ინიციატივით და ა. შ. ქრთამის ამღებთა 87,2 პროცენტი მხილებულია დაზარალებულთა ინიციატივით, 6,8 პროცენტი — შინაგან საქმეთა ორგანოების ინიციატივით, 3,1 პროცენტი — პროკურატურის ორგანოების ინიციატივით და ა. შ.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, უფრო ხშირად მექრთამეთა მხილების ინიციატორთა რიგში გვევლინებიან არა ის ორგანოები, რომლებიც მოვალენი არიან შეუთრეხებლად ებრძოლონ მექრთამეობას, არამედ დაზარალებულთა ნაწილაკეები. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოები მიუთქვებელ პასიურობას იჩენენ საზოგადოებრივად ამ მეტად საშიშ დანაშაულთან ბრძოლაში. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ქრთამის ამღებთა მხილებას, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქრთამის ამღებთა 28,9 პროცენტი დააკავეს ქრთამის აღების მომენტში, 36,2 პროცენტი — ქრთამის აღების მომენტიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ. 9,1 პროცენტი მას შემდეგ, რაც მათ შეძლეს გადაემაღათ აღებული ფული ან სხვა ფასეულობანი, 13,3 პროცენტი — ქრთამის აღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქრთამის მიმცემის განცხადებით. 10,8 პროცენტი — ძიების პროცესში ბრალდებულთა ჩვენების საფუძველზე, 1,7 პროცენტი — სხვა გარემოებებში.

წინასწარი გამოძიების პროცესში მთლიანად აღიარა დანაშაული ბრალდებულთა მხოლოდ 20,0 პროცენტმა. ნაწილობრივ — 22,0 პროცენტმა, თავი არ ცნო დანაშაულს — 56,6 პროცენტმა, გადათქვა ადრე მიცემული ჩვენებები — 0,8 პროცენტმა, უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე — 0,6 პროცენტმა. ამრიგად, მსჯავრდადებულთა ნახევარზე მეტმა წინასწარი გამოძიების პროცესში თავი არ ცნო დანაშაულს, რაც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ დაბალია ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების ხარისხი.

ჩვენ დავგაინტერესა იმ საკითხმა, თუ როგორ ხსნის თავის საქციელს ბრალდებულთა ის ნაწილი, რომელმაც აღიარა დანაშაული. მათგან 43,2 პროცენტი ვერ ხსნის იმას, თუ რატომ ჩაიდინა დანაშაული. 16,2 პროცენტი მიუთითებს უშუალო სოციალური გარემოცვის უარყოფით ზემოქმედებაზე. 14,0 პროცენტი — უკანონო გზით გამდიდრების სურვილზე, 5,9 პროცენტი შრომით კოლექტივში არაჯანსაღ ატმოსფეროზე, 7,4 პროცენტი — მატერიალურ სიმწელებებზე და ა. შ. მოყვანილი მონაცემები ნათლად მოწმობენ იმ აზრის მცდარო-

ზას, თითქოს მექრთამეობისაკენ მოქალაქეებს ხშირად უბიძგებს ხოლმე ხელ-
მოკლეობა, რადგან იმათგან, ვინც თავი ცნო დანაშაუვედ, თავისი საქციელი
ამ მიზეზით ახსნა მხოლოდ 1/15-მა.

ჩვენს მიერ შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების 55,2 პროცენტი
განხილულია იმ რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ, სადაც ჩადენილ იქნა
დანაშაული, 3,9 პროცენტი — სხვა რაიონის ან ქალაქის სახალხო სასამართ-
ლოს მიერ, 8,5 პროცენტი — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სა-
სამართლოების მიერ და 23,7 პროცენტი — რესპუბლიკის უმაღლესი სასამართ-
ლოს მიერ. გამსვლელ სესიაზე განხილულია საქმეთა მხოლოდ 9,5 პროცენტი.
სასამართლოს მიერ კერძო განჩინება გამოტანილია საქმეთა 36,7 პროცენტზე.
განჩინებათა 62,9 პროცენტი შეეხებოდა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი
პირობების ლიკვიდაციას, 9,7 პროცენტი წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ
საპროცესო დარღვევებს და ა. შ. საქმეთა 10,4 პროცენტი სასამართლომ
დააბრუნა ხელახალი გამოძიებისათვის. ამის მიზეზი გახდა გამოძიების დაბალა
ხარისხი, საპროცესო დარღვევები, დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია —
და ახლად აღმოჩენილი გარემოებები. ამასთან ერთად საქმეთა 64,7 პროცენტ-
ზე სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა
და ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად ზომები არ მიუღიათ.

იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებმა
მიიღეს ზომები მექრთამეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღსაკ-
ვეთად, ეს ზომები გამოიხატა სათანადო ორგანოებში წარდგინებათა შეტანით
(54,4 პროცენტი), საწარმოთა, დაწესებულებათა ან ორგანიზაციათა კოლექტი-
ვებში გამოვლენილ ნაკლოვანებათა კრებებზე განხილვით (22,4 პროცენტი), პრე-
საში გამოსვლით (21,5 პროცენტი) და ა. შ.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ მექრთამეობის საქმეთა გამოძიებასა და
სასამართლო განხილვაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, ამიტომ რესპუბლიკის სა-
გამოძიებო და სასამართლო ორგანოების ვალია უმოკლეს ვადაში მკვეთრად
გააძლიერონ მუშაობა და დაძლიონ ამ საქმეში სერიოზული ხარვეზები.

ამ წერილის მიზანი არ არის იმ საკითხის არსებითი განხილვა, თუ რა
უნდა იღონონ რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მექრთამეობის
წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით. აქ მხოლოდ მოკლედ გამოვთქვამთ
ზოგიერთ მოსაზრებას არსებული ხარვეზების დაძლევის გზების შესახებ.

ჩვენი აზრით, უწინარესად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და პროკურო-
ტურის ორგანოებმა, რომლებიც მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში პასი-
ურ, ასე ვთქვათ, თავდაცვითს ტაქტიკას ახორციელებენ (ელოდებიან როლის
გამოცხადდებიან მოქალაქენი და ამხელენ მექრთამეებს), აქტიური პოზიცია
უნდა დაიკავონ და თვითონ გამოიჩინონ მეტი ინიციატივა მექრთამეთა, პირ-
ველ ყოვლისა, ქრთამის ამღებთა, გამოვლენისა და მხილების საქმეში.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების ღონისძიებათა შემუ-
შავებისა და განხორციელების პროცესში ჩვენი ამოსავალი პრინციპი უნდა გახ-
დეს ბრძოლის მახვილის მიმართვა უპირატესად მსხვილი ქრთამის ამღებთა წი-
ნააღმდეგ. რომლებსაც პასუხსაგები თანამდებობები უკავიათ სახელმწიფო აპა-
რატის სხვადასხვა რგოლში, აგრეთვე ამ საქმეში დახელოვნებული შუამავლე-
პის, ე. წ. დალალების წინააღმდეგ, რადგან სწორედ ისინი ქმნიან მექრთამეო-
ბის გავრცელების ამინდს.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას საჭიროა მიეცეს გეგმაზომიერი ხასიათი, რაც გულისხმობს ოპერატიული და საგამოძიებო მუშაობის დონის მკვეთრ ამაღლებას, პირველ რიგში იმ მსხვილ ქრთამის ამლებთა და მექრთამეობაში შუამავალთა მხილებასა და მკაცრ დასჯას, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები უკავიათ და კარგად არიან კონსპირირებული, ამიტომ განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით წასიათდებიან. ხშირად მოქალაქეებმა იციან, რომ მსხვილი მექრთამეები წლების მანძილზე ახერხებენ დაუსჯელად განახორციელონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, ამიტომ მათ გამოვლენასა და მკაცრ დასჯას ექნება არამართო დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა, არამედ საზოგადოებრივი უღერადობაც, რაც გარდატეხას შეიტანს ზოგიერთების რწმენაში, თითქოს უქრთამოდ არაფრის მიღწევა არ შეიძლებოდეს, თითქოს მსხვილი მექრთამის მხილების ცდა არა მართო უშედეგოა, არამედ საფრთხესაც უქმნის „უზრჩ“ მომჩივანს და სხვ.

პრაქტიკაში მართლაც არის შემთხვევები, როდესაც დაუსჯელად გადარჩენილი ქრთამის ამლები დიდი თანამდებობის პირები და მათთან დანაშაულებრივად დაკავშირებული მეგობრები თუ ახლობლები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დააშინონ დაზარალებულები თუ მოწმეები, შეავიწროონ ისინი, შეითიხნონ მათ წინააღმდეგ „პერსონალური საქმეები“, მიმართონ მათ მიმართ შანტაჟს და სხვა, რისთვისაც ბოროტად იყენებენ თანამდებობრივ მდგომარეობას ან ძალაუფლებას, რასაც იშვიათად მოსდევს ხოლმე სათანადო რეაგირება ადმინისტრაციული ორგანოების მხრივ.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პროცესში შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ იმ მოქალაქეთა უსაფრთხოება, რომელთაც ინიციატივა გამოიჩინეს მექრთამეთა მხილებაში. არ დაუშვან მათზე ზემოქმედების მოხდენა გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის პროცესში და სხვა, არ უნდა მოერადონ მექრთამეთა მფარველებისა და ქომავების მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებასაც, რაც მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა აქტიურობის საწინდარია.

საქართველოს სასამართლო ორგანოების კოლეგია დასამართლოების წინააღმდეგ ბრძოლაში

ბ. ბაგრატიანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ბოლო წლებში რესპუბლიკა სტაბილურად დიდ სამეურნეო წარმატებებს აღწევს. ამ ფონზე კიდევ უფრო შეუწყნარებელი ხდება ის სერიოზული ხარვეზები, რომლებსაც ვაწყდებით ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, რაც ობიექტურად ზიანს აყენებს ჩვენს ეკონომიკას, სოციალისტური კანონიერების კონსტიტუციურ პრინციპებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებამ „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ახალი, დიდი ამოცანები დაუსახა ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის მოთხოვნათა მიხედვით მუშაობის გარდაქმნის, უკვე მიღწეული შედეგების და იმ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ, იმსჯელა საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა. კრებაზე ითქვა, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ თანამიმდევრულმა ბრძოლამ, რომელსაც პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები ეწევიან, გააჯანსაღა რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. თავისი წვლილი ამ სქემში შეაქვს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსაც, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს სასამართლო ორგანოების მუშაობის გარდასაქმნელად, გაფლანგვა-დატაცებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ნოტარიატის, ადვოკატურისა და იუსტიციის სხვა ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოები, რომლებიც რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს ასრულებენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღებასა და მხარდაჭერას, ურომლისოდაც შეუძლებელია იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლოების წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა. მაგრამ, როგორც აქტივის კრებაზე ითქვა, იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ იმსახურებს პარტიული ორგანოებისა და საზოგადოებრიობის კრიტიკას. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე და ეფექტიანად არ წყდება მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანები. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაძნედაცობასთან ბრძოლაში მთლიანად არ არის გამოყენებული სასამართლო ზემოქმედების ყველა ფორმა, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის მრავალფეროვანი საშუალებანი. ჭანაშაულის წინააღმდეგ გლობალური შეტევის პირობებში კვლავ მტკივნეულ პრობლემად რჩება კადრების პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის, საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცების საკითხები.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ სისტემატური და მიზანდასახული მუშაობის მეოხებით 20-25 პროცენტით შემცირდა მსჯავრდადებულთა რიცხვი ზოგიერთ რეგიონში, კერძოდ, ქ. ზუგდიდის და საგარეჯოს რაიონებში. კიდევ უფრო მეტად შემცირდა (43,6 პროცენტით) გასამართლებულ პირთა რაოდენობა აბაშის რაიონში. გაუმჯობესდა დასჯითი პრაქტიკის რესპუბლიკური მაჩვენებელიც. თუ 1978 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდადებულთა 48,8 პროცენტს, 1979 წელს მან 52,4 პროცენტი შეადგინა და თითქმის გაუტოლდა შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. ვასაკვირია, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავების პირობებში დასჯითი პრაქტიკის რესპუბლიკურზე გაცილებით დაბალი მაჩვენებლები აქვთ ონის, ტყიბულის, ახალქალაქის და გორის რაიონების სახალხო სასამართლოებს, სადაც საშიში დანაშაულის შემთხვევები იშვიათი როდია.

შარშანდელი წელი საერთოდ საკმაოდ დაძაბული იყო სასამართლო ორგანოებისათვის. 1979 წელს, წინა წელთან შედარებით, რესპუბლიკაში 6,3 პროცენტით გაიზარდა მსჯავრდადებულ პირთა რიცხვი. ამ მხრივ გენსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა თბილისის კიროვის რაიონის, ქ. ჭიათურის, ქ. წყალტუბოს ზონის, აგრეთვე ლანჩხუთის, კასპის, ხობისა და ლაგოდეხის რაიონებში, სადაც 1979 წელს მსჯავრდადებულთა რიცხვი წინა წელთან შედარებით საშუალოდ 25-30 პროცენტით გაიზარდა.

სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება ვადის დარღვევით განხილულ საქმეთა რაოდენობაც, რომელმაც 8,4 პროცენტი შეადგინა. ეს იუსტიციის სამინისტროსაგან მოითხოვს კიდევ უფრო ამაღლოს მოსამართლეთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

თუმცა სამოქალაქო დავა 517 ერთეულით შემცირდა, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში კვლავ ბევრია განქორწინების, შრომის, საბინაო დავის საქმეები.

1979 წელს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგია და იუსტიციის ორგანოებში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია თავის სხდომებზე სისტემატურად განიხილავდნენ სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭინაურების მიზეზებს. მკაცრად დაისაჯა რამდენიმე მუშაკი, მაგრამ მდგომარეობა ნელა სწორდება. საქმეთა განხილვის ვადის დარღვევის უმთავრესი მიზეზია პროცესების უხარისხოდ მომზადება. სასამართლოს თავმჯდომარეები მკაცრად არ სთხოვენ პასუხს მოსამართლეებს, საგანგებოდ არ მსჯელობენ ოპერატიულ თათბირებზე საქმეთა განხილვის გაჭინაურების მიზეზებზე.

შარშან თბილისში ზოგიერთი სასამართლო პროცესი ჩაიშალა პატიმრების წარმოუდგენლობის გამო. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სასამართლოების ცუდი ორგანიზაციული მუშაობაა. ძირითადად ამან განაპირობა სისხლის სამართლის საქმეთა ვადის დარღვევით განხილვა აბაშის რაიონში (17,9 პროცენტი), გორის რაიონში (17,8 პროცენტი). ანალოგიური მდგომარეობაა ბოლნისის, თერჯოლისა და საგარეჯოს რაიონების სახალხო სასამართლოებში.

საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, მაგალითად, ლ. წაქაძის სისხლის სამართლის საქმის განხილვა ზესტაფონის სახალხო სასამართლოში 2 წელიწადსა და 6 თვეს გაჭინაურდა. მას ბრალი ედებოდა სა-

ქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით. საქმის წარმოებაში მიღებიდან რვა თვის შემდეგ სასამართლომ, რ. ფუტყარაძის თავმჯდომარეობით, გამოიტანა განჩინება საქმის დამატებითს გამოძიებაში დაბრუნების შესახებ და ლ. წაქაძეს აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა უსაფუძვლოდ შეუცვალა გაუსვლელობის ხელწერილით. ლ. წაქაძე მიიმალა, ხოლო მთავარი მოწმე ს. ბარბაქაძე ჯარში გაიწვიეს. განჩინების გაუქმების შემდეგ ვერც სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. სამხარაძემ შეძლო საქმის ოპერატიულად განხილვა.

ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლემ მ. მაისაშვილმა შედარებით მარტივი საქმე გ. ფოცხვერიას ბრალდების გამო, რომელიც სამართალში მიცემული იყო სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით, 1979 წლის 16 მარტიდან 5 ნოემბრამდე ვერ განიხილა და 12-ჯერ გადადო მისი მოსმენა. ამასთან, ამ წინის განმავლობაში ვერა და ვერ დაადგინა სამართალში მიცემულის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მეორე ნაწილით სამართალში მიცემულ ი. ბალათაევის საქმე წარმოებაში მიიღო 1979 წლის 20 მარტს, იმავე წლის 23 მარტს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით ი. ბალათაევი სამართალში იქნა მიცემული, საქმე კი განხილულია 1979 წლის 17 მაისს, ე. ი. გამწესრიგებელი სხდომიდან არა ათი დღის, არამედ 2 თვისა და 5 დღის შემდეგ.

სისხლის სამართლის საქმის განხილვის ვადების დარღვევები სწორია აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს პრაქტიკაში. მაგალითად, მოსამართლე მ. ჭუმბურიძეს ერთი წელი დასჭირდა, რათა გაერჩია საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისგებაში მიცემული ო. ნოზაძის საქმე.

ასევე უხეზად ირღვევა განხილვის ვადები სამოქალაქო საქმეთა გამოც, რაც მშრომელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს და რასაც თან სდევს მრავალი საჩივარი.

გორის რაიონის სახალხო სასამართლოში გასულ წელს ვადის დარღვევით განხილულია საქმეთა 29,2 პროცენტი, ქარელის რაიონში — 16,8 პროცენტი, წულუკიძის რაიონში — 18,3 პროცენტი, ახმეტის რაიონი — 18,1 პროცენტი.

შარშან გაუმჯობესდა განაჩენთა სტაბილურობის მაჩვენებელი. 1979 წელს ძალაში დარჩა განაჩენთა 87,2 პროცენტი. გაუქმდა განაჩენთა 4,6 პროცენტი, ხოლო შეიცვალა 8,2 პროცენტი. განაჩენთა სტაბილურობის მხრივ ცუდი მაჩვენებლები აქვთ ფოთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ამბროლაურის და ორჯონიკიძის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

შარშანდელი შედეგების მიხედვით, გაუმჯობესდა გადაწყვეტილებათა კანონიერება სამოქალაქო საქმეებზეც. თუ 1978 წელს გაუქმდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა 16,2 პროცენტი და შეიცვალა 7,0 პროცენტი, ეს მაჩვენებელი 1979 წელს შესაბამისად შემცირდა 15,2 პროცენტამდე.

სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტის მხრივ გასული წლის მიხედვით ყველაზე ცუდი მაჩვენებლები აქვთ ბოგდანოვკის, წულუკიძის, ქარელის, კასპის და ლაგოდეხის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

სასამართლოს განაჩენთა და გადაწყვეტილებათა გაუქმების მთავარი მიზეზია მოსამართლეთა დაბალი კვალიფიკაცია, საკუთარი თავისადმი მომთხოვ-

ნელობის შესუსტება, ზერელობა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რისთვისაც მოსამართლეებმა პერსონალურად უნდა აგონ პასუხი.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბევრი განაჩენის ვაუქმების მიზეზი ის არის, რომ სასამართლოები საქმის განხილვის დროს სრულყოფილად არ აწარმოებენ სამსჯავრო გამოძიებას.

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლოს განაჩენი მ. გობეჯიშვილის მიმართ (დანიშნული გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 169-ე მუხლის I ნაწილით), რომელსაც მომხმარებლისათვის 3 მან. და 85 კაპ. ზედმეტად გადახდევინებისათვის 4 წლით ჩამოერთვა საზოგადოებრივი კვების ქსელში თანამდებობის დაკავების უფლება. სასამართლომ სამსჯავრო გამოძიების დროს არ გაარკვია, რატომ იყო საქმეში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა მ. გობეჯიშვილის ჩანმრთელობის შესახებ. განაჩენის გაუქმების შემდეგ სახალხო სასამართლოს დაევალა საქეიმო კომისიის საშუალებით დაედგინა მ. გობეჯიშვილის ჩანმრთელობის მდგომარეობა, რაც თავის დროზე არ შეასრულა სახალხო სასამართლომ.

საქმეთა განხილვისას დაშვებული უხეში მატერიალური და პროცესუალური დარღვევების გამო გაუქმდა აგრეთვე თბილისის ლენინისა და გორის რაიონის სახალხო სასამართლოების რამდენიმე განაჩენი, რაც იმის შედეგია, რომ სახალხო მოსამართლეებმა ა. წულუკიანმა და ზ. შერველაშვილმა სასამართლო პროცესები მოუშზადებლად და ზერელედ ჩაატარეს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია განსაკუთრებით ჰკაცრად მსჯელობს მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდადების თითოეული ფაქტის გამო, მიაჩნია, რომ ეს არის სოციალისტური კანონიერების ერთ-ერთი აველაზე სერიოზული დარღვევა.

ქარელის სახალხო მოსამართლემ ო. მამესწარაშვილმა საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის პირველი ნაწილით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა ნ. პატარიძეს, რომელმაც მეფუტკრედ მუშაობის პერიოდში ფუტკრების რამდენიმე ოჯახის განადგურებით მეურნეობას 1.998 მანეთის ზარალი მიაყენა. სასამართლომ ვერ გაარკვია, რომ ნ. პატარიძე არ იყო თანამდებობის პირი და ამიტომ იგი არ შეიძლებოდა პასუხისმგებაში მიეცათ ამ მუხლით.

შარშან მოქალაქეთა უკანონოდ მსჯავრდადების შემთხვევები იყო აგრეთვე ქუთაისის ლენინის რაიონის, თბილისის კალინინისა და პირველი მაისის, აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოებში, რისთვისაც თანამდებობის პირები დაისაჯნენ.

გასული წლის სასამართლო სტატისტიკის მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაიზარდა სასამართლოებში გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა, რაც ზოგიერთი მოქალაქის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უსაფუძვლოდ მიცემის შედეგია. იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტა მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდადების საქმეებთან ერთად განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს გამამართლებელი განაჩენების გამოტანის თითოეული ფაქტი და მკაცრი პასუხი მოსთხოვოს იმ მოსამართლეებს, რომლებიც სათანადო რეაგირებას არ ახდენენ საგამოძიებო ორგანოების მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებზე.

სკკბ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლოები მოვალენი არიან, კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა ხულიგნობისა და ლოთობის წინააღმდეგ. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგიერთ რაიონში მომთხოვნელობის შესუსტების გამო ბრძოლა ამ ბოროტებასთან კამპანიურად წარმოებს.

შარშან სამინისტროს კოლეგიამ მკაცრად გააფრთხილა ყვარლის რაიონის სახალხო მოსამართლე ა. მაისურაძე, რომელიც მილიციიდან შეძოსულ თითქოსდა წვრილმანი ხულიგნობის მასალებს არ აძლევდა სათანადო შეფასებას. ფაქტობრივად ეს იყო ბოროტი ხულიგნობა, რომელიც რაიონში მეტად გავრცელებულია.

იგივე შეიძლება ითქვას ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაზეც, რომლის წინააღმდეგ ჩადენილია არა მარტო ხულიგნობა, არამედ მკვლელობა, სხეულის დაზიანება და ქურდობა. მაგალითად, 1979 წელს პირადი ქონების ქურდობისათვის გასამართლებულთა შორის სიმთვრალეში დანაშაული ჩაიდინა 420 პირმა, ანუ 25,2 პროცენტმა.

ამ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება საჭიროა იმიტომაც, რომ 1971 წლიდან რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი: 1979 წელს ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულია 11,5 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტების შედეგად შეიმჩნევა სხვა ბევრი უარყოფითი ტენდენციაც. მაგალითად, უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იზრდება ქურდობისათვის ნასამართლევ ქალთა რაოდენობა. მატულობს აგრეთვე ახალგაზრდების, მათ შორის მსჯავრდადებულ კომკავშირელთა რაოდენობაც. თუ 1978 წ. პირადი ქონების ქურდობისათვის გასამართლებულთა შორის ახალგაზრდა იყო 66,1 პროცენტი, 1979 წელს ამ მაჩვენებელმა 79,4 პროცენტს მიაღწია. სამჯერ გაიზარდა ამ დანაშაულის ჩადენაში ახალგაზრდობის სვედრითი წილი.

ეს სასამართლოებისგან მოითხოვს ამ კატეგორიის საქმეთა არა მარტო კვალიფიციურ და ოპერატიულ განხილვას, არამედ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებების სრულყოფილად გამოყენებასაც. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმაც.

ზოგიერთი რაიონის თუ ქალაქის სასამართლოები კი ამას იგეწყებენ. მაგალითად, 1979 წელს საქმის განხილვის ერთთვიანი ვადის დარღვევით რესპუბლიკაში განხილულია ამ კატეგორიის 109 საქმე. მომავალში ეს აღარ უნდა განმეორდეს.

ქურდობის საქმეთა მაღალხარისხვნად განხილვას ხელს უშლის აგრეთვე გამოძიების დაბალი დონე, რაც საქმეთა ხელახალი გამოძიებისათვის დაბრუნების საფუძველი ჰდება. მაგალითად, თუ 1978 წელს სასამართლოებმა სავამოძიებო ორგანოებს დაუბრუნეს ამ კატეგორიის 51 საქმე 75 პირის მიმართ, 1979 წელს დაბრუნეს 68 საქმე 101 პირის მიმართ. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, სერიოზულად უნდა ჩააფიქროს რესპუბლიკის პროკურატურა.

ქურდობის საქმეთა გამო განაჩენების სტაბილობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მის მიღმა იმალება მოკლევადიანი სასჯელების მეტისმეტად ხშირად

გამოყენება და ლმობიერი განაჩენების გამოტანის შემთხვევები, რაც ეწინააღმდეგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებს.

მაგალითად, გურჯაანის სახალხო მოსამართლე მ. გიოშვილმა ო. ჯაფარიძის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებული 150 მუხლის II ნაწ.) დაადგინა, რომ სამართალში მიცემულ მეორე პირთან ერთად მთვრალმა მოიპარა 1200 მანეთი. განაჩენით დამნაშავეს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ უმუშევარ ნ. ახალაიას, რომელიც 1979 წლის 22 სექტემბერს ქ. თბილისის დიღმის მასივში სადარბაზო აივანიდან ფანჯრის ვატეხვით შევიდა მოქალაქე ნ. გელაძის ბინაში ქურდობის მიზნით, მაგრამ ვერ მოასწრო დანაშაულის ჩადენა მილიციის მუშაკების მისვლის გამო, საქართველოს სსრ სს კოდექსის 17-150 მუხლის პირველი ნაწილით შეუფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც 251 მუხლის გამოყენებით შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეუტევალა. ნ. ახალაია, როგორც ჩანს, არ ყოფილა ახალბედა ამ საქმეში, რადგანაც წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულმა ნ. გელაძის საცხოვრებელი ბინის ქურდობის გარდა, აღიარა ზ. ფოფხაძის საცხოვრებელი სახლის ვატეხვა და ორი ავტომანქანის გატაცების ფაქტი.

წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ქებუჩიამ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებაში მიცემულ ა. კეზუას, რომელმაც მთვრალმა გაქურდა ი. გაბელიას ბინა, მოიპარა მაცივარი, პიჯაკი და სხვა ნივთები, — მხოლოდ გამასწორებელი სამუშაო აკმარა.

სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობისათვის ლიბერალური სასჯელების შეფარდების ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე კასპისა და თბილისის პირველი მაისის სასამართლოებში.

შეტყუანარებელია, რომ 1979 წელს რესპუბლიკაში გასამართლებული 15 ქურდი-რეციდივისტიდან კანონით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლოებმა არც ერთს არ შეუფარდეს. დამაფიქრებელია, რომ სასამართლოების მიერ გამოტანილ ასეთ ლმობიერ განაჩენებს ზოგჯერ ვერ ამჩნევენ პროკურატურის მუშაკები.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობასთან ბრძოლის შესუსტების პირობებში ზოგიერთი დამნაშავე ადვილად იწყებს სახელმწიფო და საზოგადო ქონების ქურდობასაც. მაგალითად, 1979 წელს ამ დანაშაულისათვის რესპუბლიკაში მსჯავრი დაედო 3,4 პროცენტით მეტ პირს წინა წელთან შედარებით. ამასთან, დამნაშავეთა 30-35 პროცენტს შეეფარდა ერთიდან ორ წლამდე პატიმრობა, რაც ხშირად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებასთან ერთად პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სასამართლოებს დაევალიათ აღკვეთონ უყარათობის, წამატებების, მფლანგველობის ფაქტები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე. სასამართლოებმა ამ ბრძოლაში უნდა გამოიყენონ ყველა საშუალება, რათა სათანადო ზეგავლენა მოახდინონ სამეურნეო ხელმძღვანელობასა და შრომითს კოლექტივებზე.

ეს კარგად არ ესმით თბილისის ორჯონიკიძის, აბაშის, გორის, ზესტაფონის, ქუთაისის ავტოქარხნის სასამართლოთა ხელმძღვანელებს. აქ 1979 წელს

სისხლის სამართლის საქმეთა გამო გამოტანილი კერძო განჩინებების რაოდენობა საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებლებზე საგრძნობლად დაბალია.

ზოგიერთი სასამართლო კვლავ არ უთმობს სათანადო ყურადღებას სახელმწიფოსათვის გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. 1979 წელს სასამართლოების მიერ ამოღებულია ასეთი თანხის 22 პროცენტი, რაც სამჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს, მაგრამ ეს მაინც ცოტაა.

შარშან ამ მხრივ კარგად იმუშავეს თელავის, წითელწყაროს, ბორჯომის, ტყიბულის, დმანისის, ქ. გორის, თბილისის კიროვისა და ოქტომბრის რაიონების სახალხო სასამართლოებმა, რომლებმაც დიდი თანხების მიუხედავად, მოახერხეს ამოეღოთ გაფლანგული თანხის 100 პროცენტი.

საჩხერის სახალხო სასამართლომ კი 162.000 მანეთიდან ერთი მანეთი ამოღებაც ვერ მოახერხა. თანხების ამოღების პროცენტი ძალზე დაბალია აგრეთვე ხობის რაიონის სახალხო სასამართლოში, სადაც ასანაზღაურებელია 5224 მანეთი. მიყენებული ზარალის სრული და დროული ამოღების საქმეში სერიოზულ კრიტიკას იმსახურებენ გარდაბნისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოები.

შარშან ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან შეთანხმებულმა მუშაობამ, რომელიც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და კიდევ უფრო დაიხვეწოს. პრაქტიკულად დადგა აგრეთვე ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან კოორდინაციის საჭიროება, რადგან შრომ-გასწორების დაწესებულებებში გადაგზავნილი აღმასრულებელი ფურცლების საფუძველზე გადახდევინება, როგორც ირკვევა, ხშირად სწორად არ ხდება.

ჩვენს შემოფოთებას იწვევს სპეკულაციის საქმეთა რაოდენობის ზრდა. რომლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას საგანგებოდ მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 2 ავგისტოს დადგენილება.

სასამართლო პრაქტიკის ანალოზი ცხადყოფს, რომ ბენჯერ არც საგამოძიებო და არც სასამართლო ორგანოები არ ადგენენ სასპეკულაციო საქონლის წყაროს, რის გამოც ჩვენ ხშირად ვსამართლებთ არა მსხვილ სპეკულანტებს, არამედ პენსიონერებს, მრავალშვილიან დედებსა და სხვებს, რაც ჩვენი მუშაობის სერიოზული ნაკლია.

მილიციის ორგანოებიდან სასამართლოები იღებენ უზარისხოდ გამოძიებულ სპეკულაციის საქმეებს, რაზეც სათანადო რეაგირებას არ ახდენენ.

სპეკულაციის საქმეთა გამო სახალხო სასამართლოებთან ერთად სერიოზულ და გაუმართლებელ შეცდომებს უშვებენ ზემდგომი სასამართლოებიც, სადაც ზოგჯერ უმართებულოდ ცვლიან განაჩინებს. მაგალითად, სპეკულაციისათვის ნასამართლევ უმუშევარ გ. თათულაშვილს, რომელმაც 2 კვ ხიზილალის გადაყიდვით მოიგო 140 მანეთი, თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ (მომხსენებელი ა. ჯახუა) მას სასჯელი გამასწორებელი სამუშაოების შეუცვალა და გამოუსწორებელი სპეკულანტი აღსაზრდელად გადასცა კოლექტივს, სადაც ამ უკანასკნელმა მუშაობა დაიწყო საქმის აღძვრიდან ერთი თვის შემდეგ.

ქურდობისა და სპეკულაციის, აგრეთვე ბევრი სხვა დანაშაულის სათავეა

მუქთახრობა. მაგალითად, 1979 წელს მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის გასამართლებული პირებიდან არსად არ მუშაობდა 41,4 პროცენტით. კაცი, რომელიც იჩემებს უფლებას პარაზიტული გზით იცხოვროს საზოგადოების ხარჯზე, ითქვა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რყვნის სულმოკლე ადამიანებს, ავრცელებს კანონის შესრულების მოვალეობისადმი უნდობლობის ბაცილებს. ამიტომ ყველამ, ვისაც ევალება მუქთახრობისათვის ბრძოლა, უფრო მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ პრობლემის გადაჭრას.

სასამართლო ორგანოების ვალია არა მარტო მკაცრად დასაჯონ მაწანწალები და მუქთახორები, არამედ კრიტიკულად შეაფასონ მილიციის ორგანოებიდან მიღებული მასალები. გულდასნით დაადგინონ არა მარტო პირის უსაქმურობის ფაქტი, არამედ ისიც, არის თუ არა შეკრებილი საჭირო მტკიცებულებანი ასეთი პირების პარაზიტული ცხოვრების შესახებ.

ეს ხშირად ავიწყდებათ მილიციის ორგანოებს. ამას ზოგჯერ ივიწყებენ სასამართლოებიც, რის გამოც მარტო შარშან რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ სრულიად სამართლიანად გააუქმა ამ კატეგორიის საქმეთა გამო გამოტანილი 30-მდე განაჩენი. გაუქმების მთავარი მოტივი ის გახლდათ, რომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ როგორი იყო მუქთახრობისათვის პასუხისმგებლობაში მიცემული პირის ოჯახის საერთო შემოსავალი, ჰქონდა თუ არა ამ ოჯახს დანაზოგი, მუშაობდა თუ არა პასუხისმგებლობაში მიცემულის მეუღლე და სხვ.

ზუგდიდის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სსკ 234 მუხლით გაასამართლა ო. აკობია, რომელაც მილიციის ორგანოების მიერ წინასწარ პატიმრობაში იყო აყვანილი. საქმის მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ ო. აკობია, რომელიც წინათ არ ყოფილა სასამართლევი, დაპატიმრებამდე 25 წელი განუწყვეტლივ მუშაობდა კოლმეურნეობის მძღოლად. მხოლოდ ერთი წელი არ მუშაობდა იმის გამო, რომ ვერ მოეწყო შესაფერის სამუშაოზე. კოლმეურნეობა ო. აკობიას ახასიათებს დადებითად და, რაც მთავარია, იგი ხუთი შვილის მამაა.

მოსამართლე ნ. აღშიბაიამ, ამის მიუხედავად, კერძო განჩინება არ გამოუტანა იმ მუშაეებს, რომლებმაც ო. აკობია წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს.

არას შემთხვევები, როცა მოსამართლეები ვერ ერკვევიან მოქმედ კანონმდებლობაში და ღრმად არ სწავლობენ ახალ ნორმატიულ აქტებს. ამის ფაქტები ბევრია. მაგალითად, ზოგიერთი სასამართლო მცდარად უფარდებს ადმინისტრაციულ პატიმრობას პირებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის, წვრილმანი სპეკულაციისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის. ასეთი შემთხვევები იყო წყალტუბოს, ყვარელის, ქარელის, მცხეთის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც სასჯელის ღონისძიება, მცდარად გამოიყენეს თბილისის კალინინის, მცხეთის, ქ. ზუგდიდის, ფოთის და ზოგიერთ სხვა სახალხო სასამართლოებში.

ამ ქალაქებისა და რაიონების მოსამართლეებს გვინდა მოვაგონოთ, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც სასჯელის ღონისძიება, დატოვებულია მხოლოდ წვრილმანი ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულებისას მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის

კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი არა მარტო დავათა უსაფუძვლო გაჭიანურების, არამედ საქმეთა უხარისხოდ განხილვის ფაქტები. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლეები წინასწარ სათანადოდ არ ამზადებენ საქმეებს სრულყოფილი განხილვისათვის, რაც შემდგომი მათი გაუქმების საფუძველი ხდება. ყვარლის, გორის, ხობის ცხაკიას სახალხო სასამართლოები ხშირად საქმეებს უსაფუძვლოდ იცილებენ თავიდან. მაგალითად, მარტო შარშან საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა აცილება 140 სამოქალაქო საქმის გამო, რასაც საბოლოოდ მათ განხილვის გაჭიანურება მოჰყვა. არის ფაქტები, როცა სამოქალაქო საქმეთა გამო აღვოკატები მოქალაქეებს იცავენ რწმუნების ვარეშე; თავისი ინიციატივით შეაქვთ სასამართლოებში სასარჩელო განცხადებები. ეს კი ეწინააღმდეგება კანონს.

სამოქალაქო საქმეების, განსაკუთრებით შრომითი დავის აღსაკვეთად სასამართლოები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. მაგალითად, შარშან შრომითი და სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა გამო არც ერთი კერძო განჩინება არ გამოუტანიათ ქუთაისის ლენინის რაიონის, ადიგენის, გეგეჭკორის, გორის, ვანის, თეთრი წყაროს, ცხაკიას, საგარეჯოს და წყალტუბოს რაიონების სახალხო სასამართლოებს. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის პირველი მაისის, საქარზნო და ორჯონიკიძის, ჭიათურის, ზუგდიდისა და მცხეთის რაიონებში. მოსამართლეები ყველა შემთხვევაში არ აკისრებენ აგრეთვე იძულებითი განაცდურის ვადახდას ბრალეულ თანამდებობის პირებს და არ გამოაქვთ მათ მიმართ კერძო განჩინებები.

ამ საკითხების მოგვარებას ყურადღებას არ აქცევენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებიც, რასაც მიმდინარე წელს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად გასაუმჯობესებელია მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საქმეც. ამ მხრივ ჩვენი ყველა შესაძლებლობა ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული. საკითხი ეხება სასამართლოების გამსვლელი სხდომების სწორ ორგანიზაციას და მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობის უართო მონაწილეობას.

ჩვენი ამოცანაა სასამართლოების მუშაობის პრაქტიკიდან გადაჭრით აღმოიფხვრას ისეთი შემთხვევები, როცა სასამართლოს გამსვლელი სხდომები არ ეწყობა შესაბამის შრომითს კოლექტივებში. ამ მხრივ გაცილებით მეტი მუშაობა მართებს სამტრედიის, ქარელის, საგარეჯოს, ცხაკიას, თბილისის პირველი მაისისა და ორჯონიკიძის, აგრეთვე ხობისა და გორის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

აღმოფხვრილი არ არის ფაქტები, როცა მოსამართლეები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან შრომითი კოლექტივების წინაშე ანგარიშებით გამოსვლას. ჩხოროწყუს, სამტრედიის, მესტიის, თბილისის პირველი მაისის, თეთრი წყაროს და ქ. რუსთავის სასამართლო მუშაკები კი იშვიათად გამოდიან რადიოთი, ტელევიზიით და პრესაში სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებზე. შარ-

შან სამტრედიის სახალხო სასამართლოს არც ერთი მოსამართლე არ გამოსულა ადგილობრივ პრესაში და რადიოთი, ხოლო თელავის წინდის ფაბრიკაში, სადაც ხშირია სახელმწიფო ქონების წვრილმანი დატაცებები, 47 ლექტიდან სამართლებრივ საკითხებზე წაკითხულია მხოლოდ 3.

ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლო კვლავ უპასუხისმგებლოდ ეკიდება სამუშაო გეგმებისა და სასამართლო განზოგადებების შედგენას. მაგალითად, გორის რაიონის სახალხო სასამართლოს ა. წ. თებერვლის ბოლოსთვის შედგენილი არ ჰქონდა სასამართლოს სამუშაო გეგმა. ონის რაიონის სახალხო სასამართლომ, რაიონში არასრულწლოვანთა დანაშაულების 16 ერთეულით გაზრდის მიუხედავად, არ განაზოგადა პრაქტიკა ამ საქმეთა ვამო და სათანადო ინფორმაცია არ წარუდგენია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის.

სამართლდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პირობებში აუცილებელი ხდება იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სასამართლოების კავშირის განმტკიცება, რომლებსაც ევალებათ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. აქ უპირველესად იგულისხმება მჭიდრო კონტაქტები ამხანაგურ სასამართლოებთან და ნებაცოფლობითს სახალხო რაზმელებთან. სასამართლოებს ევალებათ, რომ ეს ორგანოები სისტემატურად გრძნობდნენ მათს დახმარებას.

სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ყველა ზემოთ აღნიშნული ხარვეზის დროული აღმოფხვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არჩევნების წინა წელს, როცა ფაქტობრივად ჯამდება სასამართლოების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მთელი მუშაობა.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების თითოეულ მუშაკს ღრმად აქვს შეგნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს სახელმძღვანელო დადგენილებით დასახული სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ამოცანები, და ეჭვი არ არის, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ მართლმსაჯულების განუხრელი განხორციელებისათვის.



იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების შედეგობი სრულყოფისათვის

მ. კომახიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების
მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლო წლებში დიდ ყურადღებას აქცევს კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის საქმეს. ეს საკითხი 1979 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ამ პლენუმზე აღნიშნა, რომ „თანამედროვე ეტაპზე კადრებთან მუშაობა ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე უნდა დავაყვებოთ. საჭირო გახდა ყოველმხრივ გავიანზოთ ყოველივე ნაღვწი და მიღწეული, განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება, გავაანალიზოთ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიზეზები. აღმოგვხვრათ ისინი. შევიმუშაოთ ჩვენი კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის მთელი საქმის შემდგომი სრულყოფის უარყო პროგრამა“.

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელობამ შეიმუშავა ღონისძიებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების გასაუმჯობესებლად.

შარშან, მაისში, ჩვენი კურსების საქმიანობა კადრების გადამზადებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მკაცრად და სამართლიანად ვაკრიტიკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს კურსების ხელმძღვანელობამაც, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოებმაც და განყოფილებებმაც, აგრეთვე რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმაც, რომლებსაც ევალებათ რესპუბლიკური კურსების დროულად და სრულად დაკომპლექტება. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკური კურსებს კადრების გადამზადების გეგმა არასდროს არ შეუსრულებია ისე როგორც 1979 წელს

ამჟამად რესპუბლიკის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები კადრების გადამზადების გეგმის შესრულების მხრივ კავშირის მასშტაბით მოწინავეთა რიგებშია. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ რსფსრ კურსების შემდეგ კადრების გადამზადების ყველაზე დიდი დავალება გვაქვს. ეს იმით აიხსნება, რომ საღირებეტივო ორგანოების დავალებით კურსებზე უკანასკნელ წლებში კვალიფიკაციას იმაღლებენ სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საჯოების აღმასკომების მდივნები, რომლებიც უმუშაოდ ასრულებენ სანოტარო მოქმე-

ღებასა და ახდენენ მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას. ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები, სახალხო რაზმელები, ჟურნალისტები, რომლებიც წერენ სამართლისა და მართლის თემებზე, აგრეთვე ის პედაგოგები, ვინც სკოლაში ასწავლის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს, მათი რაოდენობა წელიწადში შეადგენს 800-ზე მეტ კაცს. აღსანიშნავია, რომ ზემოდასახელებული ხუთი კონტინგენტი არც ერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კურსებზე არ იმაღლებს კვალიფიკაციას.

რესპუბლიკურ კურსებზე ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით მოწვეული არიან რესპუბლიკაში ცნობილი სწავლული იურისტები და მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი მუშაკები — სულ 80 კაცი.

კარგად მუშაობს რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭო. 1979 სასწავლო წელს გაიმართა საბჭოს 10 სხდომა, რომლებზეც განიხილეს 63 საკითხი. ყოველი ნაკადის დაწყების წინ საბჭო იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტიდან მიღებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციებისა და ნითითებების საფუძველზე შეიმუშავებს და საქართველოს სსრ იუსტიციისა და რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრებს დასამტკიცებლად წარმოუდგენს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები 1979 სასწავლო წელს 15-ჯერ დაესწრნენ სხვადასხვა კონტინგენტის ჯგუფებში ლექცია-სემინარებს. შედეგებს, ჩვეულებრივ კოლეჯთვის განიხილავს მეთოდოლოგიური საბჭო.

მეთოდოლოგმა საბჭომ შეისწავლა და განიხილა საკითხი, თუ როგორია იმ მუშაკების მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, რომლებმაც კვალიფიკაცია იმაღლეს რესპუბლიკურ კურსებზე და შემდეგ თავიანთ სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ. კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს დადგენილებით ეს საკითხი რეკომენდებულია განვიხილო იქნეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეჯიაზე.

1979 სასწავლო წელს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაკომპლექტებულ ჯგუფებში წაკითხულია 2619 აკადემიური ლექცია, 432 საათი დაეთმო სემინარებს, 258 აკადემიური საათი კი პრაქტიკულ მეცადინეობას. მსმენელთა მოთხოვნით სხვადასხვა აქტუალურ თემაზე დამატებით ჩატარდა 43 ლექცია. სემინარებზე წაკითხულია 449 მოხსენება და თანამოხსენებია. პრაქტიკული მეცადინეობები იწყობოდა იუსტიციის სამინისტროს კოლეჯის მიერ რესპუბლიკური კურსებისათვის გამოყოფილ ბანებში — ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონების სახალხო სასამართლოებში, ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ქ. თბილისის ლენინისა და კალინინის რაიონების მშაჩის განყოფილებებში, ქ. თბილისის ქორწინების სახლში, ქ. თბილისის მშაჩის არქივში, ქ. თბილისის კიროვის, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში. მსმენელთა კონტინგენტების გათვალისწინებით პრაქტიკული მეცადინეობა ტარდებოდა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიაში, საქართველოს სსრ იუსტიციის და კვების მრეწველობის სამინისტროებში.

მსმენელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად ფართოდ იყენე-

ბენ ისეთ ფორმებს, როგორც არის ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, ლექციები აქტუალურ საკითხებზე, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრა, ექსკურსიები რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილების, აგრეთვე მუზეუმების დასათვალიერებლად. მსმენელთა სურვილს შესაბამისად ეწყობა კოლექტიური სვლა კინო-თეატრებში და ა. შ.

რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს წევრების მონაწილეობით მოეწყო ოთხი ლექცია აქტუალურ საკითხებზე: „მხატვრული ლიტერატურის როლი კანონისა და სამართლის პატივისცემით მოსახლეობის აღზრდის საქმეში“, „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიული ფესვები“.

დამტკიცებული გეგმის შესაბამისად მოწყობილ სხვადასხვა სახის 54 კულტმასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობდა 1610 კაცი.

მსმენელები, სახალხო მოსამართლეები, ადვოკატები, იურისკონსულტები, სახელმწიფო ნოტარიუსები და ჟურნალისტები სისტემატურად ხვდებიან რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების — საქართველოს სსრ პროკურატურის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელობას, სადაც მათ ამომწურავი პასუხი ეძლევათ წამოჭრილ შეკითხვებზე.

ადვოკატებისა და იურისკონსულტების ჯგუფის მსმენელთა მონაწილეობით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შრომა „ყამირი“, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების: მდივნებისათვის კი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან და სახალხო დეპუტატების საბჭოების ამოცანები. შარშან 11 ივლისს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეული ლექტორებისა და რესპუბლიკური კურსების მსმენელთა მონაწილეობით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და სახალხო დეპუტატთა საბჭოების სადღეისო ამოცანები. ამ კონფერენციაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. შუშანაშვილმა, მოხსენება გააკეთეს პროფ. გ. აფრიდონიძემ და პროფ. ი. სიხარულიძემ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე გ. იოსავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. გამყრელიძე, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ჯ. რუსიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გ. გურგენიძე და სხვები. მოსამართლეთა და ადვოკატთა ჯგუფების მსმენელები რამდენჯერმე დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კო

ლეგების, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებს, მოსამართლეთა ჯგუფის მსმენელებისათვის წინასწარ შემუშავებული გეგმით მოეწყო სპეცემინარები თბილისის სასამართლო ექსპერტიზის კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში, იურისკონსულტთა ჯგუფების მსმენელები დაესწრნენ სახელმწიფო არბიტრაჟში სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა განხილვას. ამ კონტინგენტს ყოველთვის ღებულობს სახელმწიფო არბიტრაჟის ხელმძღვანელობა. რესპუბლიკის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნების ჯგუფების მსმენელები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობამ.

შარშან 3 დეკემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით რესპუბლიკურ კურსებმა წარმოებას მოწყვეტით დააკომპლექტა იმ უურნალისტთა ჯგუფი, რომლებიც უურნალ-გაზეთებში წერილებს აქვეყნებენ სამართლისა და მორალის თემებზე; ჯგუფის მსმენელებისათვის გამოშვების დღეს მოეწყო პრესკონფერენცია საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობასთან.

რამდენიმე სიტყვა იმ სიახლეებზე, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში ინერგება რესპუბლიკური კურსების პრაქტიკაში.

1. სემინარიებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის ამაღლებისათვის შემოღებულია სპეციალური ფორმები სემინარისა და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისათვის, რომელიც განხილული და დამტკიცებულია რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ. ყოველი ნაკადის დაკომპლექტების პირველ დეკადაში ლექტორები და მსმენელები აესებენ ამ ფორმებს, რომლებშიც წინასწარ არის განსაზღვრული, როდის, სად და რა თემაზე ტარდება სემინარი ან პრაქტიკული მეცადინეობა, ვინ არის მომხსენებელი და თანამომხსენებელი. მითითებულია სათანადო ლიტერატურა. სემინარის ან პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისთანავე დგება საკონტროლო ცნობა.

2. რესპუბლიკურ კურსებზე ჩარიცხული ყველა მსმენელი აესებს ანკეტას, რომლითაც მას უფლება აქვს, გეგმით გათვალისწინებული სასწავლო და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების გარდა, დამატებით მოითხოვოს მისთვის საინტერესო თემაზე ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობისა და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების მოწყობა, ამასთან ერთად შემოაქვს წინადადებანი რესპუბლიკური კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელობა სწავლობს ანკეტებს და წამოკრილი საკითხების შესრულების შესაძლებლობის თაობაზე წინასწარ აყენებს მსმენელებს საქმის კურსში.

3. რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს დადგენილებით ყველა ნაკადის მსმენელებისათვის შემოღებულია 2-2 საღებრივი საათი თემაზე: „სტილისტიკა და მისი ამოცანები იურისპრუდენციაში“, მოსამართლეების, ადვოკატებისათვის კი 2-2 აკადემიური საათი თემაზე: „სამსჯავრო პროცესის კულტურა“ და 2-2 აკადემიური საათი ლექცია თემაზე: „მეტყველების კულტურა“.

4. მსმენელები ასრულებენ რეფერატებსა და საკონტროლო წერიტის მუშაობებს, რომლებიც ფასდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

ს. გაუმჯობესდა კურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იუსტიციის სამინისტროს დახმარებით. რესპუბლიკური კურსების შენობიდან გაკეანილია თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორა და ფართობი 120

კვადრატული მეტი გადმოგვეცა საერთო საცხოვრებლის მოწყობისათვის. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკური კურსებისათვის 100 კაცისათვის შეიძინა უმაღლესი ხარისხის სასწავლო მერსები.

კურსების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეულ ლექტორებს და მეთოდოლოგიური საბჭოს წევრებს — პროფესორებს ნ. წერეთელს, გრ. ერემოვს, ა. ფალიაშვილს, ი. სიხარულიძეს, თ. ლილუაშვილს, ა. ბენდიანიშვილს, დოცენტებს ვ. ლორიას, რ. შენგელიას, შ. ფაფიაშვილს, თ. სანიკიძეს, გ. გურგენიძეს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებს ო. გამყრელიძეს, ვ. დედეაზიანს, ჯ. რუსიაშვილს, პრაქტიკოს მუშაკებს გ. იოსავას, ი. დილევესკიას, მ. ნიკოლაიშვილს, ც. ხარებოვას, გ. როინიშვილს, მ. ბაღათურიას, თ. საბიაშვილს, ს. სიხარულიძეს, ვ. გვენცაძეს, ნ. ჯამასპიშვილს, ქ. ცაგარეიშვილს, გ. ჭელიძეს, ი. ნანობაშვილს, ზ. მესენგისერს, ზ. ქავთარაძეს, გ. ფარულავას, თ. ჯიბლაძეს, თ. ვაშაკიძეს, ქრ. სუხიშვილს.

1980 წლის 20 მარტს კურსების მუშაობის საკითხი განიხილა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და მიღებულ დადგენილებაში დადებითი შეფასება მისცა ჩვენს საქმიანობას. კურსებზე ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ დონეზე ჩატარებისა და სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის 29 ლექტორი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით, ხოლო 10 ლექტორს გამოეცხადა მაღლობა. გარდა ამისა რესპუბლიკური კურსების დირექტორის მოადგილეს მ. ჩაჩუას, უფროს ბუღალტერს მ. ქლენტს და ამ სტატიის ავტორს გამოეცხადათ მაღლობა და დაჯილდოვდნენ თითო თვის ხელფასით.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებაში, ჩვენს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ კურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერჯერობით კურსები არ არის მომარაგებული საჭირო ტექნიკური საშუალებებით, რაც დიდ დახმარებას გაუწევდა მას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებაში.

1980 წლის დასასრულისათვის კურსებზე, ნაცვლად 1979 სასწავლო წელს გადამზადებული 1103 კაცისა, კვალიფიკაცია უნდა აიმაღლოს 1235 პირმა, მათ შორის 10 დღიან პროგრამას გაივლის 625, ხოლო ერთთვიანს — 610 კაცი. ეს გეგმა ჯერჯერობით სრულდება. აუცილებელია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ყველა სამმართველომ და განყოფილებამ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებამ ქმედითი დახმარება გაგვიწიონ გეგმით გათვალისწინებული ყველა ნაკადის სრულყოფილ და დროულ დაკომპლექტებაში.

ახალგაზრდობის ძირითადი უღლებები გვრ-ში

3. გაეშაფვილი

გვრ-ის ახალგაზრდობა დიდ როლს ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რესპუბლიკის მოწინავე ახალგაზრდობის გაერთიანება — თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი ქვეყნის სოციალისტური ახალგაზრდობის მასობრივი პოლიტიკურა ორგანიზაციაა, რომელიც ორგანიზებულად გამოხატავს გერმანელი ქალიშვილებისა და ჭაბუკე-ზის ინტერესებს, თუმცა ამავე დროს ითვისებს მისი ცალკეული ფენების სპეციფიკურ ინტერესებსაც.

გვრ-ში ახალგაზრდობას და მის ზეგავლენას — თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დღეისათვის ყველა იურიდიული საფუძველი აქვს შექმნილი თავისი საქმიანობის ვა-საფართოებლად და გასაღრმავებლად. ამის ნათელი დადასტურებაა თვით გვრ-ის არსებობისა და განვითარების ოცდაათი და მისი ახალგაზრდობის ორგანიზაციის 85 წლის ისტორია.

გერმანელი ახალგაზრდობის უფლებები აისახა გვრ-ის 1949 და 1968 წლის კონსტიტუცი-ებში. გარდა ამისა რესპუბლიკის არსებობის მანძილზე სამჯერ 1950, 1964 და 1974 წლებში იქნა მიღებული კანონი ახალგაზრდობის შესახებ, რომლებმაც კიდევ უფრო სრულყო და გაამდი-რა გვრ-ის კონსტიტუციებში ფიქსირებული ახალგაზრდა თაობის უფლება-მოვალეობანი.

გერმანელი ახალგაზრდობა თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლე-ბებისათვის ბრძოლას ეწეოდა ათწლეულების მანძილზე, იყო ეს კაიზერისეული გერმანია, ვაი-მარის რესპუბლიკა თუ ფაშისტური მესამე რეიხი. გერმანელ ახალგაზრდობას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ბრძოლა, რაც უპირველესად დაკავშირებული იყო გერმანიის მუ-შათა კლასისა და სხვა მშრომელი მასების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. დღეს რეაქ-ციის, კაპიტალისა და რევოლუციონარული ზემოქმედების პირობებში გერმანელი ახალგაზრდობა გა-ნაგრძობს თავისი უფლებებისათვის ბრძოლას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბე-ბის პროცესშივე სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ომის შემდგომი ახალგაზრდობის პოლი-ტიკურ და სოციალურ მოთხოვნათა შინაარსი. 1950 წელს გვრ-ში მიიღეს პირველი კანონი ახალგაზრდობის შესახებ. იგი დროის მცირე მონაკვეთში როდი შემუშავდა და დაკანონდა. მის საწარმოებრივ ნორმად ქვეყას წინ უძღოდა წლები, კერძოდ, ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდი გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში. ანტიფაშისტურ-დემოკრატიული რე-ვოლუცია 4-5 წელიწადს ვრცელდებოდა და სწორედ ამ პერიოდში შეძლეს გერმანელი ახალ-გაზრდობის დემოკრატიულმა პროგრესულმა ძალებმა ანტიფაშისტური რევოლუციის ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, როგორიც იყო სასჯოლო და აგარული რევორმა, დენაციფიკაცია და დემილიტარიზაცია, წამოყენებინათ თავიანთი შრომის, განათლების, დასვენ-ების, სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის და სხვა ძირითადი უფლებები.

ახალგაზრდობას კავშირმა შესძლო ორგანიზებულად წამოეყენებინა და დაესაბუთებინა, შემ-დგ კი დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით განეხორციელებინა კიდევ ახალგაზრდობის ძი-რითადი უფლებები. 1948 წლის ივნისში ბრანდენბურგ-შაველში გაიმართა თავისუფალი გერმანე-ლი ახალგაზრდობის კავშირის I ყრლობა, რომელმაც სხვა მთავარ დოკუმენტებთან ერთად მიიღო „ახალგაზრდა თაობის ძირითადი უფლებები“. ამ დოკუმენტით გერმანელმა ახალგაზრდობამ ქვეყნად მიმდინარე ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების ცენტრში თავისი ოთხი ძირითადი უფლების აღიარება დააყენა, ესენი იყო პოლიტიკური უფლებები, შრომის უფლება, განათლების და გონივრულ გართობა-დასვენების უფლება.

ამ დოკუმენტში პირველი რიგის ამოცანად დასახული იყო პოლიტიკურ უფლებათა აღი-არების საკითხი, რათაც უნდა გარანტირებულიყო ახალგაზრდობის მონაწილეობა განახლებული გერმანიის დემოკრატიული ორგანოების მშენებლობაში. ყოველ 18 წელს მიღწეულ ახალ-გაზრდას უფლება უნდა ჰქონოდა ხმა მიეცა სათემო, სარაიონო და საქალაქო წარმომადგენ-

¹ Коммунисты и проблемы современного молодежного движения. М., 1976, стр. 78.



ლობების არჩევნებში. ხოლო 21 წლის ახალგაზრდებს კი იმის უფლება, რომ თავიანთი კოლექტივებში არჩეული დასახელებულ წარმომადგენლობებში².

შრომის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ახალგაზრდობა მოითხოვდა 42-საათიან სანუშაო კვირის დადგენას 11-16 წლის მოზარდებისათვის და 41 საათიან სამუშაო კვირას— 16-18 წლის ახალგაზრდებისათვის პროფესიის შესწავლის დროის ჩათვლით, თანაბარი ხელფასის გარანტიას თანაბარი შრომისათვის, სასწავლო ხელშეკრულებების გადაქცევას პროფესიულ-საგანმანათლებლო ხელშეკრულებებად³. უნდა აკრძალულიყო ბავშვთა ყოველგვარი შრომა, ასევე მოსწავლეებისა და შეგირდების შრომის ზოროტი მანუებისათვის გამოყენება და სასტიკად დასჯილუყვნენ ის პარტები, რომლებიც უფლებებელყოფდნენ ამ აკრძალვას⁴. უნდა ვადაცინჩათ და გაეუმჯობესებინათ ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის მანამდე პრაქტიკაში მოქნედი დებულებები და განკარგულებები, ქალიშვილები დაუბრკოლებლად დაეშვათ ნებისმიერი პროფესიის დაუფლებისათვის, თუკი მათ შესწევდათ მისგ გამოყენების უნარი. უდებამო და კერას მოწყვეტილი მოზარდებისათვის გამოენახათ საცხოვრებელი სახლები, ასევე უნდა გაჩომბნილიყო შესაფერისი სამუშაო ადგილები ომის ინვალიდი და ფიზიკური ნაკლის მქონე ახალგაზრდებისათვის⁵, მატერიალურად დახმარებოდნენ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების იმ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებიც არჩენდნენ და-ძმებს, ან შრომის უნარ-მოკლებულ შშობლებს.

დასვენების და გონივრული გართობის უფლების უზრუნველსაყოფად ახალგაზრდობა მოითხოვდა დაწესებულიყო 16 წლის მუშა-ახალგაზრდებისათვის 24-დღიანი ფასიანი შვებულება, ხოლო 18 წლის ახალგაზრდებისათვის — 18 დღიანი ფასიანი შვებულება.

გერმანელი ახალგაზრდობის მიერ „...ძირითად უფლებებში“ წამოყენებული მოთხოვნები მომდევნო პერიოდში თითქმის უკლებლივ იქნა გათვალისწინებული საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მიერ გამოცემულ იმ კანონებსა და განკარგულებებში, რომლებიც ომის შემდგომი გერმანიის მოზარდი თაობის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს აწესებოდა. მაგალითად, 1947 წლის 17 თებერვალს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც 1919 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული ნაცისტური პარტიის და მისი ხელქვეითი ორგანიზაციების წევრები გამოცხადნენ თანასწორუფლებიან მოქალაქეებად საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გამოაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ ნაცისტური პარტიის ან მასი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ის წევრები, რომელთაც რაიმე დანაშაული მიუძღოდათ მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე. ეს შეზღუდვა ვრცელდებოდა იმათზეც, ვინც 1945 წლის 8 მაისის შემდეგ ეწეოდა მილიტარისტული, ნაციონალ-სოციალისტური და ანტიდემოკრატიული იდეების პროპაგანდას.

ამ კანონის მოქმედების სფეროში მოექცა უმეტესწილად ომის შემდგომი გერმანელი ახალგაზრდობა, რომელთა უმაღლესი ასაკობრივი ზღვარი მათში 27-28 წელი იყო. კანონი, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივ რეაბილიტაცია იყო გერმანელი ახალგაზრდობის და კერძოდ მისი იმ ნაწილისა, რომელსაც მძამე დანაშაული არ მიუძღოდა გერმანელი ხალხის, საშობლოს ან ეტროპისა და მსოფლიოს ხალხების წინაშე. ბევრმა გერმანელმა ახალგაზრდამ შეიგნო თავისი დანაშაულებრივი წარსული, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მასთან და ახლა მზად იყო ჩამდგარიყო განახლებული გერმანიისათვის მებრძოლთა რიგებში. აი სწორედ ასეთი ახალგაზრდებისათვის არ უნდა ეკრათ ხელი გერმანიის ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ ძალებს, არ უნდა გაერიფთ იგი ქვეყნად მიმდინარე ძირეული გარდაქმნების პროცესისაგან. პირიქით ისინი ყოველი საშუალებით უნდა მიეზიდათ დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. ახალგაზრდობის კავშირის მანინდელმა თავმჯდომარემ ერის ჰონეკერმა 1947 წლის მარტში ამ კანონის გამო აღნიშნა, რომ მათ ორგანიზაციას სურს არა ას, რომ გერმანელ ახალგაზრდობას მიეტოვოს მისი წილი ფაშისტურ დანაშაულებებში, არამედ ის, რომ გერმანელი ახალგაზრდები ცნონ სახელმწიფოს თანასწორუფლებიან მოქალაქეებად⁷. ე. ჰონეკერი აქვე დასძენდა, რომ გერმანელი ახალგაზ-

² Die Grundrechte der Jungen Generation. Brandenburg (Havel), 1946, გვ. 7.

³ იქვე, გვ. 7.

⁴ იქვე, გვ. 8.

⁵ იქვე, გვ. 8.

⁶ იქვე, გვ. 9.

⁷ Erich Honecker. Zur Jugendpolitik der SED. Berlin, 1977, გვ. 65.

რღობის დადანაშაულება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი იგი უარს იტყოდა სამშობლოს დემოკრატიული განახლებისათვის თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე⁸.

აღნიშნულმა კანონმა 1919 წლის შემდეგ დაბადებულ გერმანელ ქალიშვილებსა და კაბუტებს ფართოდ გაუხსნა გზა სხვა დემოკრატიულ ძალებთან, უპირველესად კი ომის შემდგომ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში აღმოცენებულ პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისაკენ, საზოგადოებრივ — პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმისაკენ.

1947 წლის ნოემბერში შონენტეკში გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ზონის სოფლის ახალგაზრდობის შეკრებაზე მიიღეს პროგრამა, რომელშიც სოფლის ახალგაზრდობამ ჩამოაყალიბა თავისი მთავარი მოთხოვნები. მისი მიხედვით ყოველ სახალხო მამულში უნდა აშენებულიყო ერთი საწარმოო სკოლა, ხოლო მანქანა-გაქირავების სადგურებში შექმნილიყო მოკლევადიანი კურსები, სადაც ხელახლა მოწადეობს გაივლიდნენ წინათ პროფესიას არასრულად დაუფლებულნი ახალგაზრდა მუშები⁹.

პროგრამა აცხადებდა, რომ სოფლად მომუშავე პიროვნება აწიერიდან აღარ იყო დაქირავებული მუშა ან მეორენარისსოვანი ადამიანი, რომ მას ჰქონდა ადამიანურად ცხოვრების სრული უფლება. პროგრამა მოითხოვდა ყველა იმთ მკაცრად დასჯას, ვინც სოფლად დასაქმებულ ახალგაზრდა მუშებს საკუთარი მოგების ან მსგავსი მიზნებისათვის გამოაყენებდა¹⁰. ამიტომ საჭიროდ იქნა მიჩნეული გამომუშავებულიყო და პრაქტიკაში დანერგილიყო სოფლად ახალგაზრდობის შრომის დაცვის ისეთი დებულება, რომელიც დააქონებდა 7-სათიან სამუშაოდღეს 14-16 წლის მოზარდებისათვის და 7 საათხანვერიან დღეს — 16-18 წლის ახალგაზრდებისათვის. მოითხოვდა აკრძალულიყო სოფლის მეურნეობის მუშაკების ხელფასიდან საწარმოთა მფლობელების მიერ თვითნებური დანარიცხების დაკავება, სასკოლო ასაკის მოზარდები კი არ დაესაქმებინათ სხვა საწარმოებში სამუშაოდ, ხოლო ადგილობრივ კომუნალურ და ადმინისტრაციულ ორგანოებს სოფლად მომუშავე ახალგაზრდობა უზრუნველყოთ ვარგისი საცხოვრებელი პირობით, სპეციალური ტანსაცმლით, გაეუმჯობესებინათ კონტროლი სატარიფო ხელშეკრულებების ზუსტად დაცვაზე, ხოლო შრომის დაცვის საინსპექციო ორგანოებს კანონიერად ეცნოთ ეს ხელშეკრულებები.

ახალგაზრდობის კავშირის II ყრილობაზე, რომელიც 1947 წლის მაისში მაისენ-პფინგსტენში გაიმართა, გერმანელთა ახალგაზრდობამ ამის პარალელურად წამოაყენა ახალი მოთხოვნებიც, რომლებიც განპირობებული იყო ქვეყანაში მიმდინარე ანტიფაშისტურ-დემოკრატიული რევოლუციის ახალი ეტაპით. კერძოდ ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა მოითხოვეს, რომ განხორციელებულიყო ქალების თანასწორობა მამაკაცებთან უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას, ან იქ არსებული ვაკანტური ადგილების დასაკავებლად, რომ დემოკრატიულად განწყობილ სტუდენტებსა და მასწავლებლებს მისცემოდათ ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში თავისუფლად გადასვლის უფლება¹¹.

1948 წლის 15 სექტემბერს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გამოსცა „დიდი ბერლინის ახალგაზრდობის შრომის დაცვის განკარგულება“. იგი შედგებოდა 27 მუხლისაგან და ეხებოდა დიდი ბერლინის ყველა კერძო და საზოგადოებრივ (სახალხო) საწარმოს. ამ განკარგულების მიხედვით ფაბრიკა-ქარხნებში შრომის დაცვის ორგანოების ბაზაზე ყალიბდებოდა ერთიანი შრომის დაცვის საქადაქო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა ინსტრუქციებს ახალგაზრდობის შრომის დაცვის საკითხებზე¹². მიღებულ ინსტრუქციებს წარმოებაში პრაქტიკულად განხორციელებდნენ შრომის დაცვის ორგანოები. ამ განკარგულების ძალით, თუ ახალგაზრდები რამდენიმე ადგილზე იყვნენ დასაქმებულნი, მაშინ ცალკეულ დასაქმებათა დროს მთლიანობაში არ უნდა გადაეჭარბებინა კანონით დადგენილი დროის უმაღლესი ზღვარისათვის. მუშაობა აეკრძალა 15 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს. იგი ვრცელდებოდა აგრეთვე საოჯახო რეწვაში ბავშვთა შრომის დასაქმებაზეც. გამონაკლისი დაშვებული იყო, მხოლოდ მაშინ, თუკი დასაბუთდებოდა, რომ სამუშაო უარყოფით გავლენას არ მოახდენდა მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვი-

⁸ იქვე. გვ. 65.

⁹ Dokumente und Beschlüsse der FDJ. Bd. 2, 1951, გვ. 6.

¹⁰ იქვე. გვ. 6.

¹¹ II Parlament der FDJ. Meisen-Pfingsten, 1947, გვ. 16.

¹² Verordnung über Jugendarbeitsschutz von Gross-Berlin. B., 1949. გვ. 8.

თარებაზე¹³. ამისათვის კი საჭირო იყო, რომ ბავშვთა შრომით დასაქმებულ უწყებას ან პიროვნებას წარმოედგინა დასკვნები ექიმისაგან, სკოლიდან და ბავშვთა სამხახურიდან.

მუსიკალურ, თეატრალურ და მათ მსგავს წარმოდგენებზე შრომის დაცვის ორგანოებს შეეძლოთ გამოწვევის სახით ნება დაერთოთ 15 წლის ბავშვთა შრომის გამოყენებაზე. შრომის დაცვის ორგანოები მოზარდთა შრომით დასაქმებულ უწყებებს ან პირებს აძლევდნენ სპეციალურ ბარათებს. აქ აღინიშნებოდა სამუშაოს მიმცემი უწყების დასახელება ან დასაქმებელი პიროვნების გვარი. მოზარდი მხოლოდ მათ უნდა დაესაქმებინათ. ამრიგად, ბავშვთა შრომის განიყენება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დასაქმებულ უწყებას ან პიროვნებას ეტანებოდა იურიდიულად გაფორმებული ასეთი სპეციალური დოკუმენტი¹⁴. 16 წლამდე მოზარდთა სამუშაო დროდ დადგინდა 7 საათი დღეში და კვირაში 42 საათი, ხოლო 18 წლის ახალგაზრდებისათვის 7 საათ-ნახევარი დღეში და 45 საათი კვირაში. პროფესიულ განათლებაში ჩართულ მოსწავლეთა ფულადი ანაზღაურება მოხდებოდა ჩვეულებრივი წესით, როგორც სამუშაო დროის ეკვივალენტის¹⁵. ისეთ საწარმოებში, სადაც ზაფხულის თვეებში დიდი სიციხე იყო, ახალგაზრდებს უნდა ემუშავათ 5 საათი¹⁶. განკარგულების 24-ე მუხლი ადგენდა, რომ ის პიროვნება ან უწყება, რომელიც დაარღვევდა ახალგაზრდობის შრომის დაცვის ნორმებს, ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით 150-დან 1000 გერმანულ მარკამდე, განმეორებით შემთხვევაში მათ გარკვეული ვადით ერთმეოლათა მოზარდთა შრომითი დასაქმების უფლება. მძიმე შედეგის დადგომისას დამნაშავენი ისჯებოდნენ 5 წლის თავისუფლების აღკვეთით¹⁷. ამ განკარგულების განხორციელებას მტკიცედ მოჰყიდეს ხელი პროფკავშირებმა, საწარმოთა საბჭოების წევრებმა, ახალგაზრდობის კავშირის წარმოების სფეროში დასაქმებულმა აქტივისტებმა.

ცნობილია, რომ 1949 წლის ოქტომბერში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ამავე დროს მიღებულ იქნა მისი პირველი კონსტიტუცია. გღრ-ის შექმნა მოახწევდა რევოლუციის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პერიოდის დასასრულს და სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლას. რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მრავალი ისეთი მოთხოვნა, რომლებიც გერმანელმა ახალგაზრდობამ დააყენა ომის შემდგომ პირველ წლებში. კონსტიტუციის ძალით დადგინდა სავალდებულო სწავლება 18 წლამდე ყველა ახალგაზრდისათვის. უფასოდ ცნადებოდა სწავლება უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, ყველას ჰქონდა უმაღლესში სწავლის გაგრძელების უფლება. 89-ე მუხლი ადგენდა, რომ ახალგაზრდების განათლება არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მშობლების მატერიალურ ან საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. სკოლებში ზოგიერთი სავალდებულო საგნის სახელმძღვანელოებს უფასოდ აძლევდნენ მოსწავლეებს.

რელიგიის სწავლება რელიგიური თემების საქმედ გამოცხადდა. 14 წლამდე ასაკის ბავშვის სარწმუნოებრივ მიმართულებას წყვეტდნენ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ მისი აღზრდისათვის. 14 წლის შემდეგ მოზარდი დამოუკიდებლად წყვეტდა მის რელიგიურ თუ ათეისტურ კუთვნილებას¹⁸. კონსტიტუცია იცავდა ახალგაზრდობას ექსპლოატაციისაგან, აგრეთვე ზენიბრივი, ფიზიკური და სულიერი თავმინებებულობისაგან.

1950 წლის 8 თებერვალს გღრ-ში მიღებულ იქნა კანონი რესპუბლიკის მშენებლობაში ახალგაზრდობას მონაწილეობის შესახებ, რომელშიც აღინიშნა, რომ ქვეყნის დემოკრატიულმა ძალებმა ახალგაზრდა თაობისათვის მრავალი აუცილებელი და სასარგებლო ღონისძიება განახორციელეს: მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა, მათ შორის ახალგაზრდობის რეგებში, სახელმწიფომ გაზარდა ჩარჩები მოზარდთა სწავლა-განათლებისათვის. მეცნიერებაში, კულტურაში, მხატვრულ შემოქმედებაში გზა გაეხსნა მშრომელთა ყველა ფენიდან გამოსულ ახალგაზრდას.

1950 წლის აპრილში გღრ-ში მიიღეს „კანონი შრომის შესახებ“, რომელშიც აიხსნა, მრავალი ისეთი საკითხი, რომლებიც ახალგაზრდობის შრომით დასაქმებას აკავშირებდა სამუშაო პროცესის სხვა დანარჩენ კომპონენტთან. — მაგალითად, 80-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებდნენ სწავლას, ვადამდე გაივლიდნენ გამოცდებს პროფესიულ სასწავლებლებში შესასვლელად. პროფსასწავლებლების მოსწავლეთა

¹³ იქვე, გვ. 8.

¹⁴ იქვე, გვ. 9.

¹⁵ იქვე, გვ. 10.

¹⁶ იქვე, გვ. 11.

¹⁷ Verordnung über Jugendarbeitsschutz von Gross-Berlin. B., 1949, გვ. 14.

¹⁸ Конституция и законодательные акты Германской демократической республики. М., 1953, стр. 38.

სახალისებისა და დაჯილდოების თანხები ანაზღაურდებოდა შესაბამისი პროფილის საწარმოს ხელფასის ფონდით¹⁹. მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფდა სხვადასხვა ტექნიკური სკოლების კურსდამთავრებულებს შესაბამისი სამუშაოთი საწარმოებში. 45-ე მუხლი კრძალავდა 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებას სამთომომპოვებელ მრეწველობაში²⁰.

1950 წლის მაისში გდრ-ის სახალხო პალატამ მიიღო კანონი ახალგაზრდების სრულწლოვანების შესახებ. მანამდე სრულწლოვანებად დადგენილი იყო 21 წელი. ამ კანონის პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ ქალიშვილებისა და ჭაბუკების დიდმა რაოდენობამ, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიეღწიათ 21 წლისათვის, ცხადყო თავისი სიმწიფე და უნარი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის პასუხსავე პოსტებზე. ახალგაზრდობის ამ როლის გათვალისწინებით არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭება ყველა მოქალაქეს, ვინც კი 18 წელს მიადგინა²¹.

გდრ-ში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა ახალგაზრდობის და მისი ავანგარდის — თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის როლი. ახალი შინაარსობრივი ცვლილებები მოხდა გდრ-ის მოზარდი თაობის უფლება-მოვალეობებში ფორმირების პროცესში მყოფ სოციალისტურ სახელმწიფოში, კერძოდ 1964 წელს გდრ-ში კვლავ მიიღეს კანონი ახალგაზრდობის შესახებ, რომელმაც ცხადყო, თუ რა მზარდ როლს ანიჭებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და რესპუბლიკის მთავრობა ახალგაზრდობას და მის ორგანიზაციას — ახალგაზრდობის კავშირს. მალე ამ კანონის მიღებიდან — 1968 წლის 6 აპრილს გდრ-ში მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითად კანონად იქცა. სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად მასში ახლებური შინაარსი შეიძინა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში ახალგაზრდობის სოციალურმა სტატუსმა. კონსტიტუციის 20-ე მუხლმა დაადგინა, რომ ახალგაზრდობა სარგებლობს განსაკუთრებული ხელშეწყობით საზოგადოებრივ და პროფესიულ განვითარებაში, რომ მას აქვს ყველა უფლება შეგნებულად და პასუხისმგებლობით მონაწილეობდეს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის განვითარებაში²².

ახალი კონსტიტუციის ძალით 18 წლის ახალგაზრდებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და, რაც მთავარია, ოცდითნაე უფილიყვენ არჩეული სახალხო წარმონაღებლობის ორგანოებში. 24-25 მუხლებით გარანტირებული იყო მოქალაქეთა და, კერძოდ ახალგაზრდების შრომისა და განათლების უფლებები. მოქალაქეებს, მათ შორის ახალგაზრდებს თავსუფლად შეეძლოთ აერჩიათ სამუშაო ადგილი საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და პირადი კვალიფიკაციის შესატყვისად²³. რესპუბლიკაში სავალდებულოდ გამოცხადდა ათწლიანი განათლება. ყველა მოზარდი მოვალე გახდა დაუფლებოდა რაიმე სპეციალობას ან მიეღო სპეციალური განათლება.

1974 წლის თებერვალში გდრ-ში მიიღეს რიგით მესამე კანონი ახალგაზრდობის შესახებ. ამ კანონმა ახალი შინაარსით წარმოაჩინა თანამედროვე ეტაპზე გერმანელი ახალგაზრდობის რევოლუციური ტრადიციები და ინტერნაციონალური ამოცანები. მის მიხედვით რესპუბლიკის მუშათა კლასი და მისი პარტია — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მნიშვნელოვან შემოქმედებითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად მიიჩნევენ ახალგაზრდობას. კანონი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ახალგაზრდობის კავშირს სტუდენტთა ცხოვრების ორგანიზაციის საქმეში. დღეისათვის ათასობით სტუდენტი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სხვადასხვა კომისიის სრულუფლებიანი წევრია. მათ ირჩევენ ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივ და ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებში, ისინი ასრულებენ სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს²⁴.

ახალგაზრდობის ცხოვრება გდრ-ში მოკლებული არ არის წინააღმდეგობებსაც. არის უნებუნებელი, როდესაც თავს იჩენს უთანხმოებანი ახალგაზრდობის პირად ინტერესებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის, ასევე პროფესიის, სწავლის ფორმისა და სამუშაო

¹⁹ Конституция и законодательные акты ГДР, М., 1953, стр. 291.

²⁰ იქვე. გვ. 296.

²¹ იქვე. გვ. 427.

²² ГДР. Конституция и законодательные акты. М., 1979, стр. 11.

²³ იქვე. გვ. 12.

²⁴ Исследование проблем молодежи в ГДР. М., 1976, стр. 13.



ადგილის არჩევის დროს. ახალგაზრდობის ნაწილი საზოგადოებრივად პასიურია, ინდიფერენტულად უდგება თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს და შესაძლებლად მიაჩნია აშენოს თავისი ცხოვრება პირადი ინტერესებისა და გამორჩენის ნიადაგზე²⁵. ამიტომ სახელმწიფო, პროფესიული და ახალგაზრდობის კავშირები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები დროულად მიზართავე პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახალგაზრდობის ამ ნაწილის მიმართ, რათა დაძლიონ მათი პასიური განწყობილება. კერძოდ, დღეისათვის გდრ-ში 14-18 წლის ახალგაზრდებისათვის არსებობს სპეციალური დადგენილებები მათი სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის შესახებ, მიღებულია აგრეთვე სპეციალური განკარგულებები, რომელთა მიზანია ახალგაზრდობის პოლიტიკური, გონებრივი, სულიერი და ფიზიკური განვითარების უზრუნველყოფა. ისინი მიმართულია ბულვარული, პორნოგრაფიული და ახალგაზრდობის გამხრწნელი სხვა ლიტერატურის წინააღმდეგ, ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს გაყიდვის შეზღუდვისათვის. ეს განკარგულებები ზღუდავს აგრეთვე მოზარდების ყოფნას ან თავმოყრას საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილებში, როგორც არის, მაგალითად, რესტორანი; ლუდხანა, ღამისკლუბი და სხვ. ეს უკანასკნელი შეზღუდვები ფიქსირებულია 1969 წლის 26 მარტს მიღებულ „ბავშვთა და მოზარდთა დაცვის განკარგულებაში“²⁶. ამრიგად, ნათელი ხდება, რომ სოციალისტური სახელმწიფო განსაკუთრებით იცავს ახალგაზრდებს მავნე და არასასურველი გავლენისაგან, 14-18 წლის ქალიშვილებისა და ქაბუკების მორალურ და ფიზიკურ განვითარებას.

დღეისათვის ახალგაზრდობის კავშირი აქტიურად მონაწილეობს ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და სამეურნეო საკითხის შემუშავებაში, განხილვასა და გადაჭრაში. ახალგაზრდობის, კერძოდ, მისი ორგანიზაციის პოლიტიკური აქტიურობა განსაკუთრებით მაღალია ნაშენ, როდესაც საქმე ეხება გდრ-ის ახალგაზრდობის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. ახალგაზრდობის კავშირის წევრები დღეისათვის წარმოდგენილი არიან რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტანციებში: გდრ-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — სახალხო პალატაში ახალგაზრდობის კავშირის ისევე, როგორც სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და მასობრივ ორგანიზაციებს, თავისი ფრაქცია აქვს, ახალგაზრდობის კავშირის წევრები წარმოდგენილი არიან სახალხო პალატის პრეზიდიუმში და მის კომიტეტებში. მაგალითად, შრომისა და სოცულურწველეუოვის კომიტეტის თავმჯდომარე თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ფრაქციის წევრია.²⁷ გდრ-ის მინისტრთა საბჭოს ახალგაზრდობის საკითხების ბიუროს ხელმძღვანელი ინიშნება ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს რეკომენდაციით²⁸. ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები უფლებამოსილი არიან შეიტანონ წინადადებები ხელისუფლების ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებში იმ წევრების ასარჩევად, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ახალგაზრდულ, სპორტულ და ტურიზმის საკითხებისათვის.

გდრ-ის საწარმო-დაწესებულებებში ახალგაზრდებთან მუშაობის გეგმა მუშავდება ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, უთანხმდება საწარმოს პროფკავშირულ კომიტეტს, სპორტული კომიტეტის ხელმძღვანელობას და საბოლოოდ განიხილება საწარმოს ან უწყების ახალგაზრდობის საერთო კრებაზე. ახალგაზრდობის კავშირის აქტივისტები ფართოდ მონაწილეობენ საცხოვრებელი რაიონების სხვადასხვა კომისიის მუშაობაში. აქ მათ, როგორც თავისი ორგანიზაციის ახალგაზრდობის ინტერესების წარმომადგენლებს, შესაძლებლობა აქვთ სათანადო გავლენა მოახდინონ ნებისმიერი საკითხის წამოყენებასა და გადაჭრაზე ახალგაზრდობის მისწრაფებებისა და სურვილების შესაბამისად.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოპის შემდგომი გერმანიის ახალგაზრდა თაობამ მუშათა კლასისა და მისი პარტიის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, სხვა ანტიფაშისტურ-დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით წამოაყენა და დაასაბუთა თავისი ძირითადი უფლებების სამართლებრივად შემუშავების აუცილებლობა. ამის შედეგად, ჰერ გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიფაშისტურ-დემოკრატიული წყობის დამკვიდრებისას, შემდეგ კი გდრ-ში სოციალისტური, უფრო მოგვიანებით კი უანვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში ახალგაზრდობის უფლება-მოვალეობანი სულ უფრო ახალ და ფართო შინაარსს იძენდა, რომლებიც თავის მხრივ ფიქსირდებოდა სამართლებრივად წესით გდრ-ის კონსტიტუციებში და ახალგაზრდობის შესახებ მიღებულ კანონებში.

²⁵ Коммунисты и проблемы современного молодежного движения. М., 1976. стр. 72.

²⁶ Исследование проблем молодежи в ГДР. М., 1976, стр. 11.

²⁷ Советское государство и право. 1979. № 12. стр. 75.

²⁸ იქვე. გვ. 76.



თავისუფლების აღკვეთის სასჯელის პირობით შეხველა მსჯავრდებულთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და მსჯავრდებულთა ვალდებუ პირობით განთავისუფლება

საბჭოთა სახელმწიფო ამ ბოლო წლებში ინტენსიურ საქმიანობას ეწევა კანონმდებლობის სრულყოფისათვის, უთანხმებს მას სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ღებულებებს, განვიცარებულ სოციალიზმის მოთხოვნებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის პოლიტიკა კანონმდებლობის დარგში ის არის, რომ სამართლებრივი ნორმები სრულად აახსვეს ჩვენს საზოგადოებაში მომხდარ დრმა სოციალურ ეკონომიკურ ცვლილებებს, მთლიანად შეესაბამებოდეს ქვეყანაში განხორციელებულ დემოკრატიულ გარდაქმნებს.

საბჭოთა სამართლის სრულყოფის, მისი დემოკრატიზმისა და ჰუმანურობის ერთ-ერთი გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ ბოლო წლებში გამოცემული ბრძანებულებები, რომლებიც ადგენენ, რომ სასამართლოებმა ნაკლებად საშიშ დამნაშავეთა მიმართ უფრო ფართოდ გამოიყენონ თავისუფლების აღკვეთის სასჯელდების პირობითად შეცვლა მათი შრომაში სავალდებულო ჩაბმით. აგრეთვე მსჯავრდებულთა შრომა-გასწორების რაწესებულებებიდან განთავისუფლება და სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე სამუშაოდ გაგზავნა.

ბრძანებულების მიზანი ის არის, რომ სასამართლოები დიფერენცირებულად მიუდგინენ სამართალში მიცემულთ, რათა ნაკლებად საშიშ დამნაშავეებს არ შეეფარდოთ ისეთი სასჯელები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებისაგან მათს ეზოლაციასთან, ამასთან ერთი წუთითაც არ შეასუსტონ ბრძოლა საშიში და განსაკუთრებით საშიში დაქნაშავეების წინააღმდეგ, გამოიყენონ მათ მიმართ სასჯელის მკაცრი ზომები.

სასჯელების პირობითად შეცვლის გამოყენების გაფართოება ემყარება იმ ურყევ რწმენას, რომ სოციალიზმის დროს შრომითი აღზრდის პირობებში ყველა ადამიანს შეეძლება დაუბრუნდეს საბჭოთა საზოგადოებას და მის სრულყოფლებიან, სახარგებლო წყარად იქცეს.

სოციალისტური ჰუმანიზმი საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მუდმივმოქმედი პრინციპია. ეს ნათლად აჩვენა არა მარტო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენელ ბრძანებულებაში, არამედ იმ დამატებებში და ცვლილებებში, რომლებიც შეტანილია უკანასკნელ ხანს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში.

სასჯელის დადგენილ ვადის გახვლამდე მსჯავრდებულთა განთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ სახეობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირობით-ვადამდე განთავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელებით შეცვლას. პირობით-ვადამდე განთავისუფლების ერთ-ერთ პირობად კანონი ადგენს სასჯელის ვადის ნაწილის მოხდას, რაც ერთნაირი არ არის სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულისათვის. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კანონმდებელი დიფერენციალად უღვამბ მსჯავრდებულებს, ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმის და საშიშროების ხასიათს.

წინათ მოქმედი კანონიც და ბრძანებულებაც ითვალისწინებს საერთო წესს: პირობით-ვადამდე განთავისუფლება მსჯავრდებულს შეიძლება შეეფარდოს სასჯელის დადგენილი ვადის ნახევრის მოხდას.

ზოგიერთი კატეგორიის პირთა მიმართ პირობით-ვადამდე განთავისუფლებას გამოხაყნებლად აუცილებელია სასჯელის ვადის უფრო დიდი ნაწილის მოხდა, უცვლელად დარჩა იმ მსჯავრდებულთა ნუსხა, რომლებმაც უნდა მოიხადოს სასჯელის დადგენილი ვადის არა ნაკლები ორი მესამედისა. მათ რიცხვს ეკუთვნის მსჯავრდებულები, რომელთაც კანონი დანაშაულისათვის შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, ის პირები, რომლებიც განზრახი დანაშაულისათვის წინათ იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და სასჯელის ვადის გახვლამდე, ან სასამართლობის გაქარწყლებამდე, ან მოხსნამდე კვლავ ჩიდიანს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. აგრეთვე პირები,

რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს ჩაადინეს განზრახი დანაშაული და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელისაგან ვადამდე-პირობით გათავისუფლება ან მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასჯელის ვადის სამი მეოთხედის მოხდისას იმ პირთა მიმართ, ვინც მსჯავრდადებულია: ბანდიტიზმისათვის; შრომა-გასწორების დაწესებულებებში დეზორგანიზაციის შემტანი მოქმედებისათვის; ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; საჯალბუტო წებების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებაში; განსაკუთრებით დიდი ოღუნობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის; ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში; გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რომელსაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის; ქრთამის აღების, მიცემის ან ნეკრთამეობაში შუამავლობისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში; მილიციის ან სახალხო რაზმების საოცოცხლის ხელყოფისათვის მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში; განსაკუთრებით ბოროტი ხულიგანობისათვის; ყაჩაღური თავდასხმის გზით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მოწყობილობის ან ფეთქებადი ნივთიერებას გატაცებისათვის; საჰაერო ნომადლის გატაცებისათვის; ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში.

პირობით-ვადამდე გათავისუფლება სასჯელის დადგენილი ვადის სამი მეოთხედის მოხდის შემთხვევაში გამოიყენება იმ პირთა მიმართაც, რომლებსაც წინათ მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის, შემდეგ განთავისუფლდნენ პირობით-ვადამდე, ან მოუხდელი სასჯელი შეეცვალათ უფრო მსუბუქით და მის ვახვადამდე ისევ ჩაადინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე შეტანილ დამატებათა მიხედვით სასჯელისაგან პირობით-ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქით შეცვლა გამოიყენება, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც პირობით განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში აუცილებელი ჩაბმით, იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებული პირებისათვის, თუკი იგი კეთილსინდისიერი შრომით და ხანმოკლე ყოფაქცევით დამტკიცებს თავის გამოსწორებას.

საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის ჰუმანურობის ახალი დადასტურება მსჯავრდადებულთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით განთავისუფლება შრომაში აუცილებელი ჩაბმით. იგი გამოიყენება სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირების მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, იმათი გამოკლებით, ვინც სასჯელს იხდის კოლონია-დასახლებაში.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით განთავისუფლება მსჯავრდადებულის შრომაში აუცილებელი ჩაბმით შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან ვადით ათ წლამდე ჩათვლით მათ მიერ სასჯელის არანაკლებ ერთი მესამედის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ;

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან 10 წელზე მეტი ვადით, მათ მიერ სასჯელის დანიშნულის ვადის არანაკლებ ნახევრის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ;

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან: ბანდიტიზმისათვის, შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაობაში დეზორგანიზაციის შემტანი მოქმედებისათვის; ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; საჯალბუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოღუნობით დატაცებისათვის; ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში; გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რომელსაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ასევე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის; ქრთამის აღების, მიცემის ან ნეკრთამეობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; განსაკუთრებით ბოროტი ხულიგანობისათვის; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მოწყობილობის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის

ფიქრით; საპაერო ხომალდის გატაცებისათვის; ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შექმნის, შენახვის, გადატანის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; ნარკოტიკულ ნივთიერებათა დატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში მათ მიერ საჯერალს დანიშნული ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდადებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, ასევე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ცნობილი პირების მიმართ; იმათ მიმართ, ვისაც სიკვდილთ დასჯა წინააღმდეგობის წესით ან ამნისტიით შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით, მათ მიერ სასჯელის აღნიშნულ ვადის არა ნაკლებ სამი მეთონედის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ.

ამასთანავე დადგენილია ზოგიერთი სხვა შეზღუდვაც, რაც უნდა იტოვან პირობით მსჯავრდადებულებმა და რასაც აღმინისტრაცია მათ აცნობს უშუალოდ ადგილზეზე.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან მსჯავრდადებულთა პირობით განთავისუფლება შრომის მიზნით აუცილებელი ჩაბმით არ შეეფარდება იმ პირებს:

რომლებიც სიტყმატურად, ბოროტულად აწლვევენ სასჯელის მოხდის რეჟიმს.

რომლებსაც სასჯელთან ერთად ჩადენილი დანაშაულისათვის შეეფარდათ ალკოჰოლიზმისათვის ან ნარკომანიისათვის იძულებითი მკურნალობის ღონისძიება; ასევე ვინც არ გააარა ვენეროული დაავადების მკურნალობის სრული კურსი.

მსჯავრდადებულ უცხოელებსა და მოქალაქეობის არ მქონე პირებს.

ამრიგად, ჩვენი სახელმწიფო ყველა აუცილებელ პირობას ქმნის სამართალდამრღვევთა წეგნების გარდასაქმნელად.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ნდობას უცხადებს მსჯავრდადებულებს და მათა ღირსების საქმიანად სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომით გაამართლონ ეს. გახდნენ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი.

ბ. გეგეჭკორი,

საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უფროსი ნრჩეველი.

ნ ა რ ე ჯ ი

ტენასში უძრავი ქონებით მოვაჭრე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს, ბაი-რონ ფრიირსონს, უჩვეულოდ მოეჩვენა, როცა კლიენტმა, რომელიც მან სახლის დასათვალისწინებლად გაგზავნა, რომლის გაყიდვასაც აპირებდა კომპანია, ნაჩვენებ მისამართზე სახლი ვერ მონახა. ფრიირსონმა გადაწყვიტა თვითონ მისულიყო ადგილზე და როგორი იყო მის გაოცება, როდესაც დარწმუნდა, რომ ხუთთოთახიანი სახლი გამქრალიყო. მნახველებმა უამბეს ვიცე-პრეზიდენტს, რომ საგზაო მუშების ბრიგადას, რომელიც ქურდებს დაექირავებინათ, სახლის ირგვლივ მიწა ამოეთხარათ და იგი საძირკვლიანად სადღაც გადაეტანათ. თავად მუშებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ქურდებს ეხმარებოდნენ.

* * *

ლონდონში 78 წლისა გარდაიცვალა ვინმე უილიამ ლიუსი, რომელსაც მეზობლები იცნობდნენ როგორც მათხოვარს, მუდამ ნაგავში რომ იქექებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ გამოიჩვენა, რომ ლიუსმა ძმას დაუტოვა მემკვიდრეობა, რომელიც 433.700 დოლარად არის შეფასებული.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის შტატში აქამდე 26 დამნაშავე ელოდა სიკვდილით დასჯას. წლეულს, მარტში მათ მიემართა 37 წლის ჯონ გეისი, მშენებელი, რომელსაც ელექტროსკამზე სიკვდილი მიუსაჯეს იმის გამო, რომ რამდენიმე წლის მანძილზე თავის სახლში შეიტყუა, გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა 33 ბიჭუნა და მოზარდი. ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც კი ეს რეკორდია.

შტატს არ ჰყავს თავისი ჯალათი. ხელისუფლებმა პრესის მეშვეობით მოინდომეს გაეგოთ, ხომ არ აღმოჩნდებოდა მოხალისე, რომელიც იკისრებდა ჯალათის მოვალეობის შესრულებას. მათ ასობით წერილი მიიღეს ქვეყნის ყველა კუთხიდან წინადადებით (თხოვნითაც კი), რათა მათთვის მიეღწათ ეს სამსახური.

ამ წერილებში ბევრია საინტერესო. 72 წლის ქალმა არიზონის შტატიდან წინადადება წამოაყენა ელექტროსკამი იმგვარად იქნეს კონსტრუირებული, რომ როდესაც დამნაშავე ზედ დაჯდება ელექტრიდენი სხეულის სიმძიმით ავტომატურად ჩაირთვეს. ამგვარად, დამნაშავე თვითონვე მოუღებს თავის თავს ბოლოს. ერთ-ერთი წერილის ავტორი წინადადებას 5. „საბჭოთა სამართალი“, № 5

აყენებს შექმნან ისეთი ხელსაწყო, რომელიც მოახდენს მსჯავრდადებულის გულისცემის ხმის რეგისტრაციას და მისი ზემოქმედებით მოხდება დენის ჩართვა.

* * *

წლეულს, 24 მარტს, მძარცველებმა ლონდონის ერთ-ერთი ბანკიდან გაიტაცეს ვერცხლის 309 ზოდი, რომლის საერთო წონა იყო 10 ტონა (!). ზოლო ღირებულება 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი (9,2 მილიონი დოლარი). 4 ივნისს სკოტლანდ იარდმა ნაქურდალი აღმოაჩინა (აკლდა მხოლოდ 12 ზოდი) ერთ-ერთ გარაჟში. ამ საქმის გამო უკვე რვა კაცია დაპატიმრებული.

* * *

1971 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მენის შტატის ე. ფალბუტის მცხოვრებმა ედვინ რობინსონმა, რომელიც საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა, მთლიანად დაკარგა მხედველობა და ნაწილობრივ სმენა. ამას ისიც დაემატა, რომ წლეულს ივნისში მას მეხი დაეცა და უეცრად, ამის შემდეგ, მას მხედველობა აღუდგა და შეუძლია ლაპარაკის გაგება სმენის აპარატის გამოყენებით.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის შტატის ფიშკილის შრომა-გასწორების კოლონიიდან წლეულს მაისში გაათავისუფლეს ვინმე პოლ გეიდელი, რომელმაც პატიმრობაში 68 წელი და 7 თვე დაჰყო. გინესის რეკორდების წიგნის მონაცემების მიხედვით, ეს არის ადამიანის პატიმრობაში ყოფნის რეკორდული ვადა. გეიდელი მსჯავრდადებული იყო 1911 წლის 5 სექტემბერს მკვლელობისათვის.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა წიგნი „ღანაშავენი და მათი მსხვერპლნი“. მისი ავტორია მოსამართლე ნ. ფორერი, რომელიც თვლის, რომ უაზროა და უსამართლოც განაჩენების გამოტანის დღეისათვის მოქმედი სისტემა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეები დამნაშავეებს სხვადასხვა სამართალდარღვევისათვის ადებენ მათი თანაბარზომის სასჯელებს. მისი აზრით, დასაგმობია ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებების ორივე ვარიანტი: საპყრობილე ან გაათავისუფლება. ამასთან, ჩვეულებრივ დაზარალებულები ვერ იღებენ კომპენსაციას მიყენებული ზიანისათვის. ფორერი თვლის, რომ ყოველ დამშანავეს უნდა მივუდგეთ როგორც ინდივიდს. საშიში, გამოუსწორებელი დამნაშავენი საიმედოდ და ხანგრძლივად უნდა იქნენ იზოლირებული. ამასთან ნ. ფორერის აზრით, დამნაშავეთა სამი მეთოთხედი, რომელთა საქმეებიც მას განუხილავს (მათ შორის ქურჩის დანაშაულები), საპატიმროში არ იყო გასაგზავნი. განაჩენმა მათ ჭკუა უნდა ასწავლოს. ამისათვის კი ხელფასიდან გადახდეთ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია სამმაგი ოდენობით.

ამ სისტემის განხორციელება დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, ცინაიდან აუცილებელია მუდმივად ადევნონ თვალი, თუ როგორ ახდის განაჩენს მსჯავრდადებული წლების მანძილზე, თორემ კვლავ გაგრძელდება უსარგებლო ციკლი „დანაშაული, პატიმრობა, განთავისუფლება, ახალი დანაშაული“. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების საპატიმროები ისედაც გადატვირთულია პატიმრებით, ახლის მშენებლობის და შენახვის ხარჯები კი მატულობს და მატულობს.

* * *

ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბანკის ფილიალის მმართველს დაურეკა კაცმა, რომელმაც თავი გააცნო გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტად და აცნობა, რომ ბანკის ვესტიბიულში. რომლის გავლითაც ლამის ნავაჭრით დატვირთული მანქანები ბანკში შედიოდნენ, ჩადებულია პომპი. მმართველი მაშინვე გავარდა ვესტიბიულში და მართლაც აღმოაჩინა მოტიკტიკე ყუთი, რომელშიც დინამიტის მსგავსი რამ იყო. ჟელეფონთან რომ დაბრუნდა, მმართველს წინადადება მისცეს მისთვის გაგზავნილი ავტოფურცუნი დაეტვირთა მთელი ლამის ნავაჭრი ფულით და გაეგზავნა ფედერალურ ბიუროში. მმართველმა შეასრულა რჩევა, შემოსული ფურცუნი დატვირთა სამი ტომარა ფულით და გაგზავნა ფედერალურ ბიუროში. მხოლოდ ამის შემდეგ შეეპარა მმართველს ეჭვი. მან დარეკა გამოძიების ფედერალურ ბიუროში იმის გასარკვევად. მუშაობს თუ არა იქ იმ ვვარის აგენტი, რომელიც ტელეფონით ელაპარაკა. ბუნებრივია, რომ მან უარყოფითი პასუხი მიიღო. მმართველმა ეგრეთწოდებული „დინამიტებიც“ გასინჯა. ისინი ჩვეულებრივი სასიგნალო რაკეტები აღმოჩნდა. მხოლოდ მაშინ მიხვდა იგი, რომ მოატყუეს და 100.000 დოლარი აცინცლეს.



სისხლის სამართლის პრობლემების მეკლავარი



ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ვლადიმერ მაყაშვილს, რომლის შესანიშნავმა შრომებმა არა მარტო საბჭოთა, არამედ საზღვარგარეთის სწავლულთა ყურადღებაც მიიპყრო. ვლადიმერ მაყაშვილი კრიმინალისტთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ქართული საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების საოცრებთან იდგა და უკვე რამდენიმე ათეული წელია მის განვითარებას ემსახურება.

ვლადიმერ მაყაშვილის მეცნიერ-კრიმინალისტად ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. ამას უანსაკუთრებით შეუწყო ზელი გამოჩენილი იურიისტი, პრაქტიკოსისა და მოაზროვნის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ლეგენდები. ეს დიდად განსწავლული პიროვნება განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე არა მარტო მეცნიერების სხვადასხვა დარგში ღრმად ცოდნით, არა მარტო მჩვეუარე შემოქმედებითი ენერჯითა და ზრწყინვალე ორატორული ნიჭით, არამედ თავისი პიროვნული სვისებებითაც — გაბედულებით, მორალური სისპეტაკათ, კეთილშობილური ტემპერაჟენტით. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა იმთავითვე აღუძრა ახალგაზრდა ვლ. მაყაშვილს ინტე-

რესი სახლის სამართლის მეცნიერების მწვავე სოციალური და ეთიკური პრობლემებისადმი და სამუდამოდ განსაზღვრა მისი მომავალი. საყვარელი მასწავლებლის ხელმძღვანელობით იგი სტუდენტობის დროიდანვე იწყებს სამეცნიერო მუშაობას სისხლის სამართლის დარგში, ცდილობს ჩასწვდეს ამ მეცნიერების თეორიულ არსს და მის პრაქტიკულ ღირებულებას. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით იგი განაგრძობს მუშაობას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც, მიუხედავად მძიმე კრონიკული დაავადებისა, რომლის გამო თვეობით იყო მიჯავებული სარეცელს.

1934 წელს ვლ. მაყაშვილი იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლ. ანდრონიკაშვილის ნიერ შექმნილ მაღალი ტიპის სემინარში, სადაც კომპლექსურად შეიქმნა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკის საკითხები სასამართლო პრაქტიკიდან აღებული კაზუსების, აგრეთვე კონკრეტული სასამართლო საქმეების განხილვის საფუძველზე. ყველა იმ საკითხზე, რომელიც აღნიშნული მასალების განხილვის დროს წარმოიშობოდა, სემინარის ხელმძღვანელი და მისი ასისტენტები სამეცნიერო მოხსენებებს კითხულობდნენ. მოხსენებები, რომლებიც ვლ. მაყაშვილმა ამ სემინარზე წაიკითხა, საფუძვლად დაედო მის შემდგომ სამეცნიერო მუშაობას სისხლის სამართლის დარგში.

ლ. ანდრონიკაშვილის გარდაცვალებისა და აღნიშნული სემინარის გაუქმების შემდეგ ვლ. მაყაშვილი სამუშაოდ გადადის სრულიად საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად და ურთულეს პრობლემას — ბრალს. ეს პრობლემა განსაკუთრებით იზიდავდა ვლ. მაყაშვილს და შემდგომ მან ბრალის საკითხებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.

ნაშრომში „გაუფრთხილებლობა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ (თანავტორი თინათინ წერეთელი)¹ მოცემულია გაუფრთხი-

¹ «Проблемы социалистического права», 1939, № 4—5.



ლებლობითი ბრალის ობიექტური მასშტაბის დახასიათება და ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის. ამ შრომას თავის დროზე საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა. მან მიიპყრო არა მარტო კრიმინალისტების, არამედ აგრეთვე ცივილისტების ყურადღება. ცნობილმა საბჭოთა ცივილისტმა ლ. ლუნცმა მას მაღალი შეფასება მისცა. იგი წერდა, რომ ბევრი რამ, რაც ამ ნაშრომშია გამოთქმული, „წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალის ცნების დასადგენად სამოქალაქო სამართალში“².

შემდგომ ვ. მაყაშვილი აწუსტებს თავის შეხედულებას გაუფრთხილებლობითი ბრალის კრიტერიუმების თაობაზე წერილში „ბრალის ზოგიერთი საკითხი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“³. გაუფრთხილებლობითი ბრალის გამო პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის იგი აღარ სჭრდება მხოლოდ ობიექტური მასშტაბის გამოყენებას, არამედ თვლის, რომ მასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის სუბიექტური შესაძლებლობა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება. ამ შეხედულებას ვ. მაყაშვილი განსაკუთრებით სრულად და თანამიმდევრულად ავითარებს წიგნში „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის“. ეს იყო პირველი მონოგრაფია გაუფრთხილებლობითი ბრალის თაობაზე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. აღსანიშნავია, რომ ასეთი მონოგრაფია არც რევოლუციამდელ რუსეთში გამოცემულა.

ეს წიგნი საკითხთა უარყო წრეს მოიცავს. აქ გამოკვლეულია გაუფრთხილებლობითი ბრალის ყველა მნიშვნელოვანი და სადავო საკითხი: უპირველეს ყოვლისა ღრმად არის დასაბუთებული ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებს მნიშვნელობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობისათვის. ობიექტური მასშტაბის გამოყენების აუცილებლობა. ვლ. მაყაშვილის აზრით, იმით არის განპირობებული, რომ ეს მასშტაბი ასახავს მართლწესრიგის მოთხოვნას გაუფრთხილების მოვალეობის შინაარსსა და მოცულობის თაობაზე. ამით ობიექტური

მასშტაბი უჩვენებს იმ საზღვარს, რომელსაც არ შეიძლება გადასცდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არაგანზრახი ბრალისათვის. სუბიექტური მასშტაბის მეშვეობით კი დგინდება პირის ფსიქიკური განწყობის ის ელემენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ მას ჰქონდა განაზღვრული საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება და აცდენის უნარი. სწორედ ეს ელემენტები იძლევა ხაფუძველს გავიციხვით სუბიექტი როგორც სამართლის, ისე ზნეობის თვალსაზრისით.

გაუფრთხილებლობითი ბრალის კრიტერიუმების დადგენისას ვ. მაყაშვილი არ სჭრდება იურიდიულ-ლოგიკური ხასიათის ლოგიკურ მოსაზრებებს, რომლებიც დოქტრინული და საკანონმდებლო მასალის ანალიზს ემყარება, არამედ აგრეთვე განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკის მასალებს. აქაც უკანონოვად ვლინდება ვლ. მაყაშვილის გამოკვლევათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება — პრობლემათა განხილვა ერთობლივად, თეორიულსა და პრაქტიკის საფუძველზე.

შემოსხენებულ წიგნში ნათლად არის განსაზღვრული გაუფრთხილებლობითი ბრალის მასშტაბების კონსტრუქციული თავისებურებანი. მაშინ, როდესაც ობიექტური მასშტაბი ასახუთებს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, სუბიექტური მასშტაბი ასახუთებს პირის ბრალს აქრძალეული ქმედობის ჩადენაში. ამგვარად, გაუფრთხილებლობის კრიტერიუმებში ასახება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ორი პირობადი წინამძღვარი — მართლწინააღმდეგობა და ბრალი. აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებამ შემდგომ თავისი ლოგიკური განვითარება პოვა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისას. თ. ლილუაშვილი შემოსხენებული დებულებების მომარჯვებით დასკვნის, რომ თუ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისას ობიექტურ მასშტაბს დავუყვარებით, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა ცივილისტების უმრავლესობა და სასამართლო პრაქტიკაც, მაშინ გამოვა, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს მართლწინააღმდეგობა და არა ბრალი⁴.

² Л. А. Лунц, Договорная ответственность. Сборник «Советское право в период Великой Отечественной войны», ч. I, М., 1948, с. 118.

³ «Советское государство и право». 1952 г. № 1.

⁴ თ. ლილუაშვილი, თ. ნინიძე, თ. ცაგური. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები. თბ., 1978, გვ. 147-148.



მონოგრაფიაში თავისებურად დახასიათებულია თვითიმედოვნების — გაუფრთხილებლობითი ბრალის ამ უფრო მძიმე ფორმის — ფსიქოლოგიური შინაარსი. ვლ. მაყაშვილი ამტკიცებს, რომ თვითიმედოვნების დროს, დაუდევრობისაგან განსხვავებით, თუმცა პირი ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას, მაგრამ ეს არის მხოლოდ აბსტრაქტული შესაძლებლობის გათვალისწინება, რადგან იგი გამორიცხავს მავნე შედეგის განხორციელებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა განპირობებულია პირის უსაფუძვლო, ქარაფშუტული ვარაუდით, რომ რაღაც გარკვეული გარემოება ხელს შეუშლის მავნე შედეგს. ამ დებულებას საბჭოთა ლიტერატურაში აწრთა ფართო დაწვრილება მოჰყვა. მას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც.

გაუფრთხილებლობითი ბრალის კენტრაღური და ურთულესი საკითხია ბრალის დასაბუთება დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს. ვლ. მაყაშვილის აწრთ, ეს საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ შერაცხვის ზოგადი პრობლემის გადაწყვეტის საფუძველზე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის ვლ. მაყაშვილი ფართოდ იყენებს შესაძლებლობისა და სინამდვილის, აუცილებლობისა და თავისუფლების ფილოსოფიურ კატეგორიებს, აგრეთვე ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემებს. ამის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემის გამოკვეთვა და, ამასთან დაკავშირებით, შეუცნობელ გაუფრთხილებლობაში ბრალის მომენტის დადგენა მყარ ფილოსოფიურ საფუძველზეა აკებული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დასაბუთებულია.

კრიტიკულად განიხილავს რა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს, ვ. მაყაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს პირს, თუმცა არა აქვს აქტუალური ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი, მაგრამ სამაგიეროდ აქვს პოტენციური დამოკიდებულება, რომელიც აგრეთვე შეიძლება ჩაითვალოს ფაქტიურ ფსიქიკურ დამოკიდებულებად. სახელდობრ, პირს აქვს თავისი მოქმედების შედეგის გათვალისწინების რეალური შესაძლებლობა და ეს შესაძლებლობა არ არის ცარიელი აბსტრაქცია, არ არის ნული ინდივიდის ფსიქიკურ სფეროში; იგი გარკვეული სულიერი მდგომარეობაა, რაც აღსატურებს შემდეგს: მოქმედების ჩადენისას პირის ფსიქიკაში არსებობდა რეალური პირობები სუბიექტის მიერ საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებისა და მისი აცდენისათვის. ა. ა. პონტკოვსკი თავის კაპიტალურ ნაშრომში „მომდევრება დანაშაულზე“ აღიარებს, რომ ვლ. მაყაშვილის მსჯელობა დანაშაულებრივი დაუდევრობის ბუნების შესახებ ძირითადად სწორია და ეკამათება ავტორს მხოლოდ კერძო, არაარსებითი ხასიათის დებულებებში⁷.

ვ. მაყაშვილის მონოგრაფია დადებითად შეფასდა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში⁸. მან წეგავლენა მოახდინა აგრეთვე საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის აწრის განვითარებაზე. ამ წიგნზე ხშირად მიუთითებენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში. მაგალითად, ბულგარელი კრიმინალისტის ნ. მანჩევის წიგნი „ბრალი სისხლას სამართალში“ (სოფია, 1969) აკებულა ვ. მაყაშვილის მიერ განვითარებულ დებულებებზე. თვალსაჩინო ბულგარელი კრიმინალისტი კ. ლუტოვი, რომელმაც ვრცელი და საინტერესო რეცენზია მიუძღვნა ვლ. მაყაშვილის წიგნს, ასე აფასებს მას: „სადღესუფიო საკითხთა დრმა ანალიზი, ის ფაქტი, რომ ავტორი თავის შეხედულებებს ფრიალ სერიოზული არგუმენტაციით ასაბუთებს და რომ შესრულებული გამოკვლევა მოწვევითი არ

⁵ Напр., Советское уголовное право. Учебное пособие. подготовленное кафедрой уголовного права ЛГУ. Л., 1960, с. 319—320; Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 312—313; Уголовное право БССР, т. I, Минск, 1978, с. 85.

⁶ ამ შეხედულებას პოლემიკურ ასპექტში დაწვრილებით იხილავს მ. გრინბერგი, იხ. მისი წერილი. «Понятие преступной самонадеянности». «Правоведение», 1962 № 2. მ. გრინბერგის მოსაზრებას აბათილებს ვ. მაყაშვილი წერილში — О разграничении зветуального умысла и самонадеянности. «Правоведение», 1965, № 2.

⁷ А. А. Пионтковский. Учение о преступлении по советскому уголовному праву. М., 1961, с. с. 377—378, 383—384; იხ. აგრეთვე, Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. с. 320, 323—324.

⁸ ა. ნ. სანტალოვის რეცენზია ამ წიგნზე ჟურნალში — «Правоведение», 1958, № 3.



არის ცხოვრებას, ყველაფერი ეს შეადგენს წიგნის ღირსებას როგორც თეორიული ხილ-რმის მხრივ, ასევე პრაქტიკული სარგებლი-აწობის თვალსაზრისით⁹.

ცნობილი უნგრელი კრიმინალისტი ტიბორ სორვატი კი ასე ამთავრებს რეცენზიას ვლ. მა-ყაშვილის მონოგრაფიაზე: „ამ ნაშრომში აღ-ძრული ყველა საკითხის კვლევა ფართო თე-ორიულ საფუძველს ემყარება“ და თანაც საბ-ჭოთა იურიდიული აზრის განვითარების პრო-ცესს ასახავს, მოცემულია საბჭოთა იურადი-ული აზრის განვითარების მეტად საინტერე-სო მასალა. ავტორის დასკვნები დამაჭერებე-ლია, ხოლო დებულებათა დასაბუთება გო-ნებამაზვილური. ყოველივე ამას, აგრეთვე მე-თოდს, რომლის მეშვეობით გაუფრთხილებ-ლობისათვის პასუხისმგებლობის დოგმატი-კური საკითხები დაკავშირებულია პასუხის-მგებლობის საერთო ფილოსოფიურ საფუძ-ველთან, შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს ყველა მკვლევარს, ვინც ჩვენთან გაუფრთხილებლობის პრობლემას მიმარ-თავს¹⁰.

ვლ. მაყაშვილის ამ წიგნმა ბიძგი მისცა ქართველი კრიმინალისტების შემდგომ კვლე-ვაძიებას გაუფრთხილებლობითი ბრალის სა-კითხებზე. 1976 წელს გამოვიდა მ. უგრეხე-ლიძის ნაშრომი „გაუფრთხილებლობის პრობ-ლემა სისხლის სამართალში“, რომელშიც გა-უფრთხილებლობაზე ბრალის დასაბუთებე-ლისათვის შემოქმედებითად გამოყენებულია გა-მოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია.

ბრალის პრობლემას ვლ. მაყაშვილმა მთელი რიგი სხვა ნაშრომებიც მიუძღვნა. მათ შო-რის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სტა-ტია „ბრალი და მართლწინააღმდეგობის შეგ-ნება“¹¹, რომელშიც ვლ. მაყაშვილი ცდილობს დაადგინოს ბრალის ცნების შინაარსი. ვ. მაყა-შვილი მიუთითებს, რომ საბჭოთა კრიმინალის-ტები იმთავითვე არ იზიარებდნენ ბრალის ნორმატიულ გაგებას. მათთვის ბრალი ყოველ-თვის იყო რეალური ფსიქიკური მოვლენა,

რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსე-ბობს, მაგრამ ეს სრულიადაც არ მოახწავებს, თითქოს ბრალი ამოიწურებოდეს ფსიქიკური დამოკიდებულებით მარტოოდენ დანაშაულის შემადგენლობის ფაქტიური ნიშნებისადმი, ფსი-კიკური დამოკიდებულების საგანი, ამასთან ერთად, არის ქმედობის საზოგადოებრივი სა-შიშროებაც. ვლადიმერ ნაყაშვილის ნაშრომ-ში გატანებულია იდეა, რომ ბრალის ამ მო-მენტის უგულვებელყოფა ან მისი არსებობის პრეტენზია შეუთავსებელია ბრალეული პა-სუხისმგებლობის პრინციპთან. ბრალის შეფა-სებითი ელემენტის თაობაზე საბჭოთა იურა-დიულ ლიტერატურაში თუძცა გამოთქმული იყო ცალკეული მოსაზრებებ¹² მაგრამ მთელი სიგრძე-სიგანით ეს საკითხი თავდაპირველად ვლ. მაყაშვილმა დააყენა და დაასაბუთა.

ვლ. მაყაშვილმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღ-ვნა ბრალის უფრო მძიმე ფორმას — განზ-რახვას¹³. ამ ნაშრომებში გარკვეულია განზრახ-ვის ფსიქოლოგიური შინაარსი, მისთვის დამა-სახისათებელი აქტიური საწყისი. საფუძვლი-ანად განხილულია განზრახვის სახეები, მათი განმასხვავებელი ნიშნები, გარემოებანი, რომ-ლებსაც უნდა ითვალისწინებდეს ის. ვინც ჩა-დის ე. წ. „მატერიალურ“ ან ე. წ. „ფორმა-ლურ“ დანაშაულს და მთელი რიგი სხვა სა-კითხები. ვ. მაყაშვილმა, ერთ-ერთმა პირველ-მა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, მი-აქცია ყურადღება დანაშაულის შემადგენლო-ბის შეფასებითი ნიშნებს და გამოარკვია, თუ რა მოცულობით უნდა აღსახოს ეს ნიშნები განზრახ მოქმედი პირის ცნობიერებაში. შე-ფასებითი ნიშნების ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი მოგვცა შემდგომ სხვა ქართველმა კრიმინალისტმა გ. ტყეშელიაძემ¹⁴.

ნაშრომი „დანაშაულის შემადგენლობა რო-გორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებ-ლობის საფუძველი“¹⁵ (თანავტორი თ. წერე-თელი) შეეხება დანაშაულის შემადგენლობის პრინციპულად მნიშვნელოვან, რთულსა და სადავო პრობლემას, მის როლსა და მნიშ-ვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმ-

⁹ იხ. „Правна мисъл“, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სისხლის სამართლის მეც-ნიერებათა ინსტიტუტის ორგანო, 1953; გვ. 124.

¹⁰ იხ. Allam e's Iogitudimany, 1966. IX köte! 4. Szam.

¹¹ «Методические материалы» ВПОЗИ, 1948 г.

¹² А. Н. Трайнин, Учение о составе преступления. М., 1946, с. 63. А. А. Герцензон. Уголовное право. Часть общая. М., 1948, с. 329.

¹³ ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. „საბჭოთა სამართალი“, 1965. № 4.

¹⁴ Г. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон. Тб., 1957, стр. 55—58.

¹⁵ «Советское государство и право», 1954, № 5.



გებლობის დასაბუთებისათვის. ამ ნაშრომით დაიწყო დისკუსია, რომელიც გაიშალა უურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავოს“ ფურცლებზე. ამ წერილს სწორად ასხენებენ როგორც საბჭოურ, ისე უცხოურ ლიტერატურაში, იგი გადათარგმნილია უცხო ენებზე

ვლ. მაყაშვილი მუშაობს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკითხებზეც. მან შეიწავლა მექრთამეობის რთული შემადგენლობა. მისი აზრით, ქრთამის მიცემა-აღება—ეს არის ორმხრივი ერთიანი დანაშაული, რომლის ფარგლებიც ელასტიკურია და რომლის კვალიფიკაციის საკითხები თეორიაშიც და პრაქტიკაშიც დიდ სიძნელეებს იწვევს. ამ დანაშაულს ვლ. მაყაშვილმა ორი მონოგრაფია მიუძღვნა, ერთი — რუსულ ენაზე — „მექრთამეობის საქმეთა სასამართლო განჩილვა“ (ვაშლიცემულია მოსკოვში 1954 წელს) და მეორე ქართულ ენაზე — „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“ (1964 წ., თანავტორი გ. ტყეშელიაძე). ამ ნაშრომებში მოქმედი სამართლის ნორმების ყოველმხრივი ანალიზის, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სადავო საკითხების გარწმეო არსებული სხვადასხვა შეხედულების განხილვისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების განზოგადების საფუძველზე დახასიათებულია მექრთამეობის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები, შესწავლილია მექრთამეობის მკვლელობისა და თანამონაწილეობის საკითხები, მისთვის გათვალისწინებული სასჯელის საკითხები და სხვ. ამასთან ერთად, გაშუქებულია მექრთამეობის ფაქტის დადგენის საკითხები და საზოგადოების როლი ამ მეტად საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულთან ბრძოლაში.

ვლ. მაყაშვილს ყოველთვის იზიდავდა სისხლისსამართლებრივი ცნებებისა და ინსტიტუტების საკანონმდებლო კონსტრუქცია. იგი სისტემატურად მონაწილეობს საკანონმდებლო აქტების მომზადებაში. კერძოდ იგი მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკური სისხლის სამართლის კანონმდებლობის განახლებაში, რომელიც 50-იანი წლების ბოლოს მიმდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით მან ცენტრალურ და ადგილობრივ იურიდიულ ურნალებში რამდენიმე წერილი მიუძღვნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საკითხებს და მთელი რიგი საკანონმდებლო წინადადებები წამოაყენა. ვლ. მაყაშვილი იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-

დექსის პროექტის შემდგენელი კომისიის წევრი. ბევრა მისი წინადადება აისახა საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ წინადადებათა შორის საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი, რომელშიც მოწესრიგებულია პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის. ამ მუხლში ბრალის პრინციპმა თავისი შემდგომი განვითარება პოვა. აღსანიშნავია, რომ ვლ. მაყაშვილი ჭერ კიდევ 1952 წელს თვლიდა, რომ ეს საკითხი საკანონმდებლო წესით უნდა გადაწყდეს და წამოაყენა კანონის პროექტის ფორმულა, რომელიც ზუსტად შეესაბამება მოქმედი კოდექსის მე-11 მუხლს.

ვლ. მაყაშვილის თაოსნობით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა მთელი რიგი მუხლები, რომლებიც შეიცავს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისაგან განმასხვავებელ თავისებურებებს. ასეთია, მაგალითად, მუხლი, რომლის თანახმად, დანაშაულის ის თანამონაწილე, რომელიც ნებაყოფლობით აღდებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე, უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან (მუხ. მე-18). ასეთსავე თავისებურებას წარმოადგენს დებულება, რომ სისხლის სამართლის საქმის ამხანაგური სასამართლოსათვის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფორმალური კრიტერიუმი — სასჯელის ზომა (მუხ. 52-ე და 53-ე), აგრეთვე მუხლი, რომელიც იძულების ზოგად შემადგენლობას ითვალისწინებს (მუხლი 135) და სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის ტექსტის მომზადებაში აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობისათვის ვლ. მაყაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მადლობა გამოუცხადა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებებს ვლ. მაყაშვილმა რამდენიმე ნაშრომში მიუძღვნა. ერთ-ერთი მათგანი დაიბეჭდა კრებულში, რომელიც გამოვიდა მოსკოვში 1963 წელს სათაურით „რეკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებზე თავისებურებანი“. 1979 წელს მან გამოაქვეყნა წერილი „პასუხისმგებლობა მოქმედების თავისუფლებაზე ხელყოფისათ-

16 В. Г. Макашвили. Некоторые вопросы вины по советскому уголовному праву. «Советское государство и право». 1952. № 1, стр. 40.

ვის“17. წერილში წამოყენებულია წინადადება იმ კანონის სრულყოფის შესახებ, რომელიც იძულების საერთო შემადგენლობას ითვლის-წინებს. ვლ. მაყაშვილი თანავეტორია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარისა, რომელიც 1976 წელს გამოიცა.

როგორც კი დაიწყო მუშაობა პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის შესაქმნელად (1966 წ.), ვლ. მაყაშვილი ჩაება ამ სამუშაოში, და ეს შემთხვევითი არ არის. ფართო იურიდიული განათლება, დიდი ზოგადი კულტურა, მეცნიერული სიზუსტე და კეთილანდობიერება, განუხრციელი მომთხოვნელობა, — უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავისადმი, ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მას დაევალა ხელმძღვანელობა გაეწია ენციკლოპედიის იურიდიული მასალების მომზადებისათვის. მან მონაწილეობა მიიღო იმ მეთოდოლოგიურ სახითის საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ენციკლოპედიაზე მუშაობის პროცესში წამოიჭრა, იურიდიული თემატურის სიტუაციის შექმნაში, ავტორთა კოლექტივის შერჩევასა და სამართლის დარგში სარედაქციო მუშაობის ორგანიზაციაში. ამავე დროს ავითონაც დაწერა წერილები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის „ამნისტია“, „ანთროპოლოგიური სკოლა სისხლის სამართალში“, „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი“, „ბრალი“, „განჯანსვას“, „კლასიკური სკოლა სისხლის სამართალში“, „საქართველოს სსრ კანონმდებლობა“ და ა. შ.

ვლ. მაყაშვილი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

ვლ. მაყაშვილი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის იურიდიულ ცხოვრებაში. თაობირებში, კონფერენციებში. კოლოკვიუმებსა

და სხვა ღონისძიებებში. იგი მრავალი წელია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკონსულტაციო საბჭოს წევრია და დადი პასუხისმგებლობით ეკიდება იქ დაყენებული საკითხების განხილვას. არის მრავალი მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულის რედაქტორი.

მრავალმხრივი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობისათვის ვლ. მაყაშვილს შეეძინა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

თავისი მასწავლებლის — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მსგავსად ვლ. მაყაშვილი დაუზარებლად ეხმარება თავისი რჩევითა და კონსულტაციებით იმ ადამიანებს, რომლებმაც გადაწყვიტეს მეცნიერის ძნელ გზას დაადგინეს. ვლ. მაყაშვილი უხვად უზიარებს ყველას თავის ცოდნას, აზრებს, გამოცდილებას. რაც უნდა მოუცლელი იყოს, ყოველთვის მზად არის გადადოს საკუთარი საქმე, გულმოდგინედ მოუსმინოს მასთან მისულ ახალგაზრდას თუ კოლეგას და მისცეს მას კვალიფიციური რჩევა. თინათინ წერეთელთან მრავალწლიანი შემოქმედებითი თანამშრომლობის ერთ-ერთი გამოვლინება მათი მუშაობა სამეცნიერო კადრების აღზრდისათვის.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ვლ. მაყაშვილი უანგაროდ, დაულალავად და შთაგონებით იღწვის სამართლისა და სამართლიანობის იდეის განმტკიცებისათვის. ანან მას მოწაფეების, კოლეგების და მთელი იურიდიული საზოგადოებრიობის თვალში დიდი მეცნიერული და მორალური ავტორიტეტი მოუპოვა.

თ. შავგულიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

ბ. ტაყაშვილიძე, ო. ბამბაქაძე,

მ. უბრაქელიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები.



გეოგრაფიკული გეგმები

წელს ქართული საბჭოთა ადვოკატურის ერთ-ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს ალექსი მიხეილის ძე ჭიჭინაძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი 1963 წლის 4 ივნისს გარდაიცვალა.

ა. მ. ჭიჭინაძე დაიბადა ქ. ქუთაისში, ცნობილი პედაგოგის მიხეილ ჭიჭინაძის ოჯახში, რომელიც დიდხანს ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. მ. ჭიჭინაძის ოჯახში, სადაც ათი შვილი იზრდებოდა, ხშირად თავს იყრიდნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სილოვან ხუნდაძე, დავით კლდიაშვილი, ლუარსაბ ზოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი. იმართებოდა სჯა-ბაახი იმდროინდელი საქართველოს ეროვნული და სოციალური ცხოვრების მრავალ საჭირობორტო საკითხზე. ყოველივე ამან უთუოდ განაპირობა ა. ჭიჭინაძის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მისწრაფება ცოდნისადმი, მშობლიური ხალხის სამსახურის სურვილს და დიდი შრომისმოყვარეობა.

მშობლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1929 წლიდან ა. ჭიჭინაძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს ხსრ ადვოკატთა კოლეგიაში, სადაც მრავალი წლის მანძილზე უმწიკვლოდ ემსახურებოდა საბჭოთა მართლმსაჯულებას. იგი იყო მაღალი კვალიფიკაციის იურისტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოხვედბის სამეურნეო დანაშაულობათა საქმეების გამო, რომლებშიც იგი აქვდა ვენებდა ღრმა ცოდნას, იძლეოდა მჭევრმეტყველებისა და დამაჯერებლობის სანიმუშო მაგალითს.

ა. ჭიჭინაძე აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ადვოკატთა კადრების აღზრდაში. ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ პროფესიული ცოდნის ამაღლებაში, უზიარებდა თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, მოუწოდებდა იურიდიული მეცნიერების პრობლემების

შეცნობისა და რუსული და დასავლეთ ევროპის ენების დაუფლებისათვის. ბევრი მისი მოწოდებე დღეს ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს ადვოკატურაში.

ა. ჭიჭინაძე აქტიურად მოღვაწეობდა ქართულ პერიოდულ პრესაში. მისი სტატია „დაკიოხვის ტექნიკა, მისი მნიშვნელობა და შედეგები“ უფროდ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ 1928 წელს. მისი სტუდენტობის პერიოდში დაიბეჭდა. იგი ენერგიულად, ჩვეული სიღარბისლით და გულისხმიერებით ემსახურებოდა ყოველგვარ საზოგადოებრივ წამოწყებას საქართველოს ადვოკატურაში და სანიმუშო ყოფაქცევით განამტკიცებდა საბჭოთა საქართველოს ადვოკატურის საუკეთესო ტრადიციებს.

ა. ჭიჭინაძის სახელი დამსახურებულად არის შეტანილი კრებულში, რომელიც ქართველ საბჭოთა ადვოკატებს მიეძღვნა.

ფართო განათლების მქონე, ღრმად ერუდირებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტის ა. ჭიჭინაძის ინტერესები ჩვენი საზოგადოების თათქმის ყველა სფეროს მოიცავდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა ინტელიგენტის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებთან როგორც იყვნენ მწერლები კონსტანტინე გამსახურდია და კონსტანტინე ჭიჭინაძე, მსახიობები შალვა დამბაშიძე და ემანუილ აფხაძე, კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი, მუსიკოსი ბორის რენსკი, ადვოკატები შალვა მესხიშვილი, ილია ბრაუდე, ბიძინა ბარათაშვილი, ალექსანდრე საგინაშვილი და მრავალი სხვა.

დღესაც ქართველი საზოგადოებრიობა სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს საუკეთესო სპეციალისტის, თავმდაბალი, გულისხმიერი ამხანაგის, კეთილშობილი ადამიანის ალექსი მიხეილის ძე ჭიჭინაძის სახელს.

პავლე ბერძენიშვილი.

პრეზიუმის პრაქტიკა

1. სახელმწიფო არბიტრაჟი დროებით აჩერებს საქმის წარმოებას, თუ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საგამოძიებო ორგანოთა დასკვნა

„საქაქადემომარაგების“ სამმართველომ სახელმწიფო არბიტრაჟში შემოტანილი სარჩელით მოითხოვა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსაგან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მომარაგების ცენტრალური სამმართველოს მოსკოვის კანტორისაგან 2882 მანეთის გადასდევინება, რაც შეადგენს № 3538431 გზავნილით გადასაზიდად მიღებული ტვირთის დასაკლვის ღირებულებას. ზედნადებით მოსკოვის კანტორამ „საქაქადემომარაგების“ მისამართით დატვირთვა და გამოგზავნა 71 ყუთი სხვადასხვა დასახელების ტვირთი.

დანიშნულების სადგურში ტვირთის ჩაბარებისას შედგა კომერციული აქტი, დადგინდა 4 ყუთის დანაკლისი და 1 ადვილის დაზიანება.

საქმეში არსებული მასალები არ იძლეოდა საფუძველს დავის არსებითად გადაწყვეტისათვის, ვინაიდან გადაზიდველი, წესიერული გადაზიდვის საბაბით, ადასტურებდა გამგზავნა ბრალს, ხოლო გამგზავნი ამტკიცებდა, რომ რკინიგზის მიერ კომერციული აქტი შედგენილია დაზღვენილი წესების დარღვევით და გზავნილი წესიერულად არ იყო გადაზიდული. ამის გამო არბიტრაჟმა, სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავათა განხილვის წესების 91-ე პუნქტის თანახმად, საქმის წარმოება შეაჩერა და დანაკლისის გარემოებათა და მიზეზის დასადგენად საქმე გამოსაძიებლად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო განყოფილებას გადაუგზავნა.

მოკვლევით დადგინდა, რომ ვაგონი დანიშნულებას სადგურში მოვიდა გამგზავნის წესიერული პლომბებით. ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების ექსპერტის ცნობის თანახმად, პლომბები ტვირთის ტრანსპორტირების პროცესში ხელხლებული არ ყოფილა.

საქმის წარმოების განაწილებისა და არსებითად განხილვის შედეგად, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა გამგზავნს დაეკისრა.

ამ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს მიერ შეტანილი საჩივარი სსრ კავშირის მთავარი არბიტრის მოადგილემ უარყო.

2. თუ ხორციელდება დატვირთულ ცალკეულ ვაგონზე გაფორმებულია სარკინიგზო ზედნადები, იგი შეადგენს ტვირთის დამოუკიდებელ პარტიას, გადასაზიდად მიღებული ვაგონთა რაოდენობის მიუხედავად

ერევნის მაკვიარკომბინატმა სახელმწიფო არბიტრაჟს მიმართა სარჩელით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსაგან და ქალაქ ორშის ხორცკომბინატისაგან ხორცის დანაკლისის კამია 549 მანეთის გადასდევინების შესახებ.

ორშის ხორცკომბინატმა სახელმწიფო რეზერვების გადაადგილების წესით ერევნის ხორცკომბინატის მისამართით დატვირთა და გაგზავნა ოთხი ვაგონი ხორცი. ყოველი ვაგონის ტვირთზე გაფორმდა სარკინიგზო გადაზიდვის ცალკე ხელშეკრულება.

დანიშნულების სადგურში ტვირთის გაცემისას ორ გზავნილზე შედგა კომერციული აქტი, რომლითაც ფიქსირებულ იქნა ხორცის დანაკლისი, ხოლო დანარჩენ ორ ვაგონში დანაკლისს ადგილზე არ ჰქონია. რკინიგზის სადგურის მიერ შედგენილ კომერციულ აქტში აღნიშნულია, რომ ხორცის დანაკლისი იყო ტექნიკურად წესიერულ ვაგონებში, რომელსაც გამგზავნის წესიერული პლომბები აღმოაჩნდა.

საქმის არსებითად განხილვისას მიჩნეულ იქნა, რომ გადაზიდველი უნდა განთავისუფლდეს ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან სსრ კავშირის რკინიგზების წესების 149-ე მუხლის საფუძველზე (ჩვენს წინაშეა) წესიერული გადაზიდვა), ხოლო ტვირთის გამგზავნს ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ხორცის მიწოდების განსაკუთრებული პირობების მე-19, 22-ე პუნქტების თანახმად, ვინაიდან ტვირთის მიმღებმა (მაძიებელმა), თუმცა გამოიძახა გამგზავნის წარმომადგენლები, მაგრამ საშუალება არ მისცა მათ შემოწმებისათვის ოთხივე ვაგონში მიღებული ტვირთის ოდენობა, არამედ შესაძლებლად წარუდგინა მხოლოდ იმ ორ ვაგონში მიღებული ტვირთი, რომელზეც შედგენილი იყო კომერციული აქტი.



საქმის ზედწესით გადასინჯვისას მთავარი არბიტრის დადგენილებით არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა და მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. მას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოება:

1. დანაკლისი ფიქსირებულია სითანადო წესით. გადამზიდველის ბრალი გამორიცხულია.

2. ყოველ გადასაზიდად მიღებულ ვაგონზე გამოწერილია ცალკე სარკინიგზო ზედღებულე, რის გამოც ყოველი მათგანი წარმოადგენს ტვირთის დამოუკიდებელ პარტიას (სახელმწიფო სტანდარტი 779-55, პ. 9).

3. ხორცის გამგზავნის წარმომადგენელთა ჩამოსვლამდე ორთა სადავო გზავნილით მიიღებული ხორცი მიმღების მიერ დადგენილი წესების დაცვით ინახებოდა ცალკე, ისეთ მდგომარეობაში, რომ უზრუნველყოფილი იყო მისი შემოწმება, მაგრამ გამგზავნის წარმომადგენლებმა არ ისურვეს ხორცის რაოდენობრივი შემოწმება იმ უსაფუძვლო მოტივით, რომ მოთხოვნიდნენ შესამოწმებლად წარედვინათ დანარჩენი ორი გზავნილით მიღებული ხორცი, სადაც დანაკლისი არ ყოფილა.

შემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით დანაკლისი ხორცის ღირებულება ვამგზავნს დაეკისრა.

8. უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის მყიდველის წინაშე პასუხს აგებს მეთათური დამამზადებელი, უკანასკნელი კი უფლებამოსილია გაწეული ზარალი ანაზღაუროს დამკომპლექტებელი ნაწარმის დამამზადებლისაგან

სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელმა“ კუბაშევის რკინიგზის ეკვის სალოკომოტივო დეპოს 1979 წლის იანვარში მიაწოდა სერია ვლ-1მ უ № 523 ელნავალი. მისი საქსპლოატაციოდ გადაცემის პროცესში კომისიამ შეამოწმა ელმავლის სიჩქარეში და აღმოჩნდა, რომ იგი ტექნოლოგიური წესის დარღვევით იყო დამზადებული. აღნიშნული ხელსაწყო დააზარადა ქარხანა „თბილისხელსაწყოში“. დებომ შედგენილი სათანადო აქტის საფუძველზე როგორც მეთათრ მომწოდებელს — „ელმავალმშენებელ“ ქარხანას, ასევე უხარისხო ხელსაწყოს დამამზადებელს — ქარხანა „თბილისხელსაწყო“ წარუდგინა პრეტენზია უხარისხო ელმავლის მიწოდებისათვის ჯარიმის გადახდებინების თაობაზე, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 61-ე პუნქტის თანახმად. მიუხედავად იმისა, რომ თვით უხარისხო სიჩქარეში ღირებულება 6 მანეთი 02 კაპიკა, საპრეტენზიო თანხამ, ელმავლის მთლიანი ღირებულების გათვალისწინებით შეადგინა 11.630 მანეთი.

„ელმავალმშენებელმა“ და „თბილისხელსაწყო“ პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარა ვანაცხადეს.

დავის არსებითად გადაწყვეტისას სახელმწიფო არბიტრაჟი დაეყრდნო სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის ადმინისტრაციის ცნობას იმის შესახებ, რომ ქარხანა „თბილისხელსაწყო“ მიერ დამზადებული ყველა სიჩქარის მზომი 1977 წლიდან დღემდე დამზადდა როგორც საცდელი ხელსაწყო, სალოკომოტივო დეპოს ფეგვავანა გამოსაცდელი ექსპლოატაციისათვის და არა როგორც სერიული ნაწარმი, რის გამოც არ დააკმაყოფილა სარჩელი.

საქმის ზედწესით: გადასინჯვისას მთავარი არბიტრის დადგენილებით გადაწყვეტილება საქმეზე გაუქმდა, სარჩელი დაკმაყოფილდა. მას საფუძვლად დაედო, ჯერ ერთი, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სომოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 48-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად მომწოდებელი მყიდველის წინაშე პასუხს აგებს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისათვის, თუ არ დამტკიცებს, რომ პროდუქციის ნაკლი დაკავშირებულია მყიდველის მხრივ პროდუქციის სარგებლობის ან შენახვის წესების დარღვევასთან და, მეორე, ის გარემოება, რომ მეთათრი მომწოდებელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის დამამზადებელი იმ ნაკითხოსა, რომლითაც კომპლექტდება საქსპლოატაციო ელმავალი, პასუხს აგებს მყიდველის წინაშე მიწოდებული ძირითადი ნაწარმის ღირებულების გათვალისწინებით. ასეთი სახის ჯარიმა მეთათრი მომწოდებლისათვის წარმოადგენს ზარალს, რომელიც უკანასკნელმა გასწია ძირითადი ნაწარმის დამამზადებელი ნაკეთობის დამამზადებელი საწარმის ბრალით. ამიტომ თავის ზნაზე მეთათრი მომწოდებელი უფლება აქვს მოითხოვოს შემოაღნიშნული უხარისხო პროდუქციის მიწოდებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება უშუალოდ ზარალის მიმყენებლისაგან.

პრინციპულუმი და მათი მოქმედებების ნიშნით

1980 წლის 25 ოქტომბერს ვაიწართა საქართველოს სსრ პროკურატურას აპარატის პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც შეაჯამა საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტის საქმიანობა და არსებობდა პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, თუ რა გავრცედა უკვე „მარცხენარების“ დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანების შესასრულებლად, არ წვლილი შეიტანა ამაში ცენტრალური აპარატის პარტიულმა კომიტეტმა, თითოეულმა კომპლექსმა.

თავის მოხსენებაში პარტიული კომიტეტის ძლიერებას მოადგილემ თ. მარტოვიძემ, აგრეთვე კამათის მონაწილე კომუნისტებმა გააშუქეს ბოლო ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში მომხდარი ღრმა გარდაქმნების შედეგება, ილპარაკის სასიკეთო ძვრებზე, იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც გასწიეს პროკურატურის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა კომიტეტმა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული საქმიანობის დონის ამაღლების, პირველადი პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიული კონტროლის უკეთ მოწყობის მიზნით.

ამასთან, დაუფარავად აღინიშნა ის ჩარევები, რომლებიც ჯერ კიდევ არის პარტიული კომიტეტის მუშაობაში, კერძოდ იქცა, რომ დაბალია პარტიული ინფორმაციის დონე, შესტია კომუნისტების ავანგარდული როლი, ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას საშუალოდ დისციპლინა, ბოლომდე არ არის დამკვიდრებული ფორმალური პარტიული მუშაობაში.

კრებაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში გასულ წელთან შედარებით იკლო დამნაშავეობამ შემცირდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა რიცხვი, კერძოდ კი სახელმწიფო და

საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის შემთხვევები. ამაში დიდი წვლილი აქვია შეტანილი რესპუბლიკის პროკურატურის აპარატის კომუნისტებსაც.

საანგარიშო მოხსენების გამო კამათში განოსულმა ორატორებმა პრინციპულად, დაუფარავად ამხილეს ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა აპარატის, მისი ცალკეული რგოლის საქმიანობაში და კრების მონაწილეებს გააცნეს თუ რა კეთდება მათ აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორმა ბ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ საანგარიშო კრება მიმდინარეობდა რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის კრიტიკული შეფასებისა და მომთხოვნელობის გაზრდის ნიშნით.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა და პარტიული კომიტეტი ყოველთვის ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ პროკურატურის ცენტრალური აპარატის, კომუნისტების ავანგარდული როლი, აამაღლონ პროკურატურის ორგანოების მნიშვნელობა და ავტორიტეტი.

რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის მუშაობის უმრავლესობა კეთილმინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ საჭიროა არა მარტო დაკისრებული მოვალეობის შესრულება, არამედ მეტი ინიციატივის გამოჩენა, უფრო მეტი ფიქრი საერთო ინტერესებზე. ახლად არჩეულმა კომიტეტმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა გაიზარდოს ამ მხრივ კომუნისტთა აქტიურობა. ამასთან გადაჭრით უნდა ვებრძოდეთ ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოვლენას ჩვენს მუშაობაში. შემთხვევით არ იყო, საქართველოს კომპარტის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება აღმინისტრაციულ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალის წინააღმდეგ

ბრძოლის თაობაზე. როგორც ლ. ი. ბრუნევა
სკკ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის
პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნა. აღამაანისათვის
წრუნვა თითოეული ხელმძღვანელის უპირატეს
საქმედ უნდა იქცეს.

სიტუვა წარმოიქვა საქართველოს კომპარ-
ტიის ცენტრალური კომიტეტის აღმანისტრაცი-
ული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორ-
მა ა. კვიციანიამ.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქარ-
თველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რა-
იონული კომიტეტის მდივანი ლ. ვიგლიანი.

კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება. აირ-
ჩია პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენ-
ლობა.

პარტიული კომიტეტის მდივანად არჩეულია
ბ. სხირტლაძე.

თ. მარჯანიშვილი.

შეიქმნა პროკურატურის ვეტერანთა საბჭო

საქართველოს სსრ პროკურატურაში გაიმარ-
თა პროკურატურის ორგანოების ვეტერანთა
კრება. რომელმაც აირჩია კოორდინაციის საბ-
ჭო და მიიღო დებულება, რაიმელიც შემდეგ
დამტკიცა რესპუბლიკის პროკურატურის კო-
ლეგამ. საბჭოს თავის თავმჯდომარედ აირჩია
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი შ. შან-
ტაშვილი, მოადგილეებად — რესპუბლიკის დან-
სახურებული იურისტები: ვ. ხმალაძე და
ი. რომსტომიშვილი, მდივანად — ა. ელიფ-
ტარაშვილი.

დებულებით ვეტერანთა საბჭოს მთავარი
ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს
ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიულ და-
ობტაქებაში. საბჭოსთან შეიქმნა ვეტერანთა

გამოცდილების გაზიარებისა და სამართლის
პროპაგანდის სექტორები, რომლებმაც თავიან-
თი საქმიანობა უნდა წარმართონ რესპუბლი-
კის პროკურატურის ხელმძღვანელობასთან,
პარტიულ კომიტეტთან, კომკავშირულ და
პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო
კავშირით, წინასწარ შემუშავებული გეგმის
მიხედვით.

რებაზე სიტუვა წარმოიქვა საქართველო
სსრ პროკურატორის მოადგილემ ვ. შარან-
ნიძემ.

მ. შანტაშვილი.

რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი,
ვეტერანთა საბჭოს წევრი.

მოხსენიდა და პროკურატორი მალაროვთან

ჩორდის ბარტის მალაროვა სამმართველოს
ლესორის სამთო საამქროში ონის რაიონის
პროკურატორმა ი. ქემოკლიძემ და სხვა სხვა
მოსამართლემ ნ. საბანაძემ წაიკითხეს საინტე-
რესო ლექციები „საზოგადოების ამოცანები
ანტი საზოგადოებრივი მოვლენების წინააღმ-
დეგ ბრძოლის საქმეში“ და „მოქალაქეთა უფ-

ლება-მოვალეობანი და მათი ღირსების დაცვა
ახალი კონსტიტუციის მიხედვით“.

კარგად და შინაარსიანად მომზადებული ლექ-
ციები ინტერესით მოისმინეს მალაროვებმა.
პროკურატორმა და მოსამართლემ ამომწურავი
პასუხები გასცეს იქ ლასმულ მრავალრიცხო-
ვან შეკითხვებზე.

ნ. დუშაშვილი



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან საქართველოს სსრ პროკურატურის დეპუტატობილი მუშაკი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, 1957 წლიდან სკკპ წევრი გივი კირილეს ძე ყურაშვილი. ხანმოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი გზა განვლო განსვენებულმა, ახლა ძნელია მოიგონო თავის დროზე რესპუბლიკაში განმაურებული უველა ის საქმე, რომელთა გამოძიებაშიც პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა მიუღია გივი ყურაშვილს. იგი, როგორც იტყვიან, გამომძიებლად იყო დაბადებული. დიდი შრომისმოყვარეობა, უტყუარი აღლო, ხალასი ნიჭი და უაღრესად გამჭრიახი გონება ეხმარებოდა მას გარკვეულიყო ურთულეს საგამოძიებო სიტუაციებში, მრავალი ვერსიის თამამად უარყოფის შემდეგ შეჩერებულიყო იმ ერთადერთ უტყუარ და სწორ ვერსიაზე, რომელსაც ეროვნულ-პარტიულ და დიდებულნი იმპყავდა.

ყოველთვის მოუცლელი იყო გ. ყურაშ-

ვილი, მაგრამ მაინც ასწრებდა ყოფილიყო მეგობრების გვერდით, გაეზიარებინა მათი ლხინი თუ ჭირ-ვარამი. დიდ დატვირთვას მისთვის სრულიადაც არ შეუშლია ხელი მდიდარი საგამოძიებო პრაქტიკის ერთი ნაწილი საკვალიფიკაციო შრომად ექცია და მოსკოვში დაეცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისი სტატიები და რეცენზიები კი ზედიზედ იბეჭდებოდა ხოლმე საკავშირო თუ რესპუბლიკურ იურიდიულ პერიოდიკაში. გივი ყურაშვილის ბავშვობაჰ, სიკვამლეჰ და შემდეგ შეგნებულმა ცხოვრებამაც ჩემ თვალწინ გაიარა. მასხოვს თბილისში გორის ქუჩაზე მისი უბრალო, ღარიბულად მოწყობილი ბინა, სადაც არაერთხელ შევკრებილვართ მე და მასზე რამდენიმე წლით უფროსი ჩემი თანატოლი მისი დედაშვილები. შემდეგ გივი ყურაშვილი რამდენიმე წლით გაქრა ჩემი თვალსაწიერიდან — რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო სწავლა. თბილისში უკვე უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ჩამოვიდა. ცოტა ხანს იმუშავა რუსეთის პროკურატურაში და სულ მალე შესანიშნავად შეერწყა რესპუბლიკის პროკურატურის დიდ კოლექტივს.

გივი ყურაშვილი უკანასკნელად მოსკოვში მისი სამკურნალოდ წასვლის წინ ვნახე. საგრძნობლად შეცვლილი მეჩვენა. ყოველთვის მხნე და მოღიმარი, ახლა რაღაც უხალი, სოდა გამოიყურებოდა, თვლებში უჩვეულო სევდა ჩანდგომოდა. თითქოს გრძნობდა მოახლოვებულ აღსასრულს. მალე მართლაც მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი შევიტყვიეთ.

გივი ყურაშვილის სახით პროკურატურის ორგანოებმა დაკარგეს ერთდირებული, ნიჭიერი თანამშრომელი, ახლოებულთა წრემ უხინჯო, ამაღლებული სულის მეგობარი. ოჯახმა — მოსიყვარულე მეუღლე და მომავლე მამა. მისი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს.

ოთარ კაციტაძე.

ჭ. კ. უგრეხელიძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1948 წლიდან, დეაწლმობილი, უანგარო იურისტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ტიქვიკო პორფილეს ძე უგრეხელიძე.

ჭ. უგრეხელიძე დაიბადა 1921 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1939 წელს დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

დიდი სამამულო ომის წლებში იგი იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებასათვის დაჭილდოებული იქნა ორი წითელი დროშის ორდენით, დიდების ორდენით და 9 მედლით.

ჭ. უგრეხელიძე 1945-46 წლებში მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის პროკურატურის ვამომძიებლად, 1945-47 წლებში ბათუმის ქალაქის პროკურორის თანაშემწედ, ხოლო

1947-48 წლებში ქობულეთის რაიონის პროკურორის თანაშემწედ.

1948-52 წლებში ჭ. უგრეხელიძე აირჩიეს ლანჩხუთის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლედ. 1952-54 წლებში იგი საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონის ინსტრუქტორია, 1954 წლიდან ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზეა, 1963 წლიდან კვლავ პროკურატურის ორგანოებში ბრუნდება გამომძიებლად.

1975 წლიდან ჭ. უგრეხელიძე ლანჩხუთის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატია.

ჭ. უგრეხელიძე ერთგულად ასრულებდა პარტიულ დავალებებს და სამსახურებრივ მოვალეობას, მისი სახე დიდხანს ემახსოვრებათ კოლეგებსა და ამხანაგებს.

ამსხანაგების ჯგუფი.

ცნობები ავტორთა შესახებ

- რასვალ ავაქის ძე საფაროვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი შრომისა და წიგნის ავტორი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- მერი ნიკოლოზის ასული ფაჩუაშვილი — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ვლადიმერ ივანეს ძე მანისურაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 8 წიგნის, ბროშურის და მრავალი შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ზოთა გიორგის ძე ფაშიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ოცამდე შრომისა და 3 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ანკორ ალექსანდრეს ძე ბაბიანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 23 შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ალექსანდრე ირაპლის ძე კახისაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მთელი რიგი შრომების ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ავთანდილ ივლიტიანი ძე თოდუა — ოსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ალგერტ მიხეილის ძე აბესაძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ორმოცი შრომის, 4 წიგნის და 2 ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- მამია ხარბიძის ძე კომასიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 24 შრომის, მათ შორის ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- გიორგი ნიკოლოზის ძე ბაქუაშვილი — საქართველოს კომკავშირის ისტორიის კაბინეტის სექტორის გამგე, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- გიორგი ვახტანგის ძე გეგეჭკორი — საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი. მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1980 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-38-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

683/9



ფანო 50 ააა.

06 20 6 10 70185